# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 7 მარტი 1998 №32 (567) ფასი 50 თეთრი


## სამტრედია — დინამო
### ისევ სენსაცია და ინტრიგა



გუშინ სამტრედიაში: „იბერია“ — „დინამო“.
დავით მუჯირის დარტყმებმა მასპინძელთა კარს ვერაფერი დააკლო

**საქართველოს თასი**
**მეოთხედფინალი**

იბერია 1:0 დინამო
კოლხეთი *ფოთი* 0:3 თსუ
მაღაროელი 1:2 დილა
კოლხეთი *ხობი* 0:5 ბათუმი

ვის არ ახსოვს „სამტრედია“ — „დინამოს“ საჩემპიონო ბრძოლა? და სათასო ჭიდილი ამაზე ნაკლები იყო?

მაგრამ „დინამო“ კვლავ უცვლელი ჩემპიონია, სამტრედიული გუნდი კი მეორე ჯგუფში გავარდნილა და პირველში დაბრუნებას ლამობს.

ამ ზამთარს სამტრედიელებს ახალი პატრონი გაუჩნდათ, გუნდი მობლიერდა და პირველ ოფიციალურ მატჩშივე დაამტკიცა თავისი ძალა, თანაც თბილისის „დინამოსთან“.

1995 წლის გაზაფხულზე თბილისელები რომ არ მოწამლულიყვნენ, სამტრედიელთა ორ დიდ მოგებას ზუსტად სამი წელიწადი დააშორებდა. მაშინდელი, 10 მარტის მატჩიდან სამტრედიელებს ფეხბურთელიც აღარ შერჩენიათ, „დინამოში“ კი მხოლოდ დიდავა, კიკნაძე, ცქიტიშვილი და ზოიძე მოსწრებიან ძველ, მწვავე ბრძოლებს.

ვინც უნდა გავიდეს ამ წყვილიდან ნახევარფინალში, ბარაქალა სამტრედიელებს. მათ უკვე პირველი სენსაცია და ინტრიგა გვაჩუქეს.

## წააგე — წადი სახლში!

ნებისმიერი თასის გათამაშების წესია, გავარდნილი მოთამაშე თუ გუნდი ამ შეჯიბრს აღარ უნდა დაუბრუნდეს.

ეს წესი ჩვენში იქნებ ბევრმა მანამ არ იცოდა, სანამ სამი წლის წინ „სამტრედიის“ თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ არ შენიშნა და ზარები დაარისხა. მაშინ თბილისის „დინამომ“ „სამტრედიასთან“ მამუკა მაჭავარიანი ათამაშა, რომელსაც მანამდე „კოლხეთის“ ღირსება დაეცვა სამტრედიელთა წინააღმდეგ.

მაშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დებულება დაარღვია, ისევე როგორც ახლა. მაშინ ფედერაციამ დარღვევა გამონაკლისის წესით დაუშვა — ნაკრების წევრთათვის.

მაჭავარიანის გარდა იყო კიდევ ერთი შემთხვევა „კახეთიდან“ „მეტალურგში“ გადასული სოსო გრიშიკაშვილისა. ეს მეკარე მაშინ საქართველოს ნაკრების წევრად თუ კანდიდატად ითვლებოდა.

როგორ მოიქცა ფედერაცია ახლა? ალმასკომის გადაწყვეტილებით სათასო დებულებაში ცვლილება შეიტანა — ნება დართო ყველა კლუბშეცვლილ ფეხბურთელს, ახალი გუნდის შემადგენლობაში ეთამაშა.

ცვლილებას ფედერაციამ სარჩულად მეოთხედფინალში მოთამაშე გუნდების საზოგადო მოთხოვნა დაუდო. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა კი კლუბების სათხოვარი საკუთარი არგუმენტითაც გაამყარა. ამგვარი გამონაკლისი საბოლოოდ ხელს შეუწყობს სპორტული აზარტის, ჟინის გაძლიერებას და ეს ჩვენს ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგებაო.

ალექსანდრე ჩივაძის წადილი სრულიად ალალი და კეთილშობილურია, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ნებისმიერი გამონაკლისი და შეღავათი გართულებული საქმის ჭეშმარიტ არსს ამახინჯებს, ზოგჯერ მისი დაძლევის ილუზიასაც ქმნის.

განა არ ერჩია უეფას, დაერთო ნება, ვთქვათ, „დორტმუნდიდან“ „ინტერში“ გადაბარგებული პაულუ სოუზასთვის „შალკესთან“ ეთამაშა? რა ინტერესი გააჩნდა ევროპის საფეხბურთო კავშირს, ერთ, ჩემპიონთა თასზე ნათამაშევ ფეხბურთელს მეორე, უეფას თასზე თამაშის უფლება რომ არ მისცა? უეფამ უბრალოდ, წესი არ დაარღვია, თასის გათამაშების პრინციპი არ გააბიაბრუა. სწორედ ამ წესის, ჯანსაღი კონკურენციის კანონთა დაცვა უწყობს ხელს აზარტის და ჟინის გაძლიერებას, რაც უეჭველად წაადგება ფეხბურთს, მათ შორის ქართულსაც.

გუშინწინ შეკრებილ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომს კიდევ რამდენიმე საკითხი ჰქონდა განსახილველი. დამტკიცდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი და დადგინდა — 14 წლამდე ჭაბუკთა პირველობას სლავა მეტრეველის სახელი მიენიჭა.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი კი მაინც ფედერაციის მეოთხე ყრილობისთვის სამზადისი გახლდათ.

გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ სურვილი გამოთქვა, ყველა საფეხბურთო სუბიექტს თითო ხმის უფლება მივანიჭოთო, რაც ნამდვილად არ ჩანს ურიგო აზრი. კარგია, რომ ყრილობაზე ქართული ფეხბურთის ბედს დარაჯები და დამლაგებლები კი არა, ფეხბურთში ჭიპმოჭრილი და ჭაპანნაწყვეტი ხალხი გადაწყვეტს. თუმცა ერთი საკითხი მაინც რჩება ღიად, ვინ წარადგენს თავად ფედერაციას ყრილობაზე? კვინიკაძის სურვილით — ალმასკომი. მაგრამ ამ შემთხვევაში შეუსაბამობას მაინც გადავაწყდებით — ალმასკომის წევრთა უმრავლესობა ხომ კლუბთა წიაღიდანაა. გამოდის, ზოგ კლუბს ორი ხმის უფლება ექნება, ზოგს ერთის, რაც არასასურველია, რადგან ერთ იურიდიულ პირს ერთი ხმის უფლება უნდა გააჩნდეს.

ფედერაციამ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამისთვის საკუთარი წინადადებებიც წარმოადგინა, თანვე დააყოლა, დეკემბერში პროგრამის განხილვა დაგვიანებულია, თუმცა არც ძალიან აჩქარების მომხრე ვართო. ასეთ საქმეში აჩქარება მართლაც არ ეგების, რადგან, როგორც კონსტიტუციის შეცვლა არ შეიძლება ყოველთვე, ისე დებულებისა თუ სახელმწიფო პროგრამისა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## პრეზიდენტმა თავი იმართლა
### აზმაიფარაშვილის პირველი პრესკონფერენცია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა გუშინ ჭადრაკის სასახლეში პირველი პრესკონფერენცია გამართა. ეს პრესკონფერენცია პრეზიდენტმა თავისი არჩევის დღესვე დაგეგმა და არა მოჭადრაკე ქალთა განცხადების საპასუხოდ, მაგრამ ბოლოს მაინც ამ თემამ იძალა.

დასაწყისში ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჟურნალისტებს გააცნო თავისი სამოქმედო პროგრამა, რომლის უმეტეს ნაწილზეც ჩვენ უკვე გესაუბრეთ „სარბიელის“ წინა ნომრებში. თუმცა ახლა ჭადრაკის ფედერაციის ამოცანებზე პრეზიდენტი კიდევ უფრო ვრცლად შეჩერდა. მკითხველთათვის განსაკუთრებით საინტერესო ის უნდა იყოს, რომ პრეზიდენტი აპირებს, მთავრობის წინაშე დასვას საკითხი ჭადრაკის სასახლის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ და ითხოვოს, ჭადრაკის სასახლის 25 წლისთავის აღნიშვნის დღეებში მას მიენიჭოს ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იგი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მოვიდა, რათა გარკვეული სარგებლობა მოუტანოს ქართული ჭადრაკის განვითარების საქმეს, რომელიც მისთვის ესოდენ საინტერესო და მნიშვნელოვანია.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრესკონფერენცია ვერ ასცდა ჩვენს მოჭადრაკე ქალთა განცხადებაში მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს. ზურაბ აზმაიფარაშვილმა თავი ვალდებულად ჩათვალა, ნათელი მოეფინა განცხადებაში აღძრული ყველა საკითხისათვის.

— რაც შეეხება ბოსნიის სკანდალურ ტურნირს, მან მართლაც გამოიწვია გამოხმაურება. თუმცა შევნიშნავ რომ ტურნირი ბოსნიაში კი არა, მაკედონიაში ჩატარდა ოთხი დიდოსტატის მონაწილეობით, რეტროს სტილში. მე მაშინ ახლად ჩამოშორებული ვიყავი კასპაროვის მწვრთნელობას და ყველა ის სიახლე, რომელიც მასთან მუშაობისას დამიგროვდა და მაშინ არ შემეძლო გამომემზეურებინა, გამოვიყენე. 18-დან 16 ქულით პირველი ადგილი დავიკავე. უნდა ითქვას, რომ დანარჩენი სამი მონაწილე ოსტატობით გაცილებით დაბალ დონეზე იყო. იმის გამო, რომ კასპაროვი მაშინ მატჩს იწყებდა ანანდთან, ჩემი თხოვნით ფიდეს არ გადასცა პარტიები. ეს უბრალო კოლეგიალობა იყო, რომ გარის მეტოქეს ამ პარტიებში გამოყენებული ვარიანტები მსოფლიოს ჩემპიონის საწინააღმდეგოდ არ გამოეყენებინა. აი, ამან გამოიწვია რეაქცია პრესაში, თითქოს მე ეს ტურნირი ვიყიდე და სხვა. მაშინ მე გავუგზავნე წერილი ილუმაჟინოვს, სადაც ავუხსენი ყველაფერი და ვთხოვდი, თუ დასასჯელი ვარ, დამსაჯეთ დისკვალიფიკაციით, თუ არა და, პრესაში ჩემს წინააღმდეგ გალაშქრებები შეწყდეს-მეთქი. ყველაფერი გაირკვა და მეც იმის შემდეგ ბევრ საერთაშორისო ტურნირში მითამაშია. ასე რომ, თავად განსაჯეთ.

— წყნეთში ნამდვილად შევისყიდე სამთავრობო აგარაკი, მაგრამ ეს ბევრმა მოქალაქემ გააკეთა. მე ადრე ჩავაბარე 4-ოთახიანი და 2-ოთახიანი ბინები და სანაცვლოდ მარჯანიშვილის თეატრთან მშენებარე სახლში უნდა მიმეღო ბინა. 1991 წლის მიწისძვრის გამო მშენებლობა შეწყდა და დღესაც დაუმთავრებელია. ბუნებრივია, როგორც ყველა ადამიანს, მეც მინდოდა ბინა და შევისყიდე 10000 დოლარად, თან მთლიანად კოტეჯი კი არა, მისი ნახევარი.

— ბოსნიაში წავედი იმიტომ, რომ ძალიან დიდი გაჭირვება იყო მაშინ, მაგრამ ეს ამბავი ქართულ ჭადრაკს მხოლოდ წაადგა. როდესაც ბოსნიაში გადავედი, ჩემი ადგილი გია გიორგაძემ დაიკავა და მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს საგზური მეც მერგო და ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატში ორივე საქართველოს სახელით გამოვდიოდით. მადლობის მეტი რა გვეთქმის ბოსნიელთათვის, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატში საკუთარი ადგილის ხარჯზე ერთი წლით შეინახეს ქართველი მოჭადრაკე.



ზურაბ აზმაიფარაშვილი

— ჩვენი დღევანდელი უთანხმოება არანაირად არ მოქმედებს ოლიმპიადაზე გამოსვლაზე. ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია აღარც თამაშობენ აქტიურად ჭადრაკს. ხოლო მე მაქვს ნანა იოსელიანისა და მაია ჩიბურდანიძის წერილი, რომლებიც მთხოვენ, რომ პრეტენდენტთა ტურნირში დაკავებული მესამე-მეოთხე ადგილები ჩაითვალოს იმის გარანტიად, ისინი ოლიმპიადაზე პირველ-მეორე დაფებზე ითამაშებენ. ასე რომ, ისინი ოლიმპიადისთვის ემზადებიან.

— რაც შეეხება იმას, რომ მე ნონა გაფრინდაშვილს ბანდიტი ვუწოდე, ან ნანა იოსელიანს პროვოკატორი, ამაზე ლაპარაკიც სასაცილოა. მე ნონა გაფრინდაშვილის ზეობისას გავიზარდე, მისი უსაზღვრო პატივისცემით და იარაღით რომ დამადგეს ვინმე, როგორ ვიტყვი მის მიმართ რაიმე ოდნავ მაინც შეურაცხმყოფელს. ასევე ნანა იოსელიანის მისამართითაც.

— ფეთქებად და გაუწონასწორებელ ხასიათში რას გულისხმობენ, არ ვიცი. თუ იმას, რომ არავის დავეჩაგვრინები იოლად, მაშინ ვიტყვი, რომ ასეთი ხასიათი მქონდა და მართლაც ემოციური ვიყავი. მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ და ჩემს თავში ეს თვისებები ახლა რომ აღმომეჩინა, პრეზიდენტობას არც მოვისურვებდი.

— ვინ არ მესალმება ცნობილი დიდოსტატებიდან? შეიძლება ალექსეი შიროვს გულისხმობენ. იგი ძალიან ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ ძალიან თავისებური. მისი უცნაურობები ყველა მოჭადრაკემ იცის და აქ ვერც ვერაფერს გავხდები. რაც შეეხება დანარჩენებს, აი, ახლა, პრეზიდენტი რომ გავხდი, მილოცვები მოდის სხვადასხვა ქვეყნიდან. დღესაც მოვიდა ფაქსი, სადაც ნაიჯელ შორტი, ვიშვანათან ანანდი და ვესელინ ტოპალოვი მილოცავენ და რა ვიცი... ვერც სხვას ვატყობ ცუდ ურთიერთობას.

— რაც შეეხება გუნდში ცუდ გავლენას, მე გავითვალისწინე, რომ ჟურნალისტებს დააინტერესებდათ ამის გარკვევა და მოვიწვიე სამივე გუნდის კაპიტანი, ვინც ჩვენს ნაკრებს ხელმძღვანელობდა მანილის, მოსკოვისა და ერევნის ტურნირებზე: გია სიხარულიძე, თამაზ ტაბატაძე და დავით გურგენიძე და თუ რამეს თქმას აპირებენ, თავად თქვან.

სამივე კაპიტანმა აღნიშნა, რომ აზმაიფარაშვილი გუნდის ნამდვილი ლიდერია და ტურნირებზეც მისი ინტერესებით ცხოვრობს.

დაბოლოს, — დასძინა პრეზიდენტმა, — მაინც მგონია, რომ ასეთი პრობლემის მოგვარება ჩვენი საოჯახო საქმეა. ჩვენ ყველა ერთად უნდა ვიყოთ. მჯერა, ემოციები დაცხრება და ასეც იქნება. მე უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკე ქალებს და ჩვენ, ალბათ, კვლავ ერთმანეთის გვერდით ვიქნებით. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად იმიტომ მოვედი, საჭადრაკო პრობლემები გადავწყვიტო. სხვა მიზანი არასოდეს მქონია და მჯერა, კვლავ ერთ ოჯახად დავრჩებით, ერთად ვიზრუნებთ იმისთვის, რომ ჩვენი საჭადრაკო სკოლის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ ჩვეულ სიმაღლეზე იყოს.

**ილია მხეიძე**

## გზა ახმაურდა, ფორმულა იწყებს
## შუმახერი უკვე იღიმის



გუშინ მელბურნის „ალბერტ-პარკის“ ტრასაზე ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეებმა პირველი ოფიციალური ვარჯიში გამართეს. ყველაზე სწრაფი ფერარელი მიხაელ შუმახერი იყო, მომდევნონი — ჰაკინენი (მაკლარენი) და ვილნევი (უილიამსი). შედეგით და ბოლიდით ერთობ კმაყოფილმა შუმახერმა მეტოქეებიც დააშინა, ჩემპიონობისთვის ბრძოლის საუკეთესო შანსი გვაქვსო. ფორმულის ამ და სხვა მგლების გვერდით მართლაც კრავივით უმწეო იყო ფორმულის მინარდელი ახალბედა, პილოტთაგან უმრწემესი ესტებან ტუერო.

მაგრამ ეს მხოლოდ ვარჯიში იყო, მთავარი ხვალ იქნება...

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი.

სამტრედია
„ეროსი მანჯგალაძე"
6 მარტი

**იბერია 1:0 დინამო**

**იბერია:** ლაბაძე, გეგეშიძე, ბრეგვაძე, ქელიძე, ქობესაშვილი, თოდუა, შ. ჩომახიძე, გ. ნიკოლეიშვილი (ივეჩიანი 46), ვ. გიგიაძე (ფხაკაძე 68), ბ. ნიკოლეიშვილი, შ. მუმლაძე (უგულავა 87)
**დინამო:** ზოიძე, ქემოკლიძე, გელაძე, დიდავა, გუჩუა, გოგობერიშვილი, კიკნაძე, ალექსიძე, ბურდული, მუჯირი (პეტრიაშვილი 80), აშვეთია
1:0 ჩომახიძე (78პ)
**გაფრთხილება:** გოგობერიშვილი, აშვეთია
**მსაჯი:** გ. ასკარ-ოლლი (ქარელი)

**მამუკა კვანტალიანი** სამტრედიიდან

სამტრედიაში ფეხბურთი დაბრუნდა. ჩვენ კიდევ ვითამაშებთ ევროთასებზე და ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებთო, კიჟინებდა მატჩის შემდეგ „ეროსი მანჯგალაძეს" ნასტუმრები ოთხი ათასამდე გულშემატკივარი.

„დინამომ" მეოთხედფინალის საპასუხო, საშინაო შეხვედრა შეიძლება ძალიან იოლადაც მოუგოს „იბერიას". თუმცა, თბილისელებს გუშინაც ასე ეგონათ, აკი თავდაჯერებულები გამოვიდნენ მოედანზე და დაისაჯნენ კიდეც. 90-ივე წუთის მანძილზე ქვეყნის უპირველესი კლუბი მეორეჯგუფელი მეტოქის კართან ორადორ მომენტს რომ შექმნის, აბა, მთლად დაწყობილად როგორ უნდა იყოს საქმე?! ჩემპიონმა ვერაფერი გააწყო მასპინძელთა ხელოვნურ თამაშგარეებთან. გამოცდილ ნიკა ამირეჯიბს შეგირდებისთვის ბევრი რამ უსწავლებია, თანაც ამას კარგი ფიზიკური მომზადებაც დაერთო. მოკლედ, აშკარაა, სამტრედიელებს მომავალის გუნდი შეუქმნიათ.

თამაში დასაწყისიდანვე მასპინძლებისა იყო, მაგრამ გამოუცდელი „იბერია" მრავალ ხელსაყრელ ეპიზოდს ატანდა ქარს. სწორედ გამოუცდელობას და სულსწრაფობას უნდა მიეწეროს შალვა მუმლაძის საქციელი, რომელიც საკუთარ საჯარიმოში ბურთს ხელით წაეპოტინა. პენალტი ალექსიძემ დაარტყა, მაგრამ ლაბაძემ ივარგა, მისი თითებიდან ანასხლეტი ბურთი ძელს მოხვდა და მასპინძელთათვის უსაფრთხო ადგილზე გადავარდა.

# ახალი და ძველი იბერია 1:0

ტაიმის ბოლოს მასპინძელმა ჩომახიძემაც დაარტყა სახიფათოდ და გელაძეს ბურთი ხელზე მოხვდა, ასკარ-ოლლიმ კი ეს წესის დარღვევად არ მიიჩნია.

მასპინძელთა შეტევები მეორე ნახევარში შემოსულმა ივეჩიანმა გაამწვავა. იგი რამდენჯერმე დაუსხლტა მეტოქის მცველებს და ზოიძის კართან ხიფათიც მოამწიფა. ჩომახიძის მორიგი პასი, ივეჩიანის სწრაფი მანევრი, ქემოკლიძის წამით დაგვიანებული „პადკატი", ივეჩიანის წაქცევა და... მსაჯმა სამართლიანად დანიშნა თერთმეტმეტრიანი.

ჩომახიძეს მუხლები არ აკანკალებია. გამოცდილი ზოიძე მოატყუა და ბურთი მარცხენა კუთხეში გაუტანა. დარჩენილ დროში „დინამომ" შეუტია. შტურმის მსგავსი მოაწყო, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. ერთადერთხელ ჰქონდა მომენტი, როცა გოგობერიშვილის ჩაწოდებულ კუთხურზე ლაბაძე ანგარიშმიუცემლად გამოვიდა, ალექსიძის თაური კი სამტრედიელმა ბრეგვაძემ კარიდან გამოიტანა.

ერთიც იყო გასაკვირი. ვასილ გიგიაძე და შალვა მუმლაძე ქუთაისელი ბიჭები არიან. „ტორპედოში" ამათი ადგილი ვერ მოიძებნა და ახლა „იბერიისთვის" ირჯებიან, მაგრამ ნეტავი ქუთაისელთა ბედს, თუ ამათზე ბევრად უკეთესები ჰყავთ გუნდში.

თამაშზე დინამოელები შავი სამკლაურებით გამოვიდნენ, სტადიონზე მოსულებმა კი წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ნოდარ ახალკაცის ხსოვნას. ფედერაციის პრეზიდენტის გარდაცვალებიდან ხომ 40 დღე გავიდა.

რა იქნება სამშაბათს, ძნელი სათქმელია. ალბათ „დინამო" ნახევარფინალში გავა, მაგრამ არა და ვერ იმ თამაშით, გუშინ რომ ვიხილეთ. ომის გადატანა კი ჩემპიონს მაინც მოუწევს. „იბერია", აშკარაა, დათმობას არ აპირებს.

ბადრი [illegible] ფოტო



პენალტის გამტანი ჩომახიძე და ვერგამტანი ალექსიძე

ზესტაფონი
ცენტრალური
6 მარტი

**მაღაროელი 1:2 დილა**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, ოობაშვილი, ტეფნაძე, შეყლაშვილი, აბრამიშვილი (ჩიკვილაძე 46), ბარამიძე, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**დილა:** მდივანი ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (ჩიტაია 88), ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, ლომიძე, მარლიშვილი (ციცქიშვილი 68), რევაზიშვილი (წკრიალაშვილი 68), კაიდარაშვილი
**გაფრთხილება:** ტეფნაძე, აბრამიშვილი, ლომიძე, რევაზიშვილი
0:1 რევაზიშვილი (31), 1:1 ბარამიძე (68), 1:2 კაიდარაშვილი (74)
**მსაჯი:** ხ. კახიანი (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე** ზესტაფონიდან

ზესტაფონში ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ნოდარ ახალკაცის ხსოვნას.

ჭიათურელებს მომზადებაში უპირველეს ყოვლისა, ბუნებამ შეუშალა ხელი, მათი სტადიონი მუხლებამდე თოვლითაა დაფარული. მატჩიც კეთილი მეზობლების სტადიონზე ამიტომ გადაიტანეს.

სტუმრები, გორელი ფეხბურთელები, საკმაოდ მობილიზებულნი, ფიზიკურად და მატერიალურადაც მოღონიერებულნი ეწვივნენ ზემოიმერლებს. მათ მატჩის დაწყებისთანავე იგდეს ხელთ თამაშის სადავეები და ისე, რომ ტემპი ოდნავაც არ შეუნელებიათ, სასურველ შედეგს მიაღწიეს. საკმაოდ აქტიურად და ენერგიულად ირჯებოდნენ ზუგდიდიდან მობრუნებული რევაზიშვილი და კაიდარაშვილი, რომელთაც გამოზომილი, ზუსტი და მახვილგონივრული გადაცემებით ამარაგებდა გუნდის უდავო ლიდერი როინ მარლიშვილი. მატჩის მე-9 წუთზე მარლიშვილმა, მარჯვენა ფრთიდან სახიფათოდ ჩაჰკიდა კარის გასწვრივ, სადაც ბურთს მარეხაშვილი დაუხვდა. ამ უკანასკნელმა კი მისი დამორჩილე-

# დილა ფავორიტია

ბა ვერ შეძლო. [illegible] წუთში მარლიშვილმა საჯარიმოს ხაზთან გაათამაშა კაიდარაშვილთან კედელი, ზუსტად მოძებნა საჯარიმოში ფლანგიდან შეჭრილი რევაზიშვილი. მისი დარტყმა [illegible] კუთხეში ოდნავ ასცდა კარს. 31-ე წუთზე კი გორელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს, მარჯვენა ფრთაზე, საჯარიმოს ხაზთან დანიშნული ჯარიმა მარლიშვილმა დაარტყა, მეკარის ბაქანთან შექმნილ ზედახორაში კი რევაზიშვილმა ყველას დაასწრო და თაური დარტყმით გახსნა ანგარიში. მხოლოდ ეს სამი მოთამაშე როდის ილწვოდა თავდადებით, გორელთა მთელმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თუ ჭიათურელებს პირველ ნახევარში მეტოქის კარისკენ წესიერად ერთხელაც არ დაურტყამთ, რაღა თქმა უნდა, ამაში სტუმართა დაცვასა და ნახევარდაცვას თუ დავადანაშაულებთ.

მეორე ნახევარში მაღაროელები გააქტიურდნენ და შეტევაზე გადავიდნენ, რის გამოც ტაიმის დასაწყისშივე ლამის დაისაჯნენ. ეგ იყო, ხაჭაპურიძეს არ გაუმართლა და მისი ძლიერად დარტყმული კარის ძელმა მოიგერია. მოედანზე ღია, ორმხრივი, მწვავე შეტევებით უხვი თამაში გაჩაღდა. ნათლად გამოჩნდა ჭიათურელთა ჯერ კიდევ გამოუყენებელი პოტენცია, ერთ-ერთი კონტრშეტევისას კი პირისპირ დარჩენილმა ბარამიძემ იყოჩაღა, მეკარე მიწას გააკრა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. გორელებმა გოლს გოლითვე უპასუხეს, რომელიც კურიოზულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. გველესიანს კაიდარაშვილის შორეული დარტყმის შემდეგ უფრო მეტი ყურადღება და ოსტატობა რომ გამოევლინა, შესაძლებელია, მატჩი ფრედ დამთავრებულიყო. თუმცა, „მასპინძელთათვის" არც ეს შედეგი იქნებოდა მაინცდამაინც ხელსაყრელი. „დილა" განმეორებითი მატჩის წინ ამ წყვილის უდავო ფავორიტია.

ფოთი
„ფაზისი"
6 მარტი

**კოლხეთი** *ფოთი* **0:3 თსუ**

**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გიორგობიანი, ღალანიძე, სუხიაშვილი (გოროზია 46), დ. მახარაძე, ნოზაძე, წიფწივაძე, მ. ქობულაძე
**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია (კანკავა 87), კვიტატიანი, კობიაშვილი, სვანიძე, შალამბერიძე, გემეზაშვილი (როსტიაშვილი 72), კობესაშვილი, ქორიძე, კ. მელქაძე, მაზიაშვილი (ვერემჩუკი 76)
0:1 ქორიძე (30), 0:2 ვერემჩუკი (79), 0:3 მელქაძე (90პ)
**გაფრთხილება:** კაკაჩია, წიფწივაძე, კობესაშვილი, ვერემჩუკი
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**კობა ინასარიძე** ფოთიდან

როგორც იქნა, განახლდა საფეხბურთო სეზონი და პირველმა მოულოდნელობამაც არ დააყოვნა. არა, მოულოდნელობაში სტუდენტთა გამარჯვებას როდი ვგულისხმობ, სტუმართა მოგება გასაკვირი სულაც არ გახლავთ, მაგრამ ასეთი ანგარიში, თვით თბილისელთა ხელმძღვანელობისთვისაც გამოდგა ერთობ გასაკვირი. მიუხედავად იმისა, რომ „კოლხეთმა" გუშინდელ მატჩამდე ბულგარეთში მოაწყო ორკვირიანი შეკრება და ასე თუ ისე შემადგენლობა გამოკვეთილი შეხვდა, პირველ სათასო შეხვედრისას აშკარად იგრძნობოდა, ფოთელთა გუნდში ყველაფერი რიგზე ვერაა. პირველ ყოვლისა, კოლხებს სწორედ შეთამაშება აკლდათ, აღარას ვამბობ უამრავ ტექნიკურ წუნზე. ამაზე ალბათ მინდვრის საფარმაც იქონია გავლენა, რომელმაც მეტისმეტად უსწორმასწოროს შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძლები, ეტყობა, თავიდანვე განწირულები იყვნენ, რისი უმთავრესი მიზეზიც სტუდენტთა დამრიგებლის ოთარ გაბელიას გონივრულად არჩეული ტაქტიკა გახლდათ. გუშინ სტუდენტებმა სწორედ ის ფეხბურთი ითამაშეს, საბოლოოდ ასეთი ანგარიშით რომ გაამარჯვებინებდა. მობილურმა და გააზრებულმა კონტრშეტევებმა, თსუ-ს, ფაქტობრივად, ნახევარფი-

# სტუდენტებს შინ შეეცადინიათ

ნალის საგზური დაუბევა. „კოლხეთი" კი, არავის საწყენად არ ვამბობ, გუშინდელი ბურთაობით ნახევარფინალში გასვლა რაა, სამჯერ სამით ნოლიც რომ წაეგო სტუდენტებთან, ალალი იქნებოდა. მოკლედ, საშესავლოდ სხვას ვერაფერს ვამბობ, თბილისლებმა დაიმსახურეს და მოიგეს. „კოლხეთი" კი პირწმინდად დამარცხდა.

ახლა თამაშზეც: თსუ-მ თავიდანვე დაცვაში „ჩაჯდომა" და სწრაფი კონტრიერიშების ტაქტიკა ირჩია. თუ ღალანიძის ერთ-ორ შორეულ დარტყმას არ ჩავთვლით, პოლონეთიდან ახალდაბრუნებულ წიფწივაძის შედარებით აქტიურობასთან ერთად, კოლხებს სხვა ღირებული არაფერი შეუქმნიათ. შესაბამისად, არც დოლიძეს ჰქონდა ნამეტანი მოზღვავებული სამუშაო. ლიბერო შალამბერიძე ყველაფერს გონივრულად „წმინდავდა". ტაიმის შუაში, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ, რითაც უმალ ისარგებლეს სტუმრებმა და ორი ასპროცენტიანი მომენტიც გააცუდეს. მათგან აღსანიშნავი კი ქორიძის გვასალიასთან პირისპირ დარჩენა გახლდათ, მაგრამ ფორვარდს ძალა დააკლდა დარტყმისას და მცველებმაც კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი. ფანიაშვილის სასტვენიდან ნახევარი საათის შემდეგ სტუდენტთა ერთადერთმა თავდამსხმელმა მაინც ისახელა თავი: მაზიაშვილის პასი ლამაზი დარტყმით დააგვირგვინა და გვასალიას შეცდომის შედეგად თავისიანები დააწინაურა. კოლხები გააქტიურდნენ, წასაგებ ანგარიშს ვერ შეეგუენენ, უკანმოუხედავადაც შეუტიეს. თუმცა იმდენად ქაოსურად, რომ საჯარიმოს ხაზამდეც ვერ აღწევდნენ. ტაიმიც ასე მორჩა. შესვენების შემდეგაც იგივე სურათი განმეორდა. „კოლხეთი" უსუსურად უტევდა, თსუ — გონივრულად თამაშობდა. მეორე 45 წუთშიც ორი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნეს მასპინძლებმა: ჯერ გიორგაძე — ქობულაძის კედელმა დააბნია სტუმრები და ქობულაძის თაური ოდნავ ასცდა მიზანს, შემდეგ კი ღალანიძის გასროლილს გუბაზ დოლიძემ კუთხურზე მიუჩინა ადგილი. ეგ იყო და ეგ. შალამბერიძემ მორიგი შეტევა ჩაშალა, შორეული, გამოზომილი პასით ქორიძე გვასალიასთან პირისპირ დატოვა, ამან გემეზაშვილს დაუგორა — ძელი შეზანზარდა. მერე ისევ ქორიძემ დააყოვნა დარტყმა და ქობელაძემ აართვა. ამასობაში გაბელიამ შუა ხაზის გასაძლიერებლად ვერემჩუკს უხმო, რომელმაც ჯერ გაფრთხილება დაიმსახურა, ორი წუთის შემდეგ კი როსტიაშვილის პასით გვასალიას შანსი აღარ დაუტოვა — წინგამოსულ მეკარეს ტექნიკური დარტყმით თავზე გადაუგდო ბურთი. ბრძოლაც აქ დამთავრდა. კოლხებმა ყურები ჩამოყარეს, მიხვდნენ, მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იყო. ხალხიც ნელ-ნელა იშლებოდა. ამ დროს ფოთელთა ნახევარზე საინტერესო სანახაობა ვიხილეთ: ოთხი სტუდენტი ერთის — კაკაჩიას წინააღმდეგ და გოლიც „გაკეთდა" — კაკაჩიას სხვა რა გზა ჰქონდა, ხელით ითამაშა. პენალტი მელქაძემ უნაკლოდ შეასრულა და ფანიაშვილმაც ბოლოჯერ ჩასტვინა. სტუდენტებმა გაიხარეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 10-ში და 14-ში ისინი ისევ „კოლხეთს" დაუპირისპირდებიან, ეგებ ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი გამოდგეს. მით უმეტეს მაშინ, როცა ოთარ გაბელიამ თქვა — თამაშით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა მოინდომეს და ღირსეულად იმარჯვეს. მთლად უნაკლოდ არ გვითამაშია, მაგრამ სასაყვედურო მაინც არაფერი მეთქმის. არა, ვერ ვიტყვი, უკვე ნახევარფინალში ვყოფთ, „კოლხეთი" „კოლხეთია", მათი ძალა ყველამ იცის, თბილისში რას მოიმოქმედებენ, ღმერთმა იცის, ეგაა, ამხელა უპირატესობის ხელიდან გაშვება არ ეგების. სიმართლეს გეტყვით, ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად ვირჯებით, მაგრამ ფოთში სამბურთიანი სხვაობით გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდიო...

ხობი
„კოლხეთი"
6 მარტი

**კოლხეთი** *ხობი* **0:5 ბათუმი**

**კოლხეთი:** თოლორდავა (მიქაძე 46), ონიანი, კაციტაძე, ლ. გვაზავა, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოჩა კვარაცხელია, კუტალია, დანელია, ქაშიბაძე, ზაზა აიანადი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, კანტიძე (ნ. მინდიაშვილი 71), თორლაშვილი, მ. მახარაძე, სოლოღაშვილი, ღლონტი (სიამაშვილი 81), აფხაზავა (რომანაძე 68), ზირაქიშვილი
0:1 კანტიძე (14), 0:2 თორლაშვილი (39), 0:3, 0:4 ზირაქიშვილი (41, 44), 0:5 თორლაშვილი (75)
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**იუზა კაციტაძე** ხობიდან

ამ საქმეში ევროპამდე ალბათ, ჯერ ბევრი გვიკლია, მაგრამ ცნება, რომ თასმა უფროს-უმცროსი არ იცის, ნელნელა ჩვენთანაც მკვიდრდება. ამას მიმდინარე გათამაშებაც ადასტურებს — მეოთხედფინალში თამაშის უფლება ხომ ორმა მეორეჯგუფელმა მოიპოვა. ერთი მათგანი ხობის „კოლხეთია". კოლხებს აქამდე იოლად არ მოუღწევიათ, გზად

# ფორმალობაღა დარჩა

მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდათ, განსაკუთრებით, რანგით უფროსებთან. გემახსოვრებათ, მათ ჯერ „სამგურალი" ჩამოიცილეს, მერე „გურია". მორიგ მეტოქედ კი წილისყრამ ხობელებს „ბათუმი" არგუნა, გუნდი, რომელსაც „დინამოს" გარდა თასზე ვერავინ ჩაგრავს. მართლაც მრავლისმეტყველია: ბათუმელებმა შვიდიდან ოთხ ფინალში ითამაშეს, თანაც ევროთასებზეც მიიღეს წრთობა. მოკლედ, „კოლხეთს" არ გაუმართლა. ამ წყვილში გამარჯვებულის ამოცნობა ძნელი არ გახლდათ. მით უფრო, რომ მასპინძლები სტუმრებს ერთობ უხასიათოდ დაუხვდნენ. „კოლხეთს" ძალიან უჭირს. როგორც შევიტყვეთ, მოთამაშეთა ერთად შეკრება მხოლოდ გუშინ მოხერხდა, ისიც დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ. ფეხბურთელები ხელფასების დაგვიანებას ჩიოდნენ. ამ ფონზე გასაკვირიცაა ის, რაც იქვე, სტადიონთან მდებარე მხედრიონელების მიერ გაპარტახებული უნიკალური სპორტკომპლექსის აღსადგენად კეთდება. აქ მართლაც ბევრი უმუშავიათ. ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო ორსართულიან შენობაში, რომელშიც სასტუმროც შედის, პირველ სართულზე გასახდელები, მსაჯთა ოთახი, სანიტარული კვანძები, საპრესკონფერენციო დარბაზი და სხვა დანიშნულების სათავსოებია განლაგებული. სამუშაოები სანახევროდ შესრულებულია. „კოლხეთის" ტექნიკურმა დირექტორმა პაატა თათარიშვილმა გვითხრა, ერთ თვეში აქაურობას ვერ იცნობთ, სულ მალე კარგი ბაზა გვექნება, შესაბამის გუნდსაც შევქმნითო. ყოველივე ამაში კლუბს რაიონის გამგებელი ანგული მიქავა და იქაური პარლამენტარი გოდერძი ბუკია ეხმარებიან.

თამაშის დაწყებამდე სტადიონზე შეკრებილმა აუდიტორიამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სფფ პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის ხსოვნას, ფეხბურთელები კი მოედანზე შავი სამკლაურებით გამოვიდნენ.

თვით მატჩზე ბევრი არც ითქმის. ბათუმელები მეტოქეზე ორი თავით მაღლა იდგნენ და ხუთბურთიანი სხვაობით რომ მოიგეს, ეს კიდევ არაფერია, უფრო მეტიც შეეძლოთ. ოთხი თვის ერთმანეთის უნახავ კოლხებთან, აბა, რა უნდა გასჭირვებოდათ.

პირველი ბურთი ხობელ მცველთა დაუდევრობის შედეგად გავიდა. საჯარიმოში ეულად დარჩენილმა კანტიძემ შანსი ხელიდან არ გაუშვა. მეორე თორლაშვილმა იმავე კანტიძის გრძელი გადაცემის შემდეგ შეაგდო. ტაიმის მიწურულს ბათუმელთა დებიუტანტმა ზირაქიშვილმა ისახელა თავი, თანაც ორჯერ. მართალია, მას ჯერ მასპინძელთა მეკარე დაეხმარა, კურიოზული ბურთი რომ გაუშვა — ალებული ვერ დაიმორჩილა, მაგრამ მეორედ ზაზამ მართლაც ოსტატურად ითამაშა, მცველთა ალყაში მოქცეულმა 15 მეტრიდან ზუსტად დაარტყა დაუცველ კუთხეში. შესვენების შემდეგ ბათუმელთა მოქმედება უფრო ვარჯიშს წააგავდა, მათ აღარ უცდიათ თამაშის გამწვავება, მაგრამ ერთიც გაიტანეს, ეს თორლაშვილმა თავისი საფირმო შორეული დარტყმით გააკეთა. მასპინძლები კი... მათაც ჰქონდათ ორი აშკარა საგოლე მომენტი, თუმცა ზაზა აიანადიმ ვერც ერთი ვერ გამოიყენა.

საპასუხო მატჩზე „კოლხეთი" მოვალეობის მოხდის მიზნით თუ ჩავა. სხვას არაფერს უნდა ველოდოთ — ოთხ დღეში „ბათუმი" ხომ კიდევ უფრო გაძლიერდება. გუნდს ტრავმებმოშუშებული მაჭუტაძე და ჭიჭველიშვილი შეემატებიან და შესაძლოა, გელა შეყილაძეც. ბათუმელთა თქმით, მას ბელგიურ „ლიერსში" დაუჯავშნია ადგილი, თუმცა ორ-სამ თვეს ისევ თავის მშობლიურ გუნდში დარჩება.

# დასასრულის დასაწყისის დასასრული



მერაბ მეგრელაძე

სასწაულია. აბა რა? მაშინ, როცა ზოგ ახალგაზრდას ვარჯიში ემძიმება და ოდენ თამაში იტაცებს, მის მამისტოლა კაცს ძალა და გული ახალგაზრდულად ერჩის.

ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე 42 წლის კამერუნელმა როჟე მილამ რომ ითამაშა, ეს ერთგვარი რეკორდიც იყო და სასწაულიც. ცხადია, სხვადასხვა დონეა მსოფლიოს საფეხბურთო ფორუმსა და ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატში. თუმცა ის, რაც ერთ ქართველ ფეხბურთელს ჩაუდენია და რის ჩადენასაც კვლავ აპირებს, ნამდვილად საოცრებათა სფეროდანაა.

ვის შეუძლია, დღეს გაგვაკვირვოს. გაგეცინებათ და, მერაბ მეგრელაძეს...

მეგრელაძე 37 წლისა საქართველოს ჩემპიონატის მომზარდირი გახდა 42 გოლით და მხოლოდ ასაკობრივი რეკორდი როდი დაამყარა.

მეგრელაძე 38 წლისა 31 ბურთით მეორედ გახდა ქვეყნის საუკეთესო მეგოლე.

მეგრელაძე 39 წლისა სეზონის ბოლომდე დასაჯეს მსაჯის ცემისთვის, მანამდე კი მხოლოდ ხუთი გოლის გატანა მოესწრო. ამის შემდეგ ვინღა იფიქრებდა მეგრელაძის აღზევებას, მაგრამ...

მეგრელაძე 40 წლისა 31 გოლით მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონის ბომბარდირი გახდა და „სამგურალი“ პირველ ჯგუფში დააბრუნა.

მეგრელაძე 41 წლისა „ტორპედოში“ შვილის მხარდამხარ თამაშობს და მასზე ორჯერ მეტზე მეტიც — 13 გოლი გააქვს.

და თითქოს აქ წერტილიც უნდა დასმულიყო, მერაბმა გზა თავის ვაჟსა და მის თანატოლებს დაუთმო. მაგრამ არა. მერაბს გულს უკლავს ახალგაზრდების უძლურობა და ითხოვს, „ტორპედოში“ თამაშის უფლება მისცენ — უარს ეუბნებიან. მისი სურვილის დაკმაყოფილებას არც რომელიმე სხვა გუნდი ცდილობს, მაგრამ...

მეგრელაძე 42 წლისა რუსეთის მეორე ლიგაში მიდის მოთამაშე მწვრთნელად. ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი“ პირველ ლიგაში უნდა გადაიყვანოს!

მეგრელაძეს ახლობლები ეხუმრებიან, შენი ხნის ხალხს საფლავის ლობე უკვე სამჯერა აქვთ გადალებილიო. არა. მერაბი ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ერთ კითხვას რა ვუყოთ?

რაღა დარჩენია უფროს მეგრელაძეს ფეხბურთში, ამ ხნის კაცს მინდორზე რაღა ესაქმება? — რა ქნას, თუ უბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. რა ქნას, თუ უფეხბურთოდ ოჯახიც ვერ ურჩენია.

ორშაბათს მერაბ მეგრელაძემ კედლიდან ჯერაც დაუმტვერავი ბუცები ჩამოხსნა და სათამაშოდ გაემგზავრა. მერაბი შორეთში წავიდა. წავიდა იქ, სადაც ენდობიან. და თუ მას ენდობიან, გაამართლებს. ხომ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მისთვის ასაკი მხოლოდ ზედმეტი ჭაღარაა და არა ზურგზე მოკიდებული უმძიმესი ტვირთი.

ვახტანგ ბზიკაძე

# პათოსი და არა წესი

ერთ-ერთ წინა „სარბიელში“ თბილისის „მერანის“ დამფუძნებელთა კრების შესახებ რომ დაიწერა, ამას გამოხმაურება წესით უცილობლად უნდა მოჰყოლოდა.

„მერანის“ პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძეს ეჭვი შეეპარა, რომ ამ გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა შეუწყო ხელი რომეო გოგიტაძისა და ზაზა ცქიფურიშვილის ოდესის „ჩორნომორეცში“ გასასინჯად უნებართვოდ წასვლას.

მოულოდნელად პირველები ისევ მერანელები გამოგვეხმაურნენ და რამდენიმე უზუსტობის გასწორება გვთხოვეს.

7 ათასი ლარი, რომელიც ნუგზარ ნავაძის თქმით, დამფუძნებელთა შემონაწირია და ორი თვის ხელფასს თუ გასწვდება, ყოველწლიური კი არა, ყოველთვიური ყოფილა. ეს თანხა წელიწადში 84 ათას ლარს შეადგენს. გუნდის შესანახად კი 160-170 ათასი ლარია საჭირო და დეფიციტს კლუბი ტრანსფერებით ავსებს.

შპს „მერანის“ დამფუძნებელი ყოფილა: „თბილტრანსი“ და მასთან ერთად სხვა ფირმები — „თეთრი ქალაქი“, „კოლხა“, „თერგი“, „ბიზნესი“, „საქნავთობპროდუქტი“ და ქართულ-იტალიური „ინდუსტრიაბანკი“.

რაც შეეხება კრების მიმინარეობას, რომელზეც ცოტა გავიხუმრეთ, მისი გამართვის წესი კი არ დაგვიწუნია, არამედ პათოსი გვეხამუშა.




ვიწვევთ მებრძოლებს

„ბრძოლა წესების გარეშე“
ღია ტურნირი

გამოცდილ სპორტსმენებთან ერთად დაიშვებიან არაპროფესიონალები. ტურნირი დაიწყება 5 აპრილს (ჩატარდება ყოველ კვირა დღეს).

საპრიზო ფონდი 30 000 ლარი

რეგისტრაცია 23 თებერვლიდან სპორტის სასახლეში.
სპორტული კლუბი „ოქტაგონი-97“ და შპს „რვაკუთხედი“
სპორტის სასახლე, ოთახი №1.
ტელ: 36-34-21


ალბანეთში, იქაური პირველობის 22-ე ტური გაიმართა: „ფლამურტარი“ — „ლაჩი“ 3:1, „აპოლონია“ — „პარტიზანი“ 2:1, „ბილისი“ — „ტომორი“ 1:0, „სკ ტირანა“ — „ბესა“ 1:0, „ტეუტა“ — „სოპოტი“ 4:0, „შკუმბინი“ — „სკენდერბეუ“ 1:0, „ლუშნია“ — „ელბასანი“ 1:3, „შკიპონია“ — „ვლაზნია“ 1:3. ჩემპიონატს 47 ქულით შკოდერის „ვლაზნია“ ლიდერობს, 43 ტირანას „პარტიზანს“ აქვს, 42 კი „სკ ტირანას“.

ინგლისური „ლივერპულის“ მცველმა სტივ ჰერკნისმა იუარა, „ასტონ ვილა“ — „ლივერპულის“ მატჩის დროს, სტენ კოლიმორისთვის რასისტული არაფერი მითქვამსო. საქმე ისაა, რომ ამ ბირმინგემული მატჩისას კოლიმორმა ორი გოლი გაუტანა თავის ყოფილ თანაკლუბელებს, თამაშის შემდეგ კი თქვა, ჰერკნისი რასისტული სიტყვებით მამკობდა და დამცინოდაო. „მან რამდენჯერმე მიწოდა „წყალწაღებული“ და ეს ყველაზე რბილი გამონათქვამი იყო. ჩემს კანის ფერს დასცინოდა და მინდა „ლივერპულის“ ზანგებმა იცოდნენ რა კაცი ჰყავთ გუნდში“ — უთხრა კოლიმორმა გაზეთებს. „ლივერპულის“ უფროსობა მხარში დაუდგა ჰერკნისს, კოლიმორის განცხადებას „აბსურდული“ უწოდა და პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას მიმართა, მტყუან-მართალი გაარჩიეო. „ვილას“ მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ კი განაცხადა, ჩვენ ჩივილს არ ვაპირებთ, მაგრამ თუ კოლიმორი საქმეს აღძრავს, მხარს დავუჭერთო.

ლევერკუზენის „ბაიერნის“ მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა, რომ კლუბის 32 წლის თავდამსხმელი, ულფ კირსტენი არ იყიდება. კალმუნდის განცხადება კი ბოლოდროინდელმა ხმამ გამოიწვია, კირსტენი მადრიდის „რეალთან“ აპირებს დალაპარაკებასო.

ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროსა და სან პაულუს შტატების შერეული შეჯიბრების ფინალის მეორე თამაში გაიმართა. „მარაკანას“ სტადიონზე „ბოტაფოგომ“ და „სან პაულუმ“ 2:2 დაასრულეს შეხვედრა და რახან პირველი მატჩი „სან პაულუს“ 3:2 ჰქონდა მოგებული, წრიული პირველობის ჩემპიონიც ის გამოვიდა.

ესპანეთის თასის ფინალი „ბარსელონასა“ და „მალიორკას“ შორის 29 აპრილს ვალენსიაში გაიმართება. ამ შეთანხმებამდე მივიდნენ ქვეყნის ფეხბურთის მამები და კლუბის უფროსები. თავიდან, სათასო ფინალის ადგილად მადრიდის „ბერნაბეუ“ იყო შეგულებული, მაგრამ ბარსელონას ძალიან არ უნდოდა მტრის მოედანზე ზედმეტად გასვლა. მალიორკელები კი ამბობდნენ, ჩვენი ინჩადა ვალენსიამდე უფრო იაფად იმგზავრებსო. „რა თქმა უნდა, სპორტული თვალსაზრისით მადრიდი უკეთესია, მაგრამ სხვა მხრივ ვალენსია გვირჩევნია“ — განმარტა მალიორკელთა პრეზიდენტმა ბარტოლომე ბელტრანმა — „ვალენსია ჩვენთან სოციალურადაც უფრო ახლოა“. ვალენსიას „მესტალას“ სტადიონი მხოლოდ 49 ათას კაცს იტევს და ეს „ბერნაბეუს“ ნახევარიც არ არის.

ჰოლანდიის თასის მესამე რაუნდის მატჩში II ლიგის „დენ ბოშმა“ შინ 1:2 წააგო „ეინდჰოვენთან“. „ეინდჰოვენმა“ დამატებით დროში კლაუდიოს „ოქროს გოლით“ მოიგო.

ხორვატიის ნაკრებმა პირველი საშინაო მარცხი იწვნია. მიროსლავ ბლაჟევიჩის გუნდმა 1:3 წააგო ზაგრებში ხორვატიის ნაკრებთან. ოღონდ, ეს ნაკრები ხორვატმა ჟურნალისტებმა შეადგინეს იმ ფეხბურთელთაგან, რომლებსაც ბლაჟევიჩმა ძირითად შემადგენლობაში თამაში არ აღირსა. ხორვატულ მედიასა და ნაკრების მწვრთნელს შორის კარგა ხანია, შავმა კატამ გაირბინა და ბლაჟევიჩიც იმიტომ დათანხმდა ამ უცნაურ თამაშზე, რომ პრესისთვის მისი უვარგისობა დაენახვებინა, მაგრამ საქმე პირიქით შეტრიალდა. უმწვრთნელო ხორვატებმა, თავიანთ ჭკუაზე რომ დარბოდნენ, სირცხვილი აჭამეს ეროვნულ გუნდს. ადრიან კოჟიკუმ ორჯერ გაუტანა მხცოვან გოლკიპერ დრაჟენ ლადიჩს. ერთი ბურთიც მარიო ბაჟინამ შეაგდო. ამან ძალზე გაანაწყენა ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ერთადერთი საპასუხო გოლის გამტანი ზვონიმირ ბობანი, რომელიც უკითხავად გავიდა მოედნიდან. ბლაჟევიჩს მისი შემცვლელი აღარ გაუყვანია. ჩანს, თვითონაც ნირწამხდარი იყო.

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთში გადადგა „კომპოსტელას“ მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი. 43 წლის ვასკესი სამ წელიწადს ხელმძღვანელობდა გალისიურ კლუბს, რომელიც ამ სეზონში პირველი დივიზიონის მეშვიდე გუნდი შეიქნა, მწვრთნელს რომ იცვლის. მაჩანჩალა „კომპოსტელამ“ გასულ შაბათს 2:3 წააგო „ბეტისთან“ და ჩანს, კლუბის უფროსთა ფიალა ამან საბოლოოდ აავსო.

ციურიხში ითათბირეს და დაადგინეს, რომ კონფედერაციათა თასის მორიგი გათამაშება 1999 წლის იანვარში გაიმართება მექსიკაში. ამიერიდან, კონფედერაციათა თასის ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება და მისი მასპინძელი ადრიდანვე შეიქნება ცნობილი. 1999 წლის თასის მასპინძლობა კი მექსიკელებს უნდათ.

გლაზგოში „რეინჯერსის“ მენეჯერ უოლტერ სმიტის პატივსაცემი მატჩი ჩატარდა. გაჭედილი „აიბროქსის“ თვალწინ „რეინჯერსმა“ „ლივერპული“ დაამარცხა ალი მაკოისტის ერთადერთი გოლით. სმიტს კი, რომელიც მეშვიდე წელიწადია მენეჯერობს „რეინჯერსს“ და სულ ჩემპიონად ჰყავს, ნახევარი მილიონი გირვანქა ერგო.

გერმანიის ბუნდესლიგის ბოლო გუნდის მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ მწვრთნელმა ნორბერტ მაიერმა თქვა, რომ თუ შაბათს მისი გუნდი „კარლსრუესთან“ წააგებს, უპირობოდ გადადგება. „ეს მარტივი ამბავია, თუ დავმარცხდით, მე წავალ“ — განმარტა მაიერმა ტელეინტერვიუში. ჩემპიონატის 24 ტურში „ბორუსიას“ ხუთადხუთი გამარჯვება აქვს, მაიერი კი სულ სამი თვეა, რაც გუნდში მუშაობს. „მისი წასვლა-არწასვლით რა შეიცვლება? პრობლემა უფრო ღრმაა, ვიდრე მაიერის გადადგომის ამბავი“ — ასეთია გლადბახელთა მენეჯერის როლფ რუსმანის აზრი.

ბრაზილიის „ფლამენგოს“ მწვრთნელმა პაულუ აუტორიმ, რომელმაც ოთხშაბათს თავისი გადადგომის შესახებ გამოაცხადა, ახლა აზრი შეიცვალა. „მე ვრჩები“ — უთხრა აუტორიმ „გლობოს“ ტელევიზიის წამყვანს. აუტორის გადადგომის განცხადება იმას გამოუწვევია, რომ ბრაზილიის თასზე „მენგოს“ 0:5 წაუგია „ვიტორიასთან“ და განაწყენებულ ტორსიდას კლუბის ოფისი დაულეწია. შეშინებულ აუტორის კი უთქვამს, თუ ეგრეა, წავალო, მაგრამ აქ ფეხბურთელებს უვაუკაციათ, წაგება ჩვენი ბრალია, იმტაზე ვერ ვიყავითო. „პაულუ კარგი კაცია. ჩვენ მოგვწონს მის ხელქვეით თამაში და ვარჯიში“ — განუცხადებია რომარიოს და მის სიტყვას რა ფასიცა აქვს, ყველას მოეხსენება.

ინგლისის „ნიუკასლის“ თავმჯდომარემ ფრედი შეფერდმა თქვა, რომ ჯერჯერობით არ გარკვეულა დუბლინური ინციდენტის საქმეში და ამიტომ ვერავის დასჯის. გუშინწინ ინგლისურმა გაზეთებმა გაახმაურეს ამბავი, თითქოს დუბლინში ხანმოკლე დასვენების დღეებზე სალოთაოდ ჩასული „ნიუკასლის“ ფეხბურთელებს ჩხუბი მოსვლოდეთ და ალან შირერს კიტ გილესპი გაელახოს. გილესპის საავადმყოფოში მოხვედრა დადასტურებული ფაქტია, მისი ჩალურჯებული თვალიც ყველამ ნახა, მაგრამ შეფერდი არ ჩქარობს. გუნდს თასის თამაში აქვს „ბარსელონასთან“ და თანაც დუბლინის არც ერთი პაბიდან არ მოსულა შეტყობინება აყალმაყალის შესახებ. „კლუბი საქმეს გამოიძიებს და შინა განაწესის მიხედვით დასჯის დამნაშავეს“ — განმარტა შეფერდმა.

სქოთებისა და, გლაზგო რეინჯერსის“ 33 წლის მეკარემ ენდი გორამმა განაცხადა, რომ აქედანვე უნდა იცოდეს, გაუგრძელებს თუ არა მშობლიური კლუბი კონტრაქტს. გორამმა იცის, რომ ახალი სეზონიდან „რეინჯერსში“ ახალი მენეჯერი, ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი მივა და შიშობს, ვაითუ წლეულს უფერულად ნათამაშევმა შეხვედრებმა ახალ მწვრთნელს ჩემზე გული აუყაროსო. გორამის კონტრაქტი ზაფხულში იწურება და მასაც უმუშევრად დარჩენა არ უნდა. თუმცა ამის განმცხადებელ ზონზროხა მეკარეს უკვე შეეხმიანა ლონდონის „კრისტალ-პალასი“, რომელსაც ცალი ფეხი უკვე პირველ დივიზიონში აქვს.

ბელგიური „ბრიუგე“ ჩემპიონატში დაუმარცხებელ სვლას განაგრძობს. გუნდმა ზედიზედ ოცდამეოთხე შეხვედრაში არ წააგო. აღსანიშნავია, რომ ბრიუგელთა ბოლო გამარჯვება „ლიერსთან“ ზედიზედ მეხუთე გახლდათ. ასეთი შედეგების წყალობით გუნდი დღეისათვის 17 ქულით ლიდერობს, ბელგიელთა ჩემპიონატის დამთავრებამდე კი 10 ტურიღა რჩება. ამიტომაცაა „ბრიუგე“ სააგენტო როიტერის კლასიფიკაციაში წაუგებელ სვლათა განყოფილების ლიდერი. მას 17 წაუგებელი თამაშით გერმანული „ლევერკუზენი“ მოსდევს, მაგრამ ზოგადად, უძლიერეს კლუბთა სიაში გერმანელები მეათეზე არიან, ბელგიელები კი მეთერთმეტზე. უძლიერეს კლუბებს სათავეში იტალიური „იუვენტუსი“ უდგას, რომელსაც 102,61 ქულა დაგროვებია. მეორეზე 91,73 ქულით იტალიურივე „ლაციოა“. მესამეზეც იტალიელთა სერია A-ს გუნდია — „მილანი“, რომელსაც 90,85 ქულა აქვს. შოთა არველაძის „აიაქსი“ მოეთხეა. ზედიზედ მიღწეულ მოგებათა სიაში ლიდერია დანიური „ბრონდბიუ“ — 8. ყველაზე მეტი კი ინგლისურ „კარისტალ პალასს“ წაუგია — ზედიზედ 6. ყველაზე მეტი გოლი ერთ შეხვედრაში დანიურ ლიგაში გადის — 3,57. მეორეა ჰოლანდია — 3,19, ხოლო ბოლო პოლონეთი — 2,33.

ანგოლელთა ეროვნული გუნდი აფრიკის თასზე იმედგაცრუების შემდეგ სვაზილენდში, „კოსაფა კესტლის“ თამაშზე სრულიად გადახალისებული შემადგენლობით მიდის. ანგოლას ახალი მწვრთნელი ჰყავს — ფრანსისკო დე აბრეუ, რომელმაც თანამდებობაზე პორტუგალიელი მანუელ გომეში შეცვალა. ძველი, გომეშისეული გუნდიდან დე აბრეუმ გუნდში გერმანიაში მოთამაშე მიგელ პერეირა დასტოვა. პერეირამ აფრიკის თასამდე ცოტა ხნით ადრე ითამაშა პირველი შეხვედრა ეროვნულ გუნდში. კვირის თამაში პირველი რაუნდის ხუთი დუელიდან ბოლოა. პირველი რაუნდის შედეგად კი უკვე გაწბილდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მიმავალი სამხრეთ აფრიკა, რომელსაც იანვარში ნამიბიამ მოუგო. ანგოლას იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს და შეუერთდება მოზამბიკს, ნამიბიას, ზამბიას და ზიმბაბვეს. ალბათ ასეც მოხდება, რამეთუ სვაზილენდს ბოლო ხუთ წელიწადში ერთი თამაშიც არ მოუგია. სვაზილენდსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს — ზამბიელი ფრანსის ბანდა.

პორტუგალიურმა სპორტინგმა ხელი მოაწერა ჰოლანდიურ-პორტუგალიურ კონსორციუმთან ხელშეკრულებას, რომელიც 70 მილიონი დოლარის დახარჯვასა და ძველი, 40 ათასიანი სტადიონის მაგივრად ახალი, 50 ათასიანი სარბიელის აგებას მოიცავს. ახალი სტადიონი 2001 წლისთვის იქნება მზად. სამუშაოები 1999 ელს დაიწყება, დამთავრების შემდეგ კი „ავალადეს“ სტადიონს დაანგრევენ და ტერიტორიას ქალაქის მერიას გადასცემენ. როგორც „სპორტინგის“ პრეზიდენტმა ჟოზე როკეტემ განაცხადა, ისევე როგორც მთელ ევროპაში, პორტუგალიაშიც სტადიონები ძლიერ დაძველებულია.

რუსეთის ფეხბურთში დიდი სკანდალია — საქმე მოსკოვის „სპარტაკსა“ და სანქტპეტერბურგის „ზენიტს“ შორის 1996 წელს ჩემპიონატის ბოლო მატჩში ანგარიშის გაყალბებას ეხება. მაშინ „სპარტაკი“ პირველობის ლიდერ „ალანიას“ მხოლოდ „ზენიტის“ ძლევით ეწეოდა. მართლაც, მოსკოველებმა მეტოქე 2:1 დაამარცხეს, შემდეგ კი ვლადიკავკაზელებთან ქულებით გათანაბრებულებმა, დამატებით დანიშნულ შეხვედრაში „ალანიას“ მოუგეს და ჩემპიონობაც მოიპოვეს. ეს საქმე, შესაძლოა, არც წამოტივტივებულიყო, ყოველკვირეულ „კალეიდოსკოპში“ დაბეჭდილი „ზენიტის“ ყოფილი მოთამაშის, სერგეი დმიტრიევის ინტერვიუ რომ არა, რომელშიც თანაგუნდელებს თამაშის „ჩაწყობაში“ ადანაშაულებს. რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიქტორ მარუშჩაკმა განაცხადა, ამჟამად დმიტრიევი თავის გუნდთან ერთად (იგი ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ თამაშობს) თურქეთშია შეკრებაზე, მაგრამ რომ ჩამოვა, უმალ დავკითხავთო. გამოძიება კი, თითქმის ერთი კვირაა, რაც დაიწყო.

# არავის მოუგია, არავინ დამარცხებულა

## ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის მიმოხილვა. პირველი მატჩები

### იუვენტუსი 1:1 დინამო

იუვენტუსი: პერუცი, იულიანო, მონტერო, ტორიჩელი (დიმაში 63), ბირინდელი (კონტე 67), დეშამპი, დი ლივიო (ფონსეკა 81), ზიდანი, დევიდსი, დელ პიერო, ინძაგი
დინამო: შოვკოვსკი, ბეჟენარი, გოლოვკო, ლუჟნი (რადჩენკო 70), დმიტრულინი (კოლოსიანკო 46), კოსოვსკი, კალიტვინცევი, გუსინი, გერასიმენკო (მიხაილენკო 70), შევჩენკო, რებროვი
0:1 გუსინი (57), 1:1 ინძაგი (76)

ქართველ გულშემატკივართა იმ ნაწილმა, ვისაც საქენერგომ და თელასმა დიდი პატივი დასდო და ოთხშაბათ ღამე თუ ხუთშაბათ დილას დენი მისცა, ანუ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები აჩვენა, იხილა უჩვეულო რამ: კიევის



იუვენტუსი — დინამო. ინძაგის და გოლოვკოს ორთაბრძოლის მსგავსი ხშირი იყო

„დინამოს" მწვრთნელმა, დაბერებულმა, მოსუქებულმა, მაგრამ გამჭრიახმა კალერი ლობანოვსკიმ თვალები ჯერ მაღლა აქაჩა, მერე დაბლა, მერე მარჯვნივ გაიხედა და ბოლოს მარცხნივ. სამჯერ გაიმეორა ასე. იგივე მოხდა მეორე ტაიმშიც. რა იყო ეს, ნერვიული მოძრაობები? არა, ბატონებო, ასე, ერთ დროს კომუნისტთა იმპერიის ნაკრების მწვრთნელმა პირჯვარი გადაისახა. უკომპლექსო ადამიანები ამას ჩვეულებრივ ხელით აკეთებენ.

ლობანოვსკის გოლკიპერი, ახალგაზრდა ალექსანდრ შოვკოვსკი კი ამ დროს ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" სასწაულებს ჩადიოდა. „ბებერი ქალბატონის" დიდოსტატებმა ნაირ-ნაირი დარტყმების მთელი მარაგი ამოწურეს, მაგრამ შოვკოვსკის მუხლი არ აკანკალებია და რეაქცია არ დაბლავებია.

მეკარის ოსტატობის ქება დანარჩენ კიეველთა ღვაწლის დაკნინებას არ ნიშნავს. მათ ჩვეულ ჯგუფურ პრესინგს მთელი გული ჩააქსოვეს და „ამბრაზურებსაც" გადაეფარნენ, მაგრამ გაბრწყინებით შოვკოვსკიმ გაიბრწყინა.

მაშ თუ სულ „იუვენტუსი" უტევდა, კიევი რატომ დაწინაურდა? იმიტომ, რომ მათი ლამის პირველივე კონტრშეტევა (57-ე წუთზე!) გოლით დასრულდა. ფეხბურთში ასეთი ხდება.

კი მაგრამ, გოლის მერე, რამდენიმე წუთში ინგლისელმა მსაჯმა პოლ დარკინმა (მან გასულ ზაფხულს „დინამო" — „ლევერკუზენი" იმსაჯა თბილისში) ხომ აშკარა პენალტი არ დანიშნა „დინამოს" სასარგებლოდ? მართალია. ოღონდ ისიც ფაქტია, რომ დარკინმა მანამდე და მერე კიეველებს საჯარიმოში ორი ხელბურთი აპატია.

— ვიცოდი, რომ მეტოქე 10 ან 11 კაცით ბურთს უკან დგომის ტაქტიკას აირჩევდა და ამის გამო მასზე აუცს არ ვიტყვი, მაგრამ ორ მოთამაშეზე მეტით კონტრშეტევას თუ ვერ გაბედავდა, ნამდვილად არ ველოდი. ვგონებ, კიევში გამარჯვება შეგვიძლია. ამით „დინამოს" შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ, მინდა ჩემს ფეხბურთელებს დღევანდელი გარჯა და თავდადება დაუფასდეს — თქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „იუვეს" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

შოვკოვსკის მიერ გაწბილებული, იტალიის ნაკრების ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიოც გაოცებული ჩანდა.

— წარმოუდგენელი რამ მოხდა. არასდროს მინახავს ხალხი ბურთს სხეულით ასე ეფარებოდეს. ამან ძლიერ გაგვირთულა საქმე. მართლაც რომ ყველას თავისი სტილი აქვს — განაცხადა მან.

თუ კიევის „დინამო" კარგ ფორმაშია, მისი საჯარიმოსთან მიჭყლეტა ძალიან ძნელია. ლობანოვსკი თავს მეტოქის მოედანზევე იცავს ხოლმე, არადა „იუვენტუსმა" მას ამის საშუალება არ მისცა. იყო გვარიანი მონაკვეთები, როდესაც ყოფილ საბჭოელებს მასპინძელთა შტურმის გაძლება უჭირდათ. იყო დელ პიეროს მიერ ხარიხას გარტყმული ბურთიც, მაგრამ რაც მთავარია, იყო შოვკოვსკი.

ორი კვირის შემდეგ კიევში საპასუხო მატჩია. თურმე ამ შეხვედრაზე დასაწრები 100 ათასი ბილეთიდან 50 ათასი უკვე გაყიდულია.

### ბაიერნი 0:0 დორტმუნდი

ბაიერნი: კანი, მათეუსი (ფინკი 75), ბაბელი, ჰელმერი, ჰამანი, ნერლინგერი, ტარნატი, ბასლერი, შოლი (შტრუნცი 71), ელბერი, იანკერი
დორტმუნდი: კლოსი, ფაიერზინგერი, კოლერი, ჟულიო სეზარი, ფროინდი, ბუტი, ჰაინრიხი, რიკენი, მიოლერი, დეშეივერი (ჰერლიხი 64), შაპუიზა (ცორკი 88)

მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე დაბრუნება დორტმუნდელთათვის არც ისე სასიხარულო გამოდგა — შარშან გაზაფხულზე „ბორუსიამ" ამავე მინდორზე ჩემპიონთა ლიგის ფინალში იმარჯვა. მაშინ გუნდს ოტმარ ჰიცფელდი წვრთნიდა და „ბორუსიაც" შესანიშნავად თამაშობდა. ახლა ჰიცფელდი ნევიო სკალამ შეცვალა და დორტმუნდმაც თავი ჩაქინდრა, თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ ბუნდესლიგაში.

...მასპინძლები ქვეყნის ჩემპიონობისთვის იბრძვიან, „დორტმუნდი" კი კრიზისიდან თავის დაღწევას ცდილობს. ჯერჯერობით უშედეგოდ. მიუხედავად მეტოქეთა განსხვავებული სატურნირო მდგომარეობისა, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბუნდესლიგის გუნდი, რაც უნდა სუსტი იყოს შინაურ ასპარეზზე, ევროპაში ყოველთვის ანგარიშგასაწევია — რომელიმე სხვა ქვეყნის გუნდებში რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აუცილებლად ძლიერი იმარჯვებდა. აქ კი, მიუხედავად მასპინძელთა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობისა, „ბაიერნი" მხოლოდ და მხოლოდ ნულოვან ფრეს დასჯერდა.

— რომ ვთქვა შედეგით კმაყოფილი ვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ისეთი მომენტების გამოუყენებლობა, ჩვენ რომ გვქონდა, დასანანია. მიუხედავად ამისა, საპასუხო მატჩის წინ იმედიანად ვარ. განა მეტოქე ამ შეხვედრამდე გამარჯვებას არ იმედოვნებდა? მართალია, შინ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ეს „ბორუსიას" ნახევარფინალისტად მოხსენიების არანაირ უფლებას არ იძლევა — განაცხადა „ბაიერნის" თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

მართლაც, მასპინძელთა ყველანაირი უპირატესობა საგრძნობი იყო, მაგრამ მათი ძლიერება მხოლოდ მეტოქის ნახევარზე უფრო ხშირად ყოფნით და ორი შერყეული ძელით გამოიხატა და არა გოლებით. სტუმრებს აშკარად უმართლებდათ. გოლისგან ისინი ორჯერ ძელმა დაიხსნა, ერთხელაც ჟულიო სეზარის ფეხმა. ნურც იმას იფიქრებთ, თითქოს ორ ძელს შუა მდგარი კლოსი არაფერს აკეთებდა. საქმე ასე სულაც არ ყოფილა — ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკარემ მაღალ დონეზე ითამაშა, სწორედ ისე, როგორც პრინციპულ მატჩებში სჩვევია. რომ არა ივი, შეიძლება მიუნხენელებს შემდეგ წრეში გასვლა ამ შეხვედრაშივე დაებევებინათ. მართალია, ბურთი ორჯერ ძელს მოხვდა, მაგრამ ამას მეკარის მინუსად ვერ ჩავთვლით. ისიც შესაძლებელი იყო, ბურთი ძელს კი არ მოხვედროდა, კარს ასცილებოდა, დაახლოებით ისე, მიოლერის დარტყმისას რომ მოხდა. სხვათა შორის, დორტმუნდელთაგან მიოლერი ძალიან გამოირჩეოდა — ეს მართლაც უძლიერესი ნახევარმცველი გუნდის სული და გული იყო.

...სკალა ობიექტური კაცი ყოფილა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფეხბურთელთა კრიტიკას რომ თავი დავანებოთ, ზოგიერთი კოლეგასავით თავის მართლება არ დაუწყია — თამამად თქვა, დღეს მეტოქეს გადავურჩით, „ბაიერნი" აშკარად გვჯობდა, კიდევ კარგი, გოლი არ გავუშვითო.

— კმაყოფილი ვარ შედეგით, მაგრამ არა თამაშით. დღესდღეობით „ბორუსია" ნამდვილად არაა სათანადო დონეზე და სასურველ თამაშს, ალბათ, ორ კვირაშიც ვერ შევძლებთ, მაგრამ იმას კი დაგპირდებით, რომ დორტმუნდში გაცილებით უკეთესნი ვიქნებით. მართალი გითხრათ, ჰერლიხის ასეთ კარგ თამაშს არ მოველოდი. ვფიქრობ, მას შესწევს უნარი, გუნდის ლიდერობა იტვირთოს — თქვა სკალამ, რომელსაც ჩემპიონთა თასის გარდა თასების თასი მოუგია და უეფასიც, როცა ივი „პარმას" წვრთნიდა. სხვათა შორის, მას ჯოვანი ტრაპატონის დარად „მილანში" უთამაშია.

ორი კვირის შემდეგ დორტმუნდში მეტოქენი ნახევარფინალისტის ვინაობას გაარკვევენ. მოსალოდნელია, საპასუხო შეხვედრაში მიუნხენელთა ლიბერო ლოთარ მათეუსმა ვერ ითამაშოს — დასასრულამდე 15 წუთით ადრე მან ფეხის ტრავმა მიიღო და გამოცვალეს კიდეც. თავად ევროპის 1990 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა თქვა, ვიმედოვნებ, დორტმუნდში თამაშს შევძლებო. ვნახოთ.

...სხვათა შორის, ეს ორი კლუბი ევროტურნირებზე ერთმანეთს არასდროს დაპირისპირებია.

### ლევერკუზენი 1:1 რეალი

ლევერკუზენი: ჰაინენი, ნოვოტნი, ვიორნსი, ზივკოვიჩი, ჰაინცე, ლენჰოფი (ფელდჰოფი 71), რამელო, ბაინლიხი, რინკი, ემერსონი (ლოტნერი 87), კირსტენი
რეალი: ილგნერი, პანუჩი, იერო, სანჩესი, რობერტო კარლოსი, კარემბუ, რედონდო, ზეედორფი, რაული (მორიენტესი 71), სავიო (ამავისკა 88), მიატოვიჩი
1:0 ბაინლიხი (18), 1:1 კარემბუ (74)

— გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. გამიხარდა, მატჩი ფრედ რომ დასრულდა. მართალი გითხრათ, ჩემი მწვრთნელობისას გუნდს ასე კარგად ჯერ არ უთამაშია — განაცხადა ჩვენთვის კარგად ნაცნობმა კრისტოფ დაუმმა, რომლის „ლევერკუზენმაც" სამეფო გუნდს გასვლითი მატჩი არ მოაგებინა. ისე, მართალი რომ ვთქვათ, დაუმი გახარებული კი არა, დაღონებული უნდა ყოფილიყო — „ლევერკუზენი" მეტოქეს სჯობდა, თან შესამჩნევად, „რეალი" კი, დამეთანხმებით, არაა ის გუნდი, ყოველმა მეორემ დააჩოქოს. ამ დროს ცოტა უცნაურადაც კი ჟღერდა სტუმართა მწვრთნელ იუპ ჰაინკესის მატჩისშემდგომი აზრი — სამწუხაროა, მხოლოდ ფრეს რომ დავჯერდით, აქ მოსაგებად ჩამოვედით. „რეალი" სტუმრადაც, შინ თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მოგებას ცდილობს, ამიტომ ესპანელთა ლევერკუზენში მოსაგებად გამგზავრება გასაკვირი სულაც არაა. უცნაური მხოლოდ ისაა, რომ ეს რომ გინდოდეს, რაღაცის იმედი უნდა გქონდეს, „რეალის" თამაში კი იმედგაცრუების მეტი არაფერი ყოფილა. მართალია, სტუმრებმა გოლიც გაიტანეს, რობერტო კარლოსმა ხარიხაც შეაზანზარა და საგოლე შანსებიც ჰქონდათ, მაგრამ თითო-ოროლა მომენტი „რეალს" კი არა, ყველაზე სუსტ გუნდებსაც შეძლება მიეცეს, მიეცეს და არა შექმნან. ესპანელებს გოლის გატანის შესაძლებლობა თავიანთი ძალისხმევით არ ჰქონიათ, მასპინძლების უყურადღებობის ბრალი იყო.

ანგარიში შტეფან ბაინლიხმა გახსნა — მან მისსავე დარტყმულს შეღეგიანად დაამატა. ასეთ საპასუხისმგებლო



ლევერკუზენი — რეალი. ემერსონი იეროს (№4) აუხტა-დაუხტა, მაგრამ სიზმარი არ აუხდა

მატჩში დაწინაურება ძალიან სასიხარულოა, მაგრამ რობერტო კარლოსის უძლიერესმა დარტყმამ მასპინძლებს კინაღამ ჩააშხამა ყველაფერი — მცველებმა უძლიერესი დარტყმის მქონე ბრაზილიელი დროზე ვერ დააზღვიეს და მანაც ჩვეულად, საშინელი ძალით გაისროლა — ხარიხა ბურთს ადვილზე დახვდა. მიმდინარეობდა მე-19 წუთი.

საბოლოოდ მეტოქეებს შორის მაინც ზავი ჩამოვარდა — კარემბუმ, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ემანდ სიზმარა ემერსონის ხილვები მართლაც არ ახდესო და ჰაინენს გაუტანია.

...შეხვედრის დასასრულს სტუმართა გერმანელი მეკარე ბოდო ილგნერი ჟურნალისტებმა მოიხელთეს და კარგა ხნის მონატრებულს კითხვებით ყურები გამოუჭედეს. ილგნერმაც ითმინა, ითმინა, ბოლოს კი, რომ მიხვდა, არ მომეშვებიანო, ზრდილობის გამო გაიცინა და ბაინლიხის გოლი შეაქო, ასეთი ბურთი ჯერ არ გამიშვიაო. ამის თქმა იყო და ილგნერიც გაუჩინარდა, ბოროტმა ენებმა კი ხმები დაუყარეს, ჰაინკესი მადრიდში მის ნაცვლად კანისარესს ათამაშებსო.

### მონაკო 0:0 მანჩესტერი

მონაკო: ბარტეზი, სანიოლი, დუმა, კონჯიჩი, ლეონარდი, ლეგვინსკი, ჯეტუ, ბენარბია (კარნო 75), კოლინზი, იკპება (სპეჰარი 61), ანრი (ლეფევრი 80)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, ბერგი, ირვინი (მაკკლეირი 66), ბექჰემი, ფ. ნევილი, სქოული, ბათი, შერინგემი, კოული

„მანჩესტერ იუნაიტედმა" შესანიშნავად დაიცვა თავი და შემდეგი ეტაპისკენ გარკვეული ნაბიჯიც გადადგა. „ლუი მეორეს" სტადიონზე საფრანგეთის ჩემპიონმა თითებზე ჩამოსათვლელი ნახევარმომენტები შექმნა და [illegible] რაში „ოლდ ტრაფორდზე" ძნელი შეხვედრა ელის.

— ჩვენ კარგ შედეგს მივაღწიეთ. კმაყოფილი ვარ მცველების დაკვირვებული თამაშით — თქვა მატჩის შემდეგ „იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — კარგი სამუშაო გავწიეთ. რისკი გეგმაში არ გვქონდა.

ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ რვა მანჩესტერელ ფეხბურთელს „ლუი მეორეს" მოედანი ხელს უშლიდა ოსტატობის გამოვლენაში (ინგლისელებისგან ადამიანი ყოველგვარ ჩივილს უნდა ელოდოს!).

— უწინ ძალიან გამოუცდელნი ვიყავით. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სტუმრად გამარჯვება მოვინდომეთ, მაგრამ დღეს ძველი შეცდომა აღარ გავიმეორეთ — განაგრძო ფერგიუსონმა — წინათგრძნობა მკარნახობდა, რომ თავდაცვის ტაქტიკა შედეგს მოგვიტანდა.

„იუნაიტედის" ერთადერთი მომენტი მე-60 წუთისთვის იყო, როდესაც „მონაკოსა" და საფრანგეთის ნაკრების მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა ტედი შერინგემის თაური თითის წვერებით ხარიხას მიღმა გადააგდო.

მონაკოელთა დაცვაც არ დაჩაგრულა. შერინგემი და ენდი კოული, რომელსაც ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ხუთი გოლი აქვს გატანილი, მჭიდრო მარწუხებში იყვნენ მოქცეული. მასპინძელთა ორიოდ შეცდომით კი ინგლისელებმა ვერ ისარგებლეს.

საპირისპირო კართან, თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ხორვატმა თავდამსხმელმა რობერტ სპეჰარმა, მოედანზე შემცვლელად რომ შევიდა, ჩინებული პოზიციიდან სუსტად დაარტყა თაური და „იუნაიტედის" დანიელ მეკარეს პიტერ შმაიხელს მოგერიების საშუალება მისცა.

მონაკოელებს იმედი აქვთ, რომ საპასუხო შეხვედრისთვის ფორმაში შევა მათი და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე.

მათ შემადგენლობაში ვერ გაიბრწყინა ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ. ცუდად ითამაშა ლიგაში ექვსი გოლის ავტორმა ტეირი ანრიმაც.

— ახლა შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. მთავარია, რომ გოლი არ გაგვიშვია, ამიტომაც ვფიქრობ, სტუმრად შესაძლოა გაგვიმართლოს კიდეც. მეტიც, მწამს, რომ მანჩესტერში ჩვენ მეტი შანსი გვაქვს. სხვათა მოედანზე ძალიან ძლიერად ვთამაშობთ ხოლმე — განაცხადა „მონაკოს" თავკაცმა ჟან ტიგანამ და დასძინა — დღეს მეგონა მეტ ხიფათს შევქმნიდით მოწინააღმდეგის კართან. გულნატკენი ვარ, რომ ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, შეტევაში ღონე და სიმწვავე არ გვეყო.

მონაკოელებმა კარში პირველად 26-ე წუთზე დაარტყეს, როდესაც მარცხენა მცველმა ფილიპ ლეონარდმა დაბალი გოლის შეგდება სცადა, მაგრამ შმაიხელმა ახლო კუთხესთან მოიგერია. ცოტა ხანში კვლავ შმაიხელმა იმარჯვა, როდესაც ლეონარდის ჩაწოდებული „იუნაიტედის" ნორვეგიელმა ცენტრალურმა მცველმა იონსენმა ვერ ჩაჭრა და ტიერი ანრიმ დაარტყა მარჯვენა ფეხით.

მანამდე, ორი წუთით ადრე ნორვეგიელმავე ჰენინგ ბერგმა ალი ბენარბიას დარტყმულს გადაუღობა გზა.



ბაიერნი — დორტმუნდი. უშედავათო ბრძოლამ შედეგი არ მოიტანა

**ლაშა გოდუაძე**

# ლიგა — სანახაობა

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ პირველ კვირაში, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის გამო უნდა ილაპარკო, რაც დიდად საკვირველი არ უნდა იყოს. კარგა ხანია, რაც ლიგა საერთაშორისო საკლუბო ფეხბურთს საზომად აქვს — განა ბევრ კლუბს რგებია ბეჭზე სალიგო ლერბის ტარების პატივი?

როცა ლიგა იწყება ხოლმე, ყოველთვის დიდი ხმაურია, აქაოდა, ეს არის თვალშეუდგამი სანახაობა, რაც კი რამ საუკეთესოა საკლუბო თამაშში აქაა და სხვა.

ზოგჯერ, ლიგა მართლაც ჩამოჰგავს სანახაობას, მაგრამ, ჯერ ერთ, რომ ევროპული ფეხბურთი ვერასგზით ვერ გამოედევნება ამერიკულ თამაშობათა იერსახეს და მეორეც, რომ, ცდას არ აკლებს, რომ გვერდში ამოუდგეს კალათბურთის და ჰოკეის ბაბილონებს.

ლიგა კარგია, მაგრამ არა თვალშეუდგამი, ვინაიდან თავად ფეხბურთის არსი გამორიცხავს იმას, რომ ეს თამაში და მისი გარეშემო ამბავი რაიმე ამერიკულ სანახაობად იქცეს. კალათბურთში ფრე არ არის. ფეხბურთის მოედანზე ჩირ-ლიდერები არცთუ თვალშისაცემნი არიან. წუთშესვენებები სოკერის ხალხმა არ იცის და სამოთხი ტაიმი, თავის ოვერტაიმებით. ოქროს გოლი კი შემოიღეს, მაგრამ, ოქროს გოლი იშვიათი რამ არის და ჯერჯერობით არცთუ ფართოდ აღიარებული. ჰამბურგერსაც კი, ერთს თუ გაათავებ ფეხბურთის მსვლელობისას და რამდენი ლიტრი „ორანჟი“ უნდა დალიო?

ამიტომაც, ფეხბურთი ფეხბურთია და აბა, როგორ გინდა სანახაობად აქციო, ვთქვათ, „მონაკო“ — „მანჩესტერის“ თამაში? „კანალ პლუსის“ ჯგუფი ევებ ბევრსაც ცდილიყო, რომ ეს თამაში „სიეტლ“ — „ლეიკერსისთვის“ დაემსგავსებინა, მაგრამ რაც იყო, მაყურებელმა ნახა. „მონაკოს“ ლონე არ მოსდევდა. „მანჩესტერი“ კი ფრეს შოულობდა. მიდი და სანახაობა ეძებე. არანაირი სანახაობა ეგ არ იყო. მით უმეტეს, რომ თავად ფეხბურთი, ანუ ბობოლა გუნდების მწვრთნელთა ფიქრი, სანახაობისკენ არ არის მიმართული, არამედ რაღაც ერთგვარი, ყოვლისმომცველი რბენა-სიხისტისკენ, რაც თავისთავად გამორიცხავს იმას, რომ დიდ თამაშებში გვარიანი სანახაობა გამოვიდეს.

ზიხარ კაცი და უყურებ „ბაიერნ“ — „დორტმუნდის“ სალიგო თამაშს, რომელშიაც არის ყველაფერი — ოსტატობა, მონდომება, საუცხოო ფეხბურთელები, საგოლე მომენტები, მაგრამ არ არის სანახაობა. როგორ არ გაგახსენდება ამ გუნდების შიდაგერმანული ორთაბრძოლები, რომლებშიც სანახობაც იყო, ოფლიც, ცეცხლიც, თამაშიც და ჩხუბიც. რას იზამ? ლიგის ფასი დიდია. დგას ორი სახელოვანი იტალიელი მწვრთნელი და უკივის ფეხბურთელებს. რას უკივის, ცხადია — იმას, რასაც იტალიელი მწვრთნელები კივიან ხოლმე, მაგრამ არც ეგ არ არის მთავარი.

ლევერკუზენში ორი გერმანელი მწვრთნელი დგას მინდვრის ახლოს. „ბაიერ“ — „რეალის“ მატჩის ფასიც იმხელაა, რომ კაცს თამაში და სანახაობა აღარც ახსოვს. „ბაიერი“ ალალად შემტევი გუნდია, ცდაც არ დააკლო. „რეალი“ ვარსკვლავების გუნდია — ფრე ხელს აძლევდა. არის ომი, არ არის სანახაობა. განა კრისტოფ დაუმი არ ფიქრობს იმაზე, რომ ჩემპიონთა ლიგის მომგები არ არის? ანდა, ტიგანამ არ იცის, რომ ფინალში ვერ გაიყვანს „მონაკოს“? თავზეხელაღებული თამაში ჩემპიონთა ლიგაში მაინც მკვდარია. დაძაბულობა მაქსიმალურია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა და მისი სატელევიზიო ქუდი სხვადასხვა რამაა.

ოთხი თამაში და ოთხი გოლი. ოთხი ფრე და ორი უგოლო თამაში. აბა, რომელ შოუსა და სანახაობაზე ლაპარაკობ? კი, თქმულია, რომ უგოლო თამაში ფეხბურთის ერთგვარი მშვენებაა, მაგრამ მხოლოდ ერთგვარი და მეტი არაფერი.

სანახაობის გულისთვის ამერიკულ კალათბურთში თამაშის წესები შეცვალა, ზონური დაცვა აიკრძალა. იმავე სანახაობის გულისთვის, მსოფლიოს რაგბის მამებმა თავიანთი თამაშის წესები გაამარტივეს.

განა ფეხბურთში არ შეიმჩნევა ამის ტენდენცია? ბლატერის „პადკატის“ გაუქმებაც კი მოუვიდა თავში, აქაოდა ტრავმებიო და სანახაობაო, აუტი ფეხითო, დიდი კარიო. განა მეკარისთვის ბურთის დაბრუნების წესიც ამას არ გულისხმობს?

ისევ ოქროს გოლს მივუბრუნდეთ — განა ფეხბურთი ყვანჯოსნობაა? განა დამატებითი დროის წესს ულამაზესი სანახაობა არ უჩუქებია მაყურებლისთვის?

აქ ისევ გზაჯვარედინზე ვხვდებით: რახან ლიგა ელიტადაა დასახული, მის მეთაურებს დიახაც უნდათ, რომ ელიტაში ღია თამაში, სანახაობა გახურდეს. ეს ასეც იყო ხოლმე ლიგაში, მაგრამ ბოლო წელიწადს და გამორჩევით კი ამ გაზაფხულზე, სანახაობა აღარ გამოდის. ელიტარულობა დაძაბულობას ვერ უხსნის კლუბებს. პირიქით, მატებს კიდეც. მით უმეტეს, რომ ლიგის მეოთხედფინალში გასული გუნდების უმრავლესობას იმგვარი სპეციალისტები უდგანან სათავეში, რომლებისთვისაც ფეხბურთი რთული მეცნიერებათა ნაზავს წარმოადგენს და სიმძიმეთა მოშორება კლასის დაცემას გულისხმობს.

ამიტომაცაა, რომ სამშაბათსა და ხუთშაბათს, რატომღაც მეორე კატეგორიის ევროთასებისთვის საბრძოლო თამაშების დღეებში ლაღი, თვალის გასახარი თამაშები უფრო მეტი გამოვიდა, ვიდრე ოთხშაბათს. გოლების წვიმა არც უეფას თასზე ყოფილა. ასეთია მარტის ამბავი და როგორ გინდა ფეხბურთი შოუდ აქციო?

ლიგის ოთხი შეჯახებიდან გამორჩეული მაინც „იუვე“ — „დინამოს“ თამაში იყო. პრინციპში ამ ოთხშაბათს ზინედინ ზიდანმა და ალესანდრო დელ პიერომ გააფერადეს სალიგო საღამო. ეგებ, ამათ მარიო ბასლერიც დაემატოს. ოთხი გოლიდან, ლიგაში რომ გავიდა, ალბათ, ყველაზე კარგად შესრულებული კრისტიან კარემბუს გოლი გახლდათ. თვალში საცემია, რომ ეს ძელების საღამო იყო და ვინც გამოირჩა, იმან გოლი ვერ გაიტანა. ლიგამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უმაღლესი დონის გათამაშებაა, მაგრამ მისი სანახაობად ქცევა ცალკეულ გუნდებზე, უფრო კი მათ მწვრთნელებზე ჰკიდია და არა რაიმე ისეთ სისტემაზე, ოკეანის გაღმა რომ მოქმედებს.

საჯარიმოს მარცხენა კიდეში დატრიალებულმა რონალდომ ჯადოსნურად ჩამოიცილა სამი მცველი. „ინტერ“-„შალკეს“ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა მაგრამ რონალდოს კასკადმა დაუვიწყარი ელფერი მისცა ამ თამაშს, რომელიც ასევე არ იყო განუმეორებელი საფეხბურთო წარმოდგენა.

ვალერი ვასილიჩ ლობანოვსკი გვარწმუნებს, რომ მალე, მოედანზე არათუ ამოსუნთქვის, არამედ სუნთქვის საშუალებაც არ იქნება. მან ეს ოთხშაბათსაც დაამტკიცა, თუმცა ფეხბურთში ყოველთვის მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც მინდორზე ამოსუნთქვასაც ახერხებდნენ და სანახაობასაც ქმნიდნენ. ფეხბურთის სილამაზეს სწორედ ისინი უმაგრებდნენ ზურგს.

ისიც ნაღდია, რომ როცა ფეხბურთელებს სუნთქვის საშუალება არა აქვთ, მაყურებლები მთქნარებას იწყებენ ხოლმე.

ლიგა კი წინ მიდის. მას აუცილებლად სჭირდება სანახაობა. სანახაობა ყოველ წუთს და ყოველ ქალაქში, თუმცა, ხშირად, ფეხბურთი სულაც არ არის განწყობილი ამისთვის.

ოთხშაბათი კი რჩება გამორჩეული დღედ, მიუხედავად ყველაფრისა. ელიტა ყოველთვის ასეთია, ბრწყინვალე, რთული და გზააბნეული.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**

UEFA Cup Winners' Cup

# რუსებმა ბერძნებს ფული დააკარგვინეს

## თასების თასის მეოთხედფინალის მიმოხილვა. პირველი მატჩები

### ᲑᲔᲢᲘᲡᲘ 1:2 ᲩᲔᲚᲡᲘ

**ბეტისი:** პრატსი, მერინო, კანასი (ოლი 65), სოლოსაბალი, ოლიასი, ტრულიო, სანჩესი, იარნი, ვიდაკოვიჩი (მარკესი 44), ფინიდი, ალფონსო

**ჩელსი:** დე გუო, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, დაბერი, სინკლერი, ნიუტონი, უაიზი, დი მატეო, ძოლა (ნიკოლსი 77), ფლო (მიუზი 84)

0:1, 0:2 ფლო (8, 12), 1:2 ალფონსო (46)

ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, ვიალი მიხვდა, რომ იგი „ჩელსის“ მწვრთნელია და არა ფეხბურთელი. სალმა აზრმა გაიმარჯვა — ვიალიმ საკუთარ თამაშს ტორე ანდრე ფლოს გარჯა ამჯობინა და ახალგაზრდა ნორვეგიელმაც გაამართლა.

ლონდონელები იტალიელის ხელმძღვანელობით მეოთხე მატჩს თამაშობდნენ. მანამდე მათ ერთი მოიგეს, ორში კი დამარცხდნენ. სევილიაში ფავორიტად მასპინძლები ითვლებოდნენ, მაგრამ საწყის თხუთმეტ წუთში სტუმართა თამაშმა ესპანელთა იმედები გააქარწყლა, საბოლოოდ კი მათი ნახევარფინალში გასვლა ერთობ გაართულა. მატჩის შემდგომ „ბეტისის“ მწვრთნელ ლუის არაგონესს დანა პირს არ უხსნიდა:

— შეხვედრა 15 წუთში წავაგეთ. პირველმა გოლმა ძალიან გაგვტეხა. მსაჯიც არაობიექტური იყო, მაგრამ მარცხის მიუხედავად, შემდეგ წრეში გასვლის იმედი არ დაგვიკარგავს — ეს იყო და ეს, არაგონესს ამის მეტი არა უთქვამს რა. სამაგიეროდ ვიალის მიეცა სალაპარაკო თემა და შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა. „დონ ლუკამ“ საკმაოდ ისაუბრა „ჩელსის“ ტაქტიკურ მომზადებაზე, ფეხბურთელები ცალ-ცალკე შეაფასა, თითქმის ნახევარსაათიანი ბაასის შემდეგ კი აღიარა, მეტოქის ძლევა ასე თუ გაგვიიოლდებოდა, არ მეგონაო.

ვიალი მართალი იყო. ლონდონელებმა „ბეტისს“ 15 წუთში მოუთავეს საქმე, დარჩენილ დროში კი ჟინდაკარგულ და მორალურად გატეხილ „ბეტისთან“ ბრძოლა აღარ გასჭირვებიათ. ეგ კი არა, იმავე ფლოს, ლებეფს, ანაც ჰიუზს რომ გამართლებოდათ, სრულიად შესაძლებელი იყო, სენსაციაც მომხდარიყო. გოლის გატანა მასპინძლებსაც შეეძლოთ. ალფონსომ შეაგლო კიდეც, მაგრამ მსაჯმა, ბულგარელმა ათანას უზუნოვმა, თავდამსხმელი დე გუისთან უხეშობაში ამხილა და გოლიც, ცხადია, გააუქმა. ისე, ბულგარელი მსაჯი მართლაც ვერ იყო სათანადო დონეზე, რამდენჯერმე უხეში შეცდომა დაუშვა.

— შანსი მომეცა და გამოვიყენე კიდეც. მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ კარგ ფორმაში ვარ. ძალიან გამიხარდა, მწვრთნელი რომ მენდო. ამან მხნეობა და თავდაჯერებულობა გამიათკეცა — თქვა ნორვეგიელმა ტორე ანდრე ფლომ, რომელიც, რაც ვიალი გახდა „ჩელსის“ მწვრთნელი, გუნდის ძირითადში იშვიათად ჩნდებოდა. სხვათა შორის, ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, მისი შეჩერება ქართველ მცველებსაც მოუწევთ — ნორვეგია ხომ საქართველოს ნაკრების მეტოქეა.

რაც შეეხება ფლოს ორ გოლს, ისინი მცველთა უნიათობის გამო გავიდა — პირველად მას ასისტენტობა დი მატეომ გაუწია, თუმცა მას საგოლე პასი ძნელად ეთქმოდა. ცენტრს მცირედით გადაცილებულმა იტალიელმა მარჯვენა ფლანგზე გაჭრილი ნორვეგიელი დალანდა, მან კი ბურთი მიიღო თუ არა, იმდენი იარა, სანამ ლამის პრატსთან პირისპირ არ დარჩა. მაშინ კი იკადრეს სევილიელმა უკანახაზელებმა გამოფხიზლება, მაგრამ გვიანღა იყო — ფლომ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ზუსტად დაარტყა. გოლმა გარდა იმისა, რომ მასპინძლები დააბნია, „ჩელსიც“ არანაკლებ გააკვირვა. მალე ანგარიშის გამხსნელმა მცველებს მეორე შეცდომა არ აპატია და შეხვედრის ბედი ნაადრევად გადაწყვიტა. მართალია, ალფონსომ კუთხურიდან ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ მათი საშველი მაინც არ იყო — „ბეტისი“ ხუთშაბათს „ჩელსის“ მძლეველი არ ჩანდა.

...საპასუხო შეხვედრაში შესაძლოა ტრავმირებულმა ვიდაკოვიჩმა ვერ ითამაშოს, სტუმრებს კი სავარაუდოდ მოშუშებული გრემ ლე სო დაუბრუნდებათ.

### ᲠᲝᲓᲐ 1:4 ᲕᲘᲩᲔᲜᲪᲐ

**როდა:** დელვარტი, ზენდენი, ფრედი, ველგერენი, ვან აარენი (მორესი 66), კუკიელკა, ვან ლერ ლუერი, ძაფარინი, ვან უდტი, ტრუტენგი, ლავალი (პეტერსი 56)

**ვიჩენცა:** ბრივიო, დი კარლო (ბარონიო 78), ბელოტი, სკენარდი, მენდესი, ლუიზო, ვიეიანი, ზაული, ამბროზინი, ოტერო (ამბროზეტი 69), სტოვინი

0:1 ლუიზო (17), 0:2 ბელოტი (28), 0:3 ლუიზო (39), 0:4 ოტერო (66), 1:4 პეტერსი (73)




ბეტისი — ჩელსი. ფლოს (მარცხნივ) და დი მატეოს გამარჯვების ღიმილი

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „ვიჩენცა“ ჰოლანდიის ჩემპიონატში რომ ირჯებოდეს, პირველობის ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა, სერია A-ში მოთამაშე „როდა“ კი — უკვე კარგა ხნის გავარდნილი.

ორივენი თავიანთი ჩემპიონატების აუტსაიდერები არიან. ზემოთქმულის საფუძველს კი გუშინწინდელი თამაში მაძლევს — იმდენად დიდი იყო სტუმართა უპირატესობა, ისინი სერია A-ში დასარჩენად მებრძოლთ სულაც არ ჰგავდნენ. მასპინძლობა, ცხადია, დიდი უპირატესობაა და ხშირად მომხდარა, მხოლოდ ამის ხარჯზე გუნდებს უმარჯვიათ კიდეც, მაგრამ ამ თამაშის მნახველი თავდაპირველად „როდას“ მიიჩნევდა სტუმრად და არა „ვიჩენცას“. ჰოლანდიელთა დაცვა იტალიელებმა მიწასთან გაასწორეს, საწყალი დელვარტი კი ლამის ცენტრალურ მცველად რომ უწევდა თამაში, აპენინელთა იერიშებს ეულად ვერ უმკლავდებოდა. იმ დღეს მასპინძლებს დაცვა არ ჰყავდათ, სიმართლე რომ ვთქვათ, „როდა“ გუნდიც არ იყო.

— ღრმა კრიზისში ჩავეფლეთ, ძალიან ღრმა კრიზისში. თასების თასის მეოთხედფინალი ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელისთვის, როგორც ჩანს, ძალიან მძიმე ტვირთია. მივხვდი, რომ „როდა“ ამ დონეზე სათამაშოდ მზად არაა — თქვა დასევდიანებულმა მარტინ იოლმა, რომელიც გუშინ გაათავისუფლეს. მის ნაცვლად გუნდს დროებით ედი ახტერბერგი გაწვრთნის.

### ᲐᲔᲙ 0:0 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

**აეკ:** ატმაძიდისი, კოპიცისი (სებუ 61), მანოლასი, კარაიანისი, კასაპისი, გრეტარსონი, მაჰერიდისი (დობოსი 67), მარსელო, სავევსკი, ნიკოლაიდისი, მალადენისი

**ლოკომოტივი:** ნიგმატულინი, სოლომატინი, დროზდოვი, არიფულინი, ჩუგაინოვი, გურენკო, ჩერევჩენკო, ბოროდიუკი (სმირნოვი 69), გარასი (ჯანაშია 46), ლოსკოვი (მამინოვი 46), კოსოლაპოვი

— 2:0 რას მიქვია, ჩვენ სამი ბურთით, ან სულაც მეტით მოვიგებთ. ამაში დარწმუნებული ვარ, მჯერა, ასეც იქნება. მეტოქე არაა ის გუნდი აეკ-ს წინააღმდეგობა გაუწიოს. ვფიქრობ, ნახევარფინალისტობას პირველსავე შეხვედრაში გავინაღდებთ — იქადნებოდა ბერძენთა რუმინელი თავკაცი დუმიტრუ დუმიტრიუ. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ეს ბაქიაობა თავდაჭერილმა საუბარმა შეცვალა. სრულიად შესაძლებელი იყო, ბერძნები დამარცხებულიყვნენ, მაგრამ გადარჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას.

— აქ მოგებას არც ველოდი, მაგრამ ისიც მჯეროდა, რომ არ წავაგებდით. ფრე უპრიანი იყო. მოცემული მომენტისთვის გუნდები თანაბარი ძალისანი აღმოჩნდნენ, მაგრამ გარწმუნებთ, შინ პირველივე წუთიდან შევუტევთ — თქვა რკინიგზელთა თავკაცმა იური სიომინმა, რომლის გუნდს დიდი შანსი აქვს, არსებობის მანძილზე პირველად უწიოს ევროტურნირის ნახევარფინალს.

ათენის „ნიკოს გუმასზე“ შეკრებილი 30 ათასი ბერძენი საათნახევარი ამაოდ ელოდა ასე სანატრელ გოლს. ხშირად დგებოდა გადამწყვეტი, ამაღელვებელი წამებიც, მაგრამ მეკარეები ადგილზე იყვნენ, განსაკუთრებით კი ნიგმატულინი.

საბერძნეთში ნიკოლაიდისს უძლიერეს თავდამსხმელად მიიჩნევენ, მაგრამ მას ჭეშმარიტი ფორვარდის არაფერი სცხია — ორჯერ კი დაურტყა რუსთა კარის დარაჯს ძლიერად, მაგრამ გოლი მარტო ძალისმიერ დარტყმებს როდი მოაქვს. ისედაც ცუდი სანახავი თამაში შესვენების შემდგომ სულ გაუარესდა — განერვიულებულმა ელინელებმა მეტი რომ ვერაფერი მოახერხეს, უხეშობა დაიწყეს, რის გამოც მწარედ ინანეს კიდეც — ნახევარმცველები ანტონ დობოსი და ვაიოს კარაიანისი გააძევეს, რითაც ისინი ავტომატურად გამოაკლდნენ საპასუხო შეხვედრას.

იმედგაცრუებული მასპინძელთა მწვრთნელი მატჩის შემდგომ ჩიოდა — ხუთი წამყვანი ფეხბურთელი მაკლდა, მიტომ ვერ ავისრულეთ წადილიო. მანვე საპასუხო მატჩზეც თქვა ორიოდ სიტყვა, მერე კი სხვა ლოკომოტიველებთან ერთად ჯანაშიაზეც დასცდა — საკმაოდ სახიფათო თავდამსხმელი ყოფილაო.

...სამშაბათს, აეკ-ის კურატორმა ბრიტანულმა საინვესტიციო ფირმა ENIC-მა განაცხადა, თუ გუნდმა მოიგო, გვარიან პრემიებს დავარიგებთო. აეკს ბრიტანელთაგან შეპირებული თანხების ალებაში რუსებმა შეუშალეს ხელი.

### ᲡᲚᲐᲕᲘᲐ 1:1 ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲘ

**სლავია:** სტეისკალი (ჩერნი 74), კოზელი, ვლაჩეკი, ულიხი, ლასოტა, ვაჩა (პინიო 70), ვაგნერი, კუხარი, ლაბანტი, კრაიჩიკი, კოლერი

**შტუტგარტი:** ზიგლერი, სპენრინგი, ბერტოლდი, ვერლაატი, შაბერი, ჯორჯევიჩი (ენდრესი 90), აკპობორი (რისტიჩი 16), სოლდო, პოშნერი, სტოიკოვსკი, ბალაკოვი

1:0 ვაჩა (39), 1:1 პოშნერი (51)

...72-ე წუთი. ანგარიში საყაიმოა 1:1. მსაჯი გერმანელთა მცველ ტომას ბერტოლდს რობერტ ვაგნერის საჯარიმოში წაქცევისთვის აჯარიმებს და თამაშის ყველაზე მზაკვრული რამ — პენალტი ინიშნება. დაზარალებულმა ვერ გაიტანა.

— კარგია, გერმანიაში დაუმარცხებელნი რომ მივდივართ. მასპინძლებს შტუტგარტში უფრო გაუჭირდებათ, ვიდრე ჩვენ, ამაში დარწმუნებული ვარ — თქვა „სლავიას“ მწვრთნელმა პაველ ტობიასმა, რომლის გუნდმაც საკმაოდ კარგად ითამაშა. აი, ვაგნერს პენალტი რომ გამოეყენებინა, სტუმრად უფრო თავდაჯერებულნი ითამაშებდნენ. ცხადია, რომ მოგება ფრეს ნამდვილად სჯობს.

გუნდებმა თამაში საშუალო ტემპში დაიწყეს. არც ერთს გაუჩაღებია თავქუდმოგლეჯილი შეტევები, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოჩნდა, „სლავიამ“ დაფიქრებულად თამაში მეტოქის შესწავლის მიზნით დაიწყო, „შტუტგარტი“ კი თავიდანვე ყაიმისთვის იბრძოდა. გერმანელთა მწვრთნელმა იოახიმ ლეუმ აკი განაცხადა კიდეც პრესკონფერენციაზე, შედეგით კმაყოფილი ვარ, მეტს არც მოველოდიო. საინტერესოა, რას იტყოდა ლეუ, მის ფეხბურთელებს ვაჩას გოლი რომ არ გაექვითათ.

სხვათა შორის, გარდა იმისა, რომ სტუმრებმა საუკეთესო თავდამსხმელი ფრედი ბობიჩი ადრე მოისაკლისეს, თამაშის დასაწყისშივე გამოაკლდათ მეორე ფორვარდი, ნიგერიელი ჯონათან აკპობორი, რომელიც საპასუხო შეხვედრას ალბათ გამოაკლდება.

**ᲚᲐᲨᲐ ᲒᲝᲓᲔᲣᲐᲫᲔ**



გიო ახვლედიანის

## სვეტი

## „აიაქსი“ და სინათლე

სამშაბათ ღამით ერის ერთ ნაწილს, გამრჩევით ქალაქის რამდენიმე უბანს რომ შუქ-სინათლე მიეცა, სულ ტყუილი გამოვიდა.

ის სინათლე სასიხარულოდ არ დაურჩა ხალხს, ვინაიდან შუქი იმ მიზეზით გამოეშვათ ჩვენს სახლებში, რომ „აიაქსს“ მოეგო და ჩვენ მთელი ჩვენი უსინათლობა და ევროპასთან ოთხსაათიანი ჩამორჩენა დაგვიწყებოდა. აქაოდა, დიახაც, გვიჭირს, დიახაც ჩამოვრჩებით, მაგრამ სიხარული მაინც ჩვენია — ლამაზი „აიაქსი“ მოსკოვის „სპარტაკს“ დაამარცხებსო.

სიხარული არ გამოვიდა. ზოგმა ისიც კი თქვა, ნეტავ შუქი არ მქონოდა, ზოგმა — კიდევ კარგი, სულ არ მქონდა ელექტროენერგია, გული გამისკდებოდაო. თანაც, მთელი ამბავი იყო — შოთა VS რუსებიო, ანუ, რაც კი რამ უარყოფითს განასახიერებს ქართველი გულშემატკივრისთვის ფეხბურთში, ისაო.

რა ხანია, მოსკოვის „სპარტაკი“ არ მენახა ტელევიზორში. სულ საგანგებოდ არ ვუყურებდი, და ბოლოს თვითონ შემომივარდა სახლში, რათა ძველი დრო გაეხსენებინა, ეგეთი ვარ, მწარეო.

განა „სპარტაკი“ რაიმეთი გამორჩეული გუნდია?

ეგ იყო, რომ პირველ ტაიმში ბევრად ზუსტად თამაშობდა, ვიდრე „აიაქსი“. მეორეში კი ისევ ის ძველი ავადმყოფობა გამოაჩნდა, რუსულ გუნდებს რომ სჭირთ — დაბლანდულობა, აცა-ბაცა სირბილი, რაც უსწავლიათ ყველაფრის გადავიწყება და ა.შ. მაგრამ რას იზამ? „აიაქსი“ ის გუნდი არ გამოდგა, ყოველივე ამის გამოყენება რომ შეიძლებოდა.

ის ლამაზი რამეები, „აიაქსის“ თამაში რომ გამოკრთებოდა და ოდინდელ დანიურ თამაშს რომ გვიხსენებდა, კარის ხაზს იქეთ ვერ დაბოლოვდა. შოთა მართლაც მშვენივრად თამაშობდა, მაგრამ განა ფეხბურთი ბეისბოლია, მცველი რომ არ სჭირდებოდეს? არც შემოდგომაზე, არც ახლა, „აიაქსს“ დაცვა არ ჰყავდა. მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, „აიაქსის“ ფეხბურთი მეტად მარტივია იმისთვის, რომ დიდ რამეებს გამოეკიდოს. მასში ბევრი სილამაზე და მაზვილგონივრებაა და ყველაფერი შემსრულებლებზე ჰკიდია. ამ გუნდს თავისუფლად სუნიქვა სჭირდება, მაგრამ თქვენ ხომ უყურეთ ჩემპიონთა ლიგას? აბა, ვინ ამოგასუნთქებს?

სინათლე შირკომ გამოგვირთო.

შეცვლაზე შემოსულმა ხალხმა ხომ საერთოდ გული კაგლიჯა. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, როცა ერთ ბითურს, ანჯეი რუდის, მეორე ბითურით — მარიო მელქიოტით შეცვლი? ანდა, ეს დანი, ეს ქუჩის მომატავე, რომლისგანაც წელიწადში ორჯერ უნდა ელოდე ზღაპრული სილამაზის გოლს. ბენი მაკარტი — ბაბანგიდას ნაცვლად. და საერთოდ, ეს ისეთი თამაში იყო, რომ შეცვლები მხოლოდ საქმეს წაახდენდა. წაახდინა კიდეც.

რუსებმა რომ მესამე გაისროლეს, ნახევარი „აიაქსი“ სარგადაყლაპული იდგა და უყურებდა, როგორ იტანჯებოდა მათი მეკარე.

გაისროლეს და გაისროლეს, „სპარტაკს“ არაერთი სახელიანი გუნდი დაუსჯია და ყოველთვის ერთნაირად, რადგან ასეთია ამ რუსული გუნდის თამაშის ხერხი: თუ თვალწინ სივრცე დალანდეს, არავის გაახარებენ.

ვინ მოგეწონებოდა? „აიაქსი“ ისეთ ფეხბურთს მისდევს, რომ თუკი გუნდი შეტევაშია, თითქმის ყველა მოგწონს, მაგრამ თუკი თავის საჯარიმოსთან დგას — არავინ.

შოთა გამორჩეული იყო საჯარიმოშიც და მის მისადგომებთანაც. ლაუდრუპის ამბავი ყველამ ვიცით, „იყო“ კაცია და თუკი რაღაცეებს აკეთებს, ყველაფერი გვინახავს. რონალდ დე ბურიც კარგად ირჯებოდა და ბლინდი... რა ქნას ამ ჭარმაგმა ბლინდმა, რა ქნას? როცა ასეთი ფარღალალა გუნდია? თქვენი არ ვიცი და მე გორიც მომეწონა.

მაგრამ ეს ყველაფერი, ვინცხა იმის არ იყოს, ბევრი არაფერია. არაფერია იმიტომ, რომ „აიაქსს“ არ დარჩენია ის, რაც წინა წლების გამოარჩევდა — წაუგებლობის პრინციპი. ანუ ის, თუ როგორ არ უნდა წააგო ძნელბედობის ჟამს.

„აიაქსელებმა“ არ იცოდნენ, რომ თბილისის ზოგიერთ ადგილას იმიტომ არ გამოირითო შუქ-სინათლე, რომ „აიაქსს“ „სპარტაკი“ წამოექცია. უფრო სწორად, ეს მხოლოდ ერთმა „აიაქსელმა“ იცოდა და მან საუცხოოდ ითამაშა.

## ინგლისი

### ლიდსი 1:0 ტოტენჰემი

ლიდსი: მარტინი, მეიბერი, მოლენაარი, ჰიდენი, ჰარტე, ჰალე, ბოუერი, ჰოფკინი, კიუელი, ჯიმი (მეტიუზი 89), უოლესი (მაკფილი 89)

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კემპბელი, ვეგა, უილსონი (ფენი 86), ფოქსი, ჰაუელსი (საიბი 60), ბერტი (ბრეიდი 71), ნილსენი, კლინსმანი, ჟინოლა

1:0 კიუელი (45)

ამჯერადაც ასე იყო. ტოტენჰემი კარგად თამაშობდა, მაგრამ ხეირიანად ვერ ასრულებდა შეტევებს. მეტოქემ კი სუთი ასე თუ ისე კარგად განვითარებული თავდასხმიდან ერთი გამოიყენა და მოიგო კიდეც მატჩი — კიუელის დარტყმას ბაარდსენი კი არა, მასზე გაცილებით ძლიერი მეკარეც კი ვერ აიღებდა.

მარცხის მიუხედავად, „ტოტენჰემი“ მე-17 ადგილზე დარჩა, თან მდევარ „ბარნსლის“ 5 ქულით უსწრებს.



REUTERS

„ტოტენჰემი“ მხოლოდ სახელების გუნდია — დასტურად იურგენ კლინსმანიც გამოდგება

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელები უპირატესობას ფლობდნენ, რაც მათ საგარეო თამაშებში იშვიათი სანახავია, მასპინძლებმა მაინც შეძლეს „ტოტენჰემის“ ძლევა. არადა, საამისო შანსები „ლიდსს“ მეტოქესთან შედარებით ნაკლებად ჰქონდა.

ერთ დროს, სტუმრები, შინაურ ასპარეზზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ევროპაშიც თამამად ამბობდნენ თავიანთ სიტყვას, მაგრამ აგერ უკვე კარგა ხანია, ლამისაა „ტოტენჰემი“ კონტინენტზე მივიწყდეთ. რაც დრო გადის, „ტოტენჰემი“ უკან-უკან მიდის, კრიზისს თავს ველარ აღწევს...

ლონდონელთა შემადგენლობას რომ გადავხედოთ, უმალ ის აზრი დაგვებადება, ამათ აუტსაიდერთა შორის რა უნდათო — ჟინოლა, კლინსმანი, ბერტი, ვეგა, ნილსენი — ამ ფეხბურთელებზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პრემიერლიგის არც ერთი გუნდი არ იტყოდა უარს. მათ დაუმატეთ ინგლისის ნაკრების მცველი სოლ კემპბელი და ნათელი გახდება, რომ პოტენციურად „ტოტენჰემი“ საკმაოდ ძლიერი გუნდია, თუმცა მხოლოდ პოტენციურად. ამ ჩემპიონატში „მამლებმა“ ბევრი დასანანი ქულა დაკარგეს. რომ არა უაზროდ წაგებული და გაუგებარი მიზეზების გამო ფრედ ნათამაშევი შეხვედრები, ისინი ევროტურნირებზე გასასვლელად იბრძოლებდნენ.

### პირველი დივიზიონი

36-ე ტური. ნორვიჩი — ბირმინგემი 3:3, ნოტინგემი — სანდერლენდი 0:3, პორტ ვეილი — ტრანმერი 0:1, ქუინზ პარკი — მიდლსბრო 5:0, ვულვერჰემპტონი — სტოკი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 35 | 20 | 8 | 7 | 56:32 | 68 |
| მიდლსბრო | 35 | 20 | 8 | 7 | 55:36 | 68 |
| სანდერლენდი | 34 | 19 | 8 | 7 | 59:35 | 65 |
| ჩარლტონი | 35 | 18 | 8 | 9 | 62:43 | 62 |
| შეფილდ იუნ. | 34 | 15 | 14 | 5 | 51:37 | 59 |
| ბირმინგემი | 35 | 14 | 12 | 9 | 48:30 | 54 |
| სტოკპორტი | 36 | 16 | 6 | 14 | 59:49 | 54 |
| იფსვიჩი | 35 | 13 | 14 | 8 | 56:38 | 53 |
| ვულვზი | 34 | 15 | 7 | 12 | 44:36 | 52 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 14 | 8 | 14 | 35:41 | 50 |
| ბრედფორდი | 36 | 12 | 12 | 12 | 37:38 | 48 |
| კრიუ | 36 | 14 | 5 | 17 | 44:49 | 47 |
| სვინდონი | 35 | 13 | 7 | 15 | 36:50 | 46 |
| ნორვიჩი | 36 | 11 | 11 | 14 | 36:55 | 44 |
| ქუინზ პარკი | 36 | 10 | 13 | 13 | 42:50 | 43 |
| ოქსფორდი | 35 | 11 | 8 | 16 | 43:50 | 41 |
| ტრანმერი | 35 | 10 | 10 | 15 | 37:42 | 40 |
| რედინგი | 35 | 10 | 9 | 16 | 35:53 | 39 |
| სიტი | 36 | 10 | 9 | 17 | 41:42 | 39 |
| ბერი | 36 | 7 | 18 | 11 | 34:43 | 39 |
| პორტსმუთი | 35 | 10 | 7 | 18 | 39:51 | 37 |
| სტოკ სიტი | 36 | 8 | 13 | 15 | 34:50 | 37 |
| ჰადერსფილდი | 36 | 9 | 9 | 18 | 37:56 | 36 |
| პორტ ვეილი | 36 | 9 | 8 | 19 | 39:53 | 35 |

## კლინსმანი აქედანაც მიდის

რამდენიმე სეზონის წინ იურგენ კლინსმანი „ტოტენჰემის“ სული და გული იყო. იგი ლონდონელთა ნამდვილი ლიდერი გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბრწყინვალე ალბიონური სეზონის შემდეგ, რომლის დასასრულს ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს, მას გულმა სამშობლოსკენ გაუწია, მაგრამ მოგვიანებით, გენუის „სამპდორიაში“ გადასულს, კვლავ „ტოტენჰემმა“ უხმო და კლინსმანიც კუნძულზე დაბრუნდა.

იურგენის „მეორედ მოსვლა“ პირველთან შედარებით წარუმატებელი გამოდგა — მან ცხრა მატჩში მხოლოდ ერთი გოლის შეგდება მოასწრო, თან მძიმე ტრავმაც გადაიტანა, რომელმაც ფეხბურთელს სამი კვირა გააცდენინა.

კვირას, ბოლო ტურში, მისმა „ტოტენჰემმა“ „ბოლტონი“ დაამარცხა 1:0, კლინსმანს კი, გასახდელისკენ რომ მიდიოდა, კლუბის შვეიცარიელ მწვრთნელ კრისტიან ეროსთან შელაპარაკება მოუვიდა, რასაც სერიოზული შედეგებიც მოჰყვა.

მაინც რა იყო კლინსმანსა და გროსს შორის შუღლის ჩამოვარდნის მიზეზი? თურმე იურგენს, რომელიც აქამდე მწვრთნელთა საქმიანობაში ჩაურევლობას ქადაგებდა, გროსის ტაქტიკური გადაადგილებები თვალში არ მოსვლია და მწვრთნელისთვის სათქმელი პირში მიუხლია.

— მართალია, მე და იურგენს შელაპარაკება მოგვივიდა. იგი ფეხბურთზე ჩემს შეხედულებებს არ ეთანხმება. მე კი, როგორც „ტოტენჰემის“ თავკაცს, ყველანაირი უფლება მქონდა, მისი აზრი არ გამეთვალისწინებინა. განა ჩემს უფლებამოსილებაში არ შედის, კონკრეტულ მატჩში ვის ვათამაშებ და ვის არა? — განაცხადა გროსმა, რომლის მოსვლისას „მამლების“ გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, გუნდი გაძლიერდება და კრიზისს თავს დააღწევსო, მაგრამ ყველაფერი ძველებურად, არასასურველად დარჩა. შვეიცარიელმა მწვრთნელმა მოგვიანებით ისიც დასძინა, კლინსმანი რომ დიდი ფეხბურთელია და თამაშის არსი კარგად ესმის, ამაში ეჭვი არ მეპარება, ერთი ეგაა, იცის, ვარსკვლავია და ზოგჯერ თავს ზედმეტ უფლებას აძლევსო.

მან ეს ორშაბათს, „ბოლტონთან“ თამაშის მეორე დღეს თქვა. კლინსმანმა კი, როცა გროსის აზრი მოისმინა, არც აცია, არც აცხელა და ჟურნალისტებს განუცხადა, მწვრთნელს მარტო ჩემთან კი არა აქვს უთანხმოება, ჟინოლასთანაც სერიოზული შელაპარაკება მოუვიდაო.

ამგვარი ურთიერთობა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, არავინ იცის, თავად „ტოტენ-ჰემის“ ფეხბურთელებს რომ არ მოეწადინებინათ უბრალ მყოფთა შერიგება, მაგრამ ამაოდ. გუშინ გერმანელმა საყოველთაოდ განაცხადა სეზონი დამთავრდება თუ არა „ტოტენჰემიდან“ წავალო. მანამდე კი როგორც ნაღდ გერმანელს შეშვენის იგი თავდადებით ითამაშებს.

დარჩა 95 დღე

FRANCE 98

## ფუტიქსის დროშით

## წესის ცვლილება

მსოფლიოს ჩემპიონატზე საფეხბურთო წესთა ცვლილება დაინერგება: უკნიდან ბურთის წართმევის ცდა წითელი ბარათით დაისჯება.

„ზურგსუკნიდან თავდასხმა მეტოქე ფეხბურთელის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა და ამიტომ ამ ილეთის წინააღმდეგ სასტიკი სანქციები უნდა დავნერგოთ“ — განაცხადა ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის ტრიბუნალმა, რომელიც საფეხბურთო წეს-კანონთა ბატონ-პატრონია.

## ბილეთებისა ჯერ ვერაფერი გაირკვა

ევროპაში კვლავ გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატის ბილეთების გამო ატეხილი სკანდალი. რამდენიმე ქვეყანა, რომლებსაც ინგლისი თამადობს, ჩივის, რომ ჩემპიონატის ორგკომიტეტმა ბილეთების მეტად შეზღუდული რაოდენობა გაიმეტა სხვა ქვეყნებისთვის.

სწორედ ამ პრობლემის გადასაწყვეტად შეიკრიბნენ ბრიუსელში ეროსაბჭოსა და ორგკომიტეტის წარმომადგენლები. ბევრი ბჭეს, ბევრი იდავეს დახურულ კარს მიღმა, ბოლოს შეხვედრას „კონსტრუქციული“ უწოდეს და დაიშალნენ.

ორგკომიტეტის დირექტორი ჟაკ ლამბერი თავისას ჭრიდა და კერავდა, კვოტები ადრევე იყო გამოცხადებული და ინგლისი ყველა ვადის გასვლის შემდეგ ლა ატყდაო. ევროკავშირი კი ანტიტრასტული კანონების უგულვებელყოფას უკიჟინებდა ფრანგებს.

ასე იყო თუ ისე, შეხვედრა მაინც კონსტრუქციული გამოვიდა, რადგან გადაწყდა: ბილეთების საკითხი მომავალ კვირაში გაირკვევა პარიზში, სადაც ფიფასა და ორგკომიტეტის წარმომადგენლები შეიკრიბიან.

- ჩვენ სამსაათნახევარი ვიკამათეთ. ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ რაც მოეთხოვებოდათ და ჩვენც ჩაგვესახა იმის იმედი, რომ ისინი საქმის სასიკეთოდ ყველა ზომას იხმარენ. სამწუხარო ისაა ,რომ ბილეთების ძალიან დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი უკან დაბრუნება შეუძლებელია. ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა გარდა ერთისა, მათ ვთხოვეთ მაქსიმალურად სამართლიანად გაანაწილონ ის ბილეთები, რომელთაც ამიერიდან გადასცემენ საზღვარგარეთულ ქვეყნებს, უფრო სწორად კი მათ ფეხბურთის ფედერაციებს გადასცემენ — განცხადა ევროკომისიის პრეს-ატაშემ სტეფან რატინგმა.

## ხრისტო არგენტინაში მიდის

„ბარსელონას“ უფროსთაგან შერისხული ხრისტო სტოიჩკოვი მზადაა ნაკრებთან ერთად შეუდგეს ვარჯიშს და არგენტინელთა წინააღმდეგაც ითამაშოს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. ამის შესახებ ფართო საზოგადოებას ამცნო ბულგარეთის ნაკრების გახარებულმა ექიმმა მიხაილ ილიევმა. „ხრისტო ჩვენთან ერთად გამოემგზავრება ბუენოს-აირესში და 10 მარტს ითამაშებს კიდეც“ — კმაყოფილება არ დამალა ბულგარელთა მთავარმა მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა, რომელმაც, როგორც იქნა, საბოლოოდ შემოირიგა ჭირვეული პლოვდიველი.

ჩვეულებრივ ხრისტოსთან შერიგებული დიადი ხრისტო კი ფიქრით უკვე საფრანგეთშია, 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელს არც ის ანაღვლებს დიდად, რომ „ბარსას“ მწვრთნელ ლუის ვან გაალთან ურთიერთობა წამხდარი აქვს.

## ზიკო ბრაზილიის ნაკრებში

ბოლო დროს ფორმიდან ამოვარდნილმა ბრაზილიის ნაკრებმა წარსულის შუქურვარსკვლავებს უხმო. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ოფიციალურ მოხელეთა განცხადებით, გუნდში სასწრაფოდ მოიწვიეს ზიკო და რაი.



ზიკო

ზიკო მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, ტექნიკურ კოორდინატორად დაინიშნება, რაი კი უეჭველად იქნება იმ ოცდაორ ფეხბურთელში, საფრანგეთს რომ გაემგზავრება ოქროს საპოვნელად.

„რაი ძირითადში არ იქნება, მაგრამ ძალიან დაგვეხმარება“, — თქვა ზაგალომ.

რაი, რომელიც ახლა „პარი სენ ჟერმენში“ თამაშობს, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარდაცვის ბურჯად ითვლებოდა, მაგრამ მალევე ამოვარდა ძირითადიდან და იმის შემდეგ საერთოდ აღარ უთამაშია ნაკრებში. თებერვალში, კონკაკაფის ოქროს თასზე თავის შერცხვენის შემდეგ, ზაგალოს კრიტიკის ცეცხლი დაატყდა თავს. კონფედერაციამაც აღარ დაახანა და დაბნეულ მხცოვან მწვრთნელს თავისი გადაწყვეტილებით დაეხმარა.

ბრაზილიურმა მედიამ კი გუნდში ზიკოს გამოჩენა ზაგალოს მმართველობის დასასრულად აღიქვა. ნამდვილი მწვრთნელი ზიკო იქნება, ზაგალო კი ნომინალურად შეინარჩუნებს თანამდებობასო.

„ არ ვიცი როგორ უნდა დავდგე ზაგალოზე მაღლა“, — ხელები გაშალა ზიკომ — „ჩემი ერთადერთი საქმე დახმარებაა და თუ ეს დახმარება ბრაზილიურ ფეხბურთს წაადგება, ბედნიერი ვიქნები“.

არადა, თავიდან ზაგალო უარს ამბობდა ყოველგვარ დამხმარესა და კოორდინატორზე. ამბობენ, რომ მან ვაჟკაცურად გადაიტანა ზიკოს დანიშვნა და ახლაც არ იტეხს იხტიბარს.

კონფედერაციამ კი კიდევ ერთი სახელოვანი აჩრდილი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მეკარე, ჟილმარი გამოიხმო და მრჩეველ-დამკვირვებლად გაამწესა. კონფედერაციამ გადააყენა ფიზმომზადების მწვრთნელი ლუის კარლოს პრიმა და მისი ადგილი „პალმეირასის“ ყოფილ მწვრთნელ პაულუ აიშანს ჩააბარა.

### შოტლანდია

სქოთთა ნაკრების კაპიტანი, 33 წლის გარი მაკალისტერი, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. რვა წელიწადია, რაც გარი ნაკრებშია და მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთხელაც ვერ გამოვიდა მინდორზე. წლეულს კაპიტანს ბოლო შანსი ჰქონდა, მაგრამ დეკემბერშივე დაშავებულს, მინდორზე დაბრუნება ძვირად დაუჯდა: ოთხშაბათს მისი კლუბის „ქოვენთრისა“ და „ნოთს ქაუნთის“ რეზერვისტთა შეხვედრაში მაკალისტერი უფრო იმიტომ ჩაერთო, ფორმაში შესულიყო და ძირითადს დაბრუნებოდა, მაგრამ მოედანზე 48 წუთი დაჰყო და მუხლის მძიმე ტრავმით გაიყვანეს იქედან. „გარი ნაკრებისა და ჩვენი გუნდის ნამდვილი ლიდერია“ — თქვა „ქოვენთრის“ სქოთმა მენეჯერმა გორდონ სტრაჩანმა — „ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოცნებობდა, მაგრამ რად გინდა? ბედმა სხვაგვარად განსაჯა“.

### ნიგერია

ნიგერიის ეროვნულ ნაკრებს მიეცემა გერმანიის ტერიტორიაზე შესასვლელი ვიზა და 22 აპრილისთვის დადგმული ამხანაგური თამაში ევროპის ჩემპიონებსა და სუპერარწივებს შორის გაიმართება.

ასე გადაწყვიტა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. აქამდე კი გერმანიის მთავრობა თავს იკავებდა ვიზების გაცემაზე, რახან ნიგერიაში მეფობს გენერალ სანი აბაჩას პირსისხლიანი რეჟიმი და ამ რეჟიმს ჩირადაც არ ულირს ადამიანის უფლებები. ევროკავშირი ბოიკოტს უცხადებს ნიგერიას, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე წინასამსოფლიოჩემპიონატო ამბავს ეხება და გამონაკლისიც ამის მიზეზია.

ნიგერიელები კი ამ თამაშის გარდა გეგმავენ ჰოლანდიელებთან გაჯიბრებას. მაგრამ ეს თამაში ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, 6 ივნისს გაიმართება.

# საბედისწერო დღე

**ბარსელონა**

1899 წელს დააარსა შვეიცარიელმა ჰანს გამპერმა.
ისტორიაში ჩაატარა 2028 შეხვედრა. მოიგო — 1107, ფრედ ითამაშა — 418, წააგო — 503, გაიტანა 4178 გოლი, გაუშვა — 2417.
ესპანეთის ჩემპიონი: 1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974, 1985, 1991, 1992, 1993, 1994
ესპანეთის თასი: 1910, 1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981, 1983, 1988, 1990, 1997
ესპანეთის სუპერთასი: 1984, 1992, 1993, 1995, 1997
ევროპის ჩემპიონთა თასი: 1992
ევროპის თასების მფლობელთა თასი: 1979, 1982, 1989, 1997
ბაზრობათა (ახლა უეფას) თასი: 1958, 1960, 1966
ევროპის სუპერთასი: 1993
სტადიონი „კამპ ნოუ" (კატალონიურად ახალ სარბიელს ნიშნავს), ტევადობა 112000, გაიხსნა 1957 წელს, გასული სეზონის საშუალო დასწრება 87300
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ყველაზე მეტი მატჩი: მიგელი — 391
ყველაზე მეტი გოლი: სესარ როდრიგესი — 174

**რეალი**

1902 წლის 18 მარტს დააარსეს სტუდენტებმა, რომლებიც 1898 წლიდან ამ სახელით უკვე თამაშობდნენ.
ისტორიაში ჩაატარა 2029 შეხვედრა. მოიგო — 1169, ფრედ ითამაშა — 425, წააგო — 435, გაიტანა — 4250, გაუშვა — 2342
ესპანეთის ჩემპიონი: 1932, 1933, 1954, 1955, 1957, 1958, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1967, 1968, 1969, 1972, 1975, 1976, 1979, 1980, 1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1995, 1997
ესპანეთის თასი: 1905, 1906, 1907, 1908, 1917, 1934, 1936, 1946, 1947, 1962, 1970, 1974, 1975, 1980, 1982, 1989, 1993
ესპანეთის სუპერთასი: 1987, 1989, 1992, 1998
ევროპის ჩემპიონთა თასი: 1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1966
უეფას თასი: 1985, 1986
საკონტინენტთაშორისო თასი: 1960
სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ" (სანტიაგო ბერნაბეუ 1950-60 წლებში კლუბის პრეზიდენტი იყო). ტევადობა 72 ათასი, გაიხსნა 1947 წელს, გასული სეზონის საშუალო დასწრება 83571.
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ყველაზე მეტი მატჩი: მანუელ სანჩესი — 463
ყველაზე მეტი გოლი: ალფრედო დი სტეფანო — 218

## BARCELONA vs REAL

ახლა იმის განმარტებას რომ მოვყვეთ, რას ნიშნავს „ბარსელონა", „რეალის" წინააღმდეგ, განათლებულ მკითხველს შეურაცხყოფას მივაყენებთ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს თამაში მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა არ არის. ცხადია, სამ ქულაზეცაა საუბარი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი ისტორიის გაგრძელება გახლავთ. „ბარსა" — „რეალი" ერთ სამეფოში გაერთიანებული ესპანელი და კატალონიელი ხალხის კულტურის, ყოფის და ისტორიის ნაწილია.

მაგრამ ისტორია ისტორიკოსებს დავუთმოთ, ჩვენ კი „კამპ ნოუს" დღევანდელი საღამო წარმოვიდგინოთ, სადაც მასპინძელთა ჰოლანდიელ მწვრთნელს ლუის ვან გაალს დაშავებული აბელარდოსა და დისკვალიფიცირებული ფერნანდო კოუტუს გარეშე მოუწევს უკანახაზელთა ფრონტის შექმნა. გამოდის, რომ ვან გაალის მთავარი იმედი, მისი თანამემამულე უინსტონ ბოგარდი იქნება, ის ბოგარდი, რომელიც დეკემბერში იტალიური „მილანიდან" ბარსელონაში გადასვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისთვის იბრძვის.

ამბობენ, კატალონიელ ქომაგთა უმეტესობა ბოგარდის ტრავმის გამიზეზებაზე ოცნებობს, რათა ვეტერანი მიგელ ანხელ ნადალის მოედანზე გაყვანა მწვრთნელს ერთადერთი გამოსავლად დარჩესო.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიხაელ რაიციგერი და ალბერტ ფერერი დღეს „რეალთან" ჭიდილს შეძლებენ. აი, სერხის საქმე კი კაცმა არ იცის როგორ იქნება. ნეტავ მოშუშებულია?

მეკარის საკითხიც გასარკვევია. ჰოლანდიელი რუუდ ჰესპი ის კაცია, 12 წელიწადში ორად ორი შეხვედრა რომ გამოტოვა და ორივეჯერ ტრავმა არაფერ შუაში იყო. ახლა კი თითს იტკივებს. ვარაუდობენ, რომ ჰესპი სათადარიგოთა სკამზე იჯდება, კარში კი ჩადგება კარლოს ბუსკეტსი, რომელმაც სანტანდერის „რასინგთან" ჰოლანდიელი მეორე ტაიმში შეცვალა.

ნახევარდაცვაში „ბარსას" უკეთესად როდი აქვს საქმე. ერთი ხანია, ხოსეპ გვარდიოლა და ივან დე ლა პენია სარბიელს ჩამოცილებულნი არიან, ამიტომაც გამთამაშებლის ჭაპანს ბრაზილიელი ჯოვანი სწევს. იგი კარგადაა შეთამაშებული „ბარსელონას" ახალგაზრდული სკოლის აღზრდილ ალბერტ სელადესთან და ძმებთან ოსკარ და როჯერ გარსიებთან. ეს ამბავი კატალონიაში ახარებთ, რადგან მათ თავიანთი ბიჭების ხილვა ურჩევნიათ გადამთიელებისას, მაგრამ ვან გაალს რა ახარებს და რა ადარდებს, იმას აღარ იკითხავთ? ასე ხომ სათადარიგოთა სკამი მოკლდება, თანაც ძლიერ.

სხვა საქმეა თავდასხმა, სადაც ვან გაალს მხოლოდ ბებერი ხრისტო სტოიჩკოვი აკლია. ვარსკვლავყოფილს თავი დაუდია და უნებართვოდ გამგზავრებულა სამშობლოში, სადაც ბულგარელთა ნაკრებთან ერთად არგენტინაში გაფრენასა და იქ ამხანაგურის თამაშს აპირებს.

ტრავმების მხრივ „რეალს" უკეთესად აქვს საქმე. საერთოდაც, ამბობენ ჯახირს ბოლო მოუღოო და ამის ერთ-ერთ საბუთად ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ლევერკუზენის „ბაიერთან" სტუმრად ნათამაშევი, განწყობის გამოსაკეთებელი ფრეც მოჰყავთ. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ „სამეფო გუნდის" ახალწვეულებმა ფრანგმა კრისტიან კარემბუმ და ბრაზილიელმა სავიო ბორტოლინიმ ნახევარდაცვის მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე ერთობ უმატეს თამაშს. ეს ორი პოზიცია ბოლო წლებში მადრიდელებს ყველაზე დიდ პრობლემად ესახებოდათ. ამას დაამატეთ ფერნანდო იერო...

კარემბუ... სწორედ მისმა გოლმა გამოლიტა კრისტოფ დაუმის „ლევერკუზენს" ოთხშაბათს ფრე. მას მერე, რაც „ბარსელონას", „რეალისა" და იტალიური „სამპდორიას" 18-თვიანი ბოგირის გადაწევა დასრულდა და კარემბუ სასურველ გუნდში დამკვიდრდა, ფეხბურთელმა ეტყობა მოისვენა და ათამაშდა. აღარ უნდოდა ფრანგს „სამპდორიაში", სადაც ძირითადში იშვიათად ათამაშებდნენ, „რეალში" უნდოდა, ვაჭრობაში კი კატალონიელებიც ლონივრად იყვნენ ჩართულნი.

არადა, თავიდან ერთ-ერთი ესპანელი ჟურნალისტი წერდა: „ღირდა კი კარემბუ ასეთ აურზაურად?" ოთხშაბათს, ლევერკუზენში დამტკიცდა, რომ ღირდა.

— ძალიან ბედნიერი ვარ „რეალის" შემადგენლობაში პირველი გოლი რომ გავიტანე — თქვა კარემბუმ — მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა რწმენა ჩამისახა.

ჰაინკესი კარემბუს თამაშით კმაყოფილი დარჩა, კმაყოფილი იყო სავიოთიც. ნუთუ იგი შემადგენლობიდან რაულს ამოაგდებს?

— ვფიქრობ, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავალთ. ფრემ არ დაგვაკმაყოფილა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დიდებულად ვითამაშეთ და დავამტკიცეთ, რომ დიდი გუნდი ვართ — განაცხადა ჰაინკესმა.

დიდი გუნდი უეჭველად შეეცდება პირველ წრეში მარცხისთვის (2:3) ბარსელონაში შური იძიოს.

„ბარსელონა" — „რეალის" თამაშთან დაკავშირებით ცალკე თემაა ბრაზილიელები. ისინი ორივე გუნდში არიან, მათგან საგანგებო ყურადღებას კი მაინც მადრიდელი რობერტო კარლოსი და ბარსელონელი რივალდო იმსახურებენ.

რობერტო კარლოსმა მსოფლიოს თავი შარშანდელ, ფრანგულ ოთხთა ტურნირზე მასპინძელთა კარში გატანილი ენითაუწერელი გოლით დაამახსოვრა და ფიფას გამოკითხვით მსოფლიოს მეორე ფეხბურთელიც გახდა, რონალდოს შემდეგ.

რივალდო „ბარსელონამ" სწორედ რონალდოს შემცვლელად იყიდა თავის დროზე. იგი „დეპორტივო ლა კორუნიადან" 26,3 მილიონ დოლარადაა შეძენილი და დღეისათვის თექვსმეტი გოლით მადრიდის „ატლეტიკოს" იტალიელ თავდამსხმელ კრისტიან ვიერისთან ერთად ესპანელ ბომბარდირთა ლიდერია.

ბოლო შეხვედრაში, „რასინგთან", რივალდომ მეტოქეს ჟესუს მერინოს ისეთი სარმა გამოსდო, რომ ყველას ეგონა წითელ ბარათს აჩვენებენო. გადარჩა.

— მეგონა, მოედნიდან გამაძევებდნენ და დისკვალიფიკაციის გამო „რეალთან" შეხვედრის გამოტოვება მომიწევდა — თქვა მოგვიანებით „რასინგთან" მატჩში ორი გოლის ავტორმა („ბარსამ" ის შეხვედრა 4:2 მოიგო) — მადრიდელებთან თამაშის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეტოქე იმ ფეხბურთს არ თამაშობს, რომელსაც უნდა თამაშობდეს. ისე კი, რაც გინდა იყოს, მე მოედანზე მარჯვენა ფეხით შევალ და იღბალი ზურგს არ შემაქცევს.

სხვათა შორის, მარჯვენა ფეხი რივალდოს მხოლოდ იღბლისთვის სჭირდება, რამეთუ თამაშის დროს ძირითადი დატვირთვა მარცხენას აწევს. მისი ცაცია კი „რაბონათია" ცნობილი. „რაბონა" ისაა, ერთ ფეხს მეორეს უკან რომ დატოვებ, მერე გადაატარებ და ისე დაარტყამ.

თუმცა კარში დარტყმებზე თუ მიდგა საქმე, უპირველესად რობერტო კარლოსი უნდა ვახსენოთ. მის ხმელ ფოთოლს პორტუგალიურად „ფოლია სეკა" ჰქვია. რობერტო კარლოსი მუდამ მომღიმარი, მხიარული კაცია, მაგრამ მისი ხუმრობა ბარსელონაში არ უყვართ. გასულ სეზონში, „კამპ ნოუდან" მობრუნებული რობერტო კარლოსი გაწბილებული იყო — რასისტულად გამლანძღესო.

იუმორის საღამო ალბათ არც დღეს შედგება.

ბარსელონაში 67 შეხვედრიდან 40 მასპინძლებმა მოიგეს, 11 ფრედ დამთავრდა, 16 კი „რეალისა" იყო.

მადრიდში 45 „რეალმა" მოიგო, 11 ფრე იყო, 16-ჯერ კი „ბარსამ" იმარჯვა.

...ოჰ, ლუის ენრიკეს ბოლმა ახრჩობს. მას კარიერაში საუკეთესო სეზონი უდგას და „რეალთან" კიდევ ერთი გოლით გვირგვინსაც დაადგამდა.

— მადრიდის „რეალზე" ჯობს არაფერი მათქმევინოთ, — ამბობს „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი, — განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ მაგ გუნდის კარში გოლის გატანა მწყურია. მე „ბარსას" ფანი ვარ და უბოროტეს მტერს ვეთამაშები.

ცხადზე უცხადესია, მადრიდელების დამარცხება ბარსელონელთა პრეზიდენტის ხოსე ლუის ნუნიესის ოცნებაცაა. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს ნუნიესს ხელახალი არჩევის თუ გადარჩევის დღე აქვს. ეს არის დღე, როდესაც კაცი, რომელიც 19 წელიწადია, „ბარსელონას" პრეზიდენტის სავარძელში ზის, შეიძლება ჩვეულ ადგილს დაემშვიდობოს, რადგან ოპოზიცია ჰყავს ძლიერი.

ამაზე „რეალის" პრეზიდენტს ლორენსო სანსსაც ჰკითხეს. თქვენ რომ ხმის უფლება გქონდეთ, რას იზამდითო.

— ავირჩევდი ნუნიესს, რადგან „რეალს" ასე უფრო აწყობს, — უპასუხა ენამწარე სანსმა.

პრეზიდენტებს შორის ომიც მეტისმეტად კოლორიტული ისტორიაა. კვირა ისე არ გავა, მათ პრესაში ერთმანეთს რამე არ დააბრალონ. ბოლო ხმალაობა „რეალის" გოლკიპერის სანტიაგო კანისარესის გამო ჰქონდათ.

— კანისარესმა სხვა გუნდთან გააფორმა კონტრაქტი, — უკბინა „რეალს" „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარმა.

ამბავი ასეთია: კანისარესი „რეალთან" ახალ ხელშეკრულებაზე აწარმოებს მოლაპარაკებას, მაგრამ ბოლო ათი დღე „სანტიაგო ბერნაბეუდან" მხოლოდ ფინანსური შეუთანხმებლობის ამბები გამოდის. ამ დროს მოლაპარაკებებში „ბარსელონაც" ჩაერია. კატალონიელებს კანისარესი თავისთვის მოუნდათ.

სანსი აღშფოთდა. ასეთი მოლაპარაკება უსინდისობააო, თქვა მან და იგულისხმა ის გარემოება, რომ „ბარსელონას" თანხის გაღებაში სახალხო ტელეკომპანია TV 3 ეხმარებოდა.

— ამ საქმეში სიკვდილამდე სანსის მხარეს დავიჭერ, — განაცხადა მადრიდის მეორე გუნდის, ორივეს მეტოქის, „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილი-ხილმა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ნუნიესს, რომელიც დღეს შესაძლოა „ბარსას" ყოფილმა მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა და მისმა ჯგუფმა თანამდებობიდან გადააყენოს. ირკვევა რომ ნუნიესის „ლურჯი სპილოს" ჯგუფი ფინანსურ სიცრუეებსაც კადრულობდა. პირველ ყოვლისა, საუბარია ბრაზილიელი სონი ანდერსონის ტრანსფერზე.

კრუიფისტების თანახმად, ანდერსონი ფრანგული „მონაკოდან" შეიძინეს 28,3 მილიონ დოლარად და არა 19,7 მილიონად. არადა, ეს თანხაც სამჯერ მეტი იყო, ვიდრე „მონაკო" აცხადებდა.

გარდა ამისა, დისიდენტები ამბობენ, რომ ნუნიესი პირწმინდა დიქტატორია.

და მაინც, დღეს უმთავრესი იქნება არა ფულის ან ხელმძღვანელობის სტილის ამბავი, არამედ შედეგი. აი, რაზე იქნება ლაპარაკი.

„ბარსელონას" კრუიფის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონობა არ მოუპოვებია.

კიდევ ოპონენტებს ემინით, რომ ნუნიესის ხელში „ბარსელონას" კლუბის სახის [illegible] ... ზოგიც გახდება. ცნობისათვის: ესპანეთში, რეფერენდუმის შემდეგ სამი კლუბი არ გახდა „სს სპორტული კომპანია". ესენი არიან: ბილბაოს „ატლეტიკი", „რეალი" და „ბარსა".

ამიტომაც ინტერესის სანსს, რა მოხდება დღეს ბარსელონაში.

ძალიან ინტერესებს.

**ბაჩუნა ქედია**



სარბიელის არქივიდან

1997 წლის 1 ნოემბერი. რეალი — ბარსელონა 2:3. იძიებს დღეს შურს მადრიდი?

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

*— ახლა მითხარი, არგენტინა უფრო ძლიერია, თუ ბრაზილია?*

— უფრო გერმანია უნდა იყოს ძლიერი, მაგრამ ხომ ხედავ რა დღეშია? კლინსმანმა თავი დაარტყა ბურთი და გული წაუვიდა. ძველ დროში შტანგას ურტყამდა თავს, შტანგა ტყდებოდა და კლინსმანი გახარებული მოდიოდა უკან. მერე ეფენბერგმაც თითი დაანახა ხალხს...

*— ესე იგი, ბრაზილია უფრო ძლიერია, ვიდრე არგენტინა?*

— ეგრე პირდაპირ ვერ იტყვი. ბრაზილიელები თავის დილიხორით იპარსავენ თავს, არგენტინელები პასარელას დილიხორით. რომელია მართალი, არ ვიცი. ეტყობა, ჩაკაბუკოში მაგარი დალაქები იყვნენ.

*— ჩაკაბუკო რა არის?*

— ჩაკაბუკოში პასარელა დაიბადა. ამბობენ, მამამისი დალაქი იყოო. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტენლი მეტიუზის მამაც დალაქი იყო. შეიძლება, პასარელას მამაც დალაქი ყოფილიყო.

*— შენ გინდა თქვა, რომ ის უფრო დალაქია, ვიდრე მწვრთნელი?*

— არა. მე მინდა ვთქვა, რომ ფული რომ მქონდეს, კარელ პობორსკის ბუენოს-აირესის ბილეთს ვუყიდდი და პასარელასთან გავუშვებდი. იქ ალესილი მაკრატელი დაუხვდებოდა.

*— და პატრიკ ბერგერი?*

— ტელევიზორს არ უყურებ? ბერგერი უკვე იყო პასარელასთან. ხოშიანად გაუხოხნია, ვერც იცნობ რომ უყურებ, ინსში აგერევა. თანაც ორივეს რომ წითელი აცვია...

*— ინსი ხომ შავია?*

— შავი კია, მაგრამ ხომ გაგიგია, შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო.

*— მაშ, მაგარი დალაქი ყოფილა ეგ პასარელა. რიგი უდგას?*

— რიგი უდგას, მაგრამ ზოგიერთი იქაჩება, ურიგოდ გამატარეთო, აი, ბატისტუტა, მაგალითად. თავი მოიკლა, გინდათ თუ არა, პირველი მე უნდა გამკრიჭოსო, პერსონალური პენსიონერი და ომის ვეტერანი ვარო.

*— მერე?*

— არ ქნა არაფრით. რიგს თავის წესი აქვს, კომუნისტების დრო ხომ არ გგონიათ, ჯერ კრესპოს და ვერონის რიგიაო.

*— ამდენს რომ ბედავს, მარადონას გაუბედავდა?*

— თხუთმეტი წლის წინათ ვერა.

*— აბა, ბრაზილია უფრო ძლიერი ყოფილა, არა?*

— იცი რა? ზაგალოს ჰგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატები მარტო იმიტომ ტარდება, რომ პირადად ზაგალოს მისცენ ოქროს მედალი.

*— ეგ როგორ?*

— როგორ და ეგრე — ორჯერ როგორც ფეხბურთელმა ისე აიღო, ერთხელ როგორც მთავარმა მწვრთნელმა და ერთხელაც როგორც მეორე მწვრთნელმაო. რაღა დარჩა? მა არამი არ არი, დი სტეფანოს და კრუიფს ოფლი ეღვარათ და ეგ მარიო ჟორჟე ლობო ასე მარშალ ბაგრამიანივით ჩინ-მედლებში იჯდეს?

*— ეს ქვეყანა ჩალით ყოფილა დახურული.*

— არ იცოდი? ახლა სტადიონების ჩალით დახურვაც დაიწყეს, ნორვეგია გახდება ჩემპიონი.

*— ასეთი ძლიერია ეგ ნორვეგია? ეგებ გახდეს კიდეც მსოფლიოს ჩემპიონი.*

— გახდება, როგორ არა. თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ტრონხეიმში დაინიშნება 17 დეკემბერს.

*— ტრონჰეიმი რა არის ეგეთი?*

— ზამთრის რიო დე ჟანეიროა. როგორც კი დეკემბერი დადგება მთელი ჩემპიონთა ლიგა იქ ჩადის ფეხბურთის სათამაშოდ.

*— ვაც?*

— ეგეთი კაცი არ მახსოვს.

*— ეგა არ გახსოვს? ეჰ, ეგა!*

— კი, კი გამახსენდა, [illegible]

*— მერე არაფერი გახსოვს?*

— [illegible] მაღალი, [illegible] ბიჭი იყო, [illegible]

*— შენ არც ეგ გეხსომება.*

— ეჰ, ერთი კარგი დალაქი და კაცი გამოვიდოდა.

*— ეხლა რას ამბობს?*

— ვინ?

— გიჰა.

— რა უნდა თქვას? [illegible]

# სკადი გაყოყოჩდა

**სკოტსდეილი. აშშ. „ფრანკლინ ტემპლტონ კლასიკი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 345 ათასი ,$**

არიზონაში, წესით და რიგით, უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს, ბორის ბეკერსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ პირველი წრის შეხვედრის წინ თავისავე ნაშეგირდალ ნიკოლას კიფერთან ერთბაშად ორმა — ზურგისა და მუცლის ტრავმამ შეახსენა თავი და ბორისმაც, რომელსაც ამერიკაში უკვე ორი წელია, ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, ისევ დასვენება ირჩია. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანიც არც მომავალი კვირის „მერსედეს ზე-9“-ის ტურნირზე იასპარეზებს, თუმცა ლიპტონის ჩემპიონატისთვის რომელიც 16-29 მარტს ტარდება, გამოჯანმრთელების იმედი აქვს. ბეკერმა ბოლო ორ სეზონის განმავლობაში უკვე მეთერთმეტედ იუარა ამა თუ იმ ტურნირზე თამაში, თუმცა აქამდე ამის მიზეზი კოჭის, ქუსლისა და მაჯის ტრავმები იყო, მუცლის კუნთის გაწყვეტა და ზურგის ქრონიკული ტკივილები კი სიას მხოლოდ გასულ თვეში შეემატა.

ბეკერს გადარჩენილმა კიფერმა, რომელიც ტურნირზე მეოთხედ იყო განთესილი, პირველ წრეში ავსტრალიელი სკოტ დრეიპერი დაამარცხა, მაგრამ მერვედფინალში მსოფლიოს 160-ე ჩოგან ჟან-მაიკლ გემბილს წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია 2:6, 1:6. კიფერის დამარცხება „კლასიკის“ ერთადერთი მოულოდნელობა არ ყოფილა — სკოტსდეილში განთესილები ისედაც პანტა-პუნტით ვარდებოდნენ და მეოთხედფინალს, სომეხი სარგის სარგსიანის 6:3, 3:6, 6:1 ძლევის შემდეგ, მხოლოდ ესპანელმა ალბერტ კოსტამ (2) უწია. მარკ ფილიპუსისი ორი კვირის წინ მემფისის ტურნირის მოგებამ ისე გაადიდგულა, ახლო მომავალში ერთბაშად დიდი სლემის ტიტულის მოპოვებაზე ალაპარაკდა — აქამდე საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი არ ვიყავი, თორემ გაცილებით მეტის მიღწევა შემეძლოო. დიდი სლემისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სკოტსდეილის მოგების იმედზე „სკადს“ ცივი წყალი გადაუსხეს — ზორბა ავსტრალიელმა საუკეთესოთა ორმოცდაათეულის უმრწმეს წარმომადგენელთან, 19 წლის ტომი ჰაასთან 7:5, 2:6, 0:6 წააგო. მატჩის ბედი გერმანელის სასარგებლოდ, ფაქტობრივად, მთავარმა მსაჯმა გადაწყვიტა, რომელმაც მეორე სეტში 2:3-ზე ოზს ორი აშკარა ეისი არ ჩაუთვალა. გაცეცხლებულმა ფილიპუსისმა მასთან კარგა ხანი იბრძოლა სამართლიანობის აღსადგენად, მერე ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და მატჩის ბოლომდე ერთი გეიმიც აღარ მოუგია. „ტომი კარგი ჩოგბურთელია, მაგრამ დღეს მას კორტზე არაფრის გაკეთება არ სჭირდებოდა, მე, ალბათ, ნებისმიერთან წავაგებდი. ამიერიდან შევეცდები, მსაჯის შეცდომებს ყურადღება არ მივაქციო“ — განაცხადა ფილიპუსისმა.

„სკადის“ წაგების შემდეგ ტურნირის მთავარი ფავორიტი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ანდრე აგასი გახდა. მერვედფინალში ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტის 7:5, 6:1 დამარცხებით საშინელი სეზონის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარმა ამერიკელმა წლეულს უკვე 13 მოგება მიითვალა, ერთით მეტი, ვიდრე მთელი 1997-ის განმავლობაში. „შარშანდელი აგასის არც კი შევადარებდი თავს, ერთმანეთისგან ის განვსხვავდებით, როგორც დღე და ღამე“ — თქვა ანდრემ მატჩის შემდეგ.

**მერვედფინალი: ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:4; სებასტიან ლარო (კანადა) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 (7:3), 7:5; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — რიჩარდ ფრომბერგი (8, ავსტრალია) 4:6, 7:6 (7:5), 7:6 (7:0)**

**როტერდამი. ჰოლანდია. ABN-AMRO-ს პირველობა. ტარდება ხალიჩაზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 750 ათასი $**

**მერვედფინალი: გრეგ რუზედსკი (3, ინგლისი) — რიჩი რენებერგი (აშშ) 6:3, 6:2; რიჩარდ კრაიჩეკი (5, ჰოლანდია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:3, 6:7 (5:7), 7:5 (10:8); პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) — დავიდე სკალა (იტალია) 6:3, 6:4; იოჰან ვან ჰერკი (ბელგია) — სერხი ბრუგერა (6, ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:3; იან სიმერინკი (ჰოლანდია) — გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 6:2, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**

# კონორსი — ახალი დარბაზელი



ჯიმი კონორსი

ხუთშაბათს ჩოგბურთის დიდების დარბაზს ახალი წევრები შეემატნენ — საერთაშორისო მასმედიამ ეს პატივი აწ გარდაცვლილ ჰერმან დეივიდსა და დიდ ჯიმი კონორსს მიაგო, რომლებმაც კენჭისყრით შედეგებით ფრანგ ფრანსუაზა დიურს, ავსტრალიელ კენ მაკგრეგორს და ამერიკელ ნენსი რიჩის აჯობეს.

კონორსის დარბაზელად არჩევა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, მან ხომ 70-იანი წლების დასაწყისში ჩოგბურთში რევოლუცია მოახდინა, და არა მარტო იმ დროისათვის უჩვეულოდ ძლიერი მიღებითა და ორხელა ბექჰენდით, არამედ მანამდე „სანიმუშო ყოფაქცევით“ გამორჩეული სპორტში ემოციურობისა და უწესრიგობის შეტანით — ჯიმი არასოდეს თაკილობდა მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილებების გაპროტესტებას, მეტოქეებთან თუ მაყურებლებთან კამათსა და საკმაოდ უხამსი ჟესტების ჩვენებასაც კი.

ყველაფერი ამის გამო კონორსი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა მაყურებელთა მთავარ სატყუარად. მაშინაც, როცა 1991-ში 39 წლის საპენსიო ასაკში ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალს უწია: „დიდი სლემის ტურნირების მოგება ყველა ჩოგბურთელის მთავარი მიზანია, შენს კარიერას მომავალში სწორედ ამის მიხედვით განსჯიან. კორტზე მოქცევას რაც შეეხება, აქ გამოსავალი არ არის: ჩემსა და ჯონივით (მაკინროი) მეამბოხე იქნები თუ სამპრასივით წყნარი და წესიერი, პრესისგან მაინც მოგხვდება.“

მებრძოლი ხასიათითა და გამძლეობით გამორჩეულ კონორსს ბევრი უნიკალური მიღწევა ეკუთვნის: 16 წლის განმავლობაში საუკეთესოთა ათეულში ყოფნა, ზედიზედ 160 კვირით (1974 წლის 29 ივლისიდან 1977 წლის 22 აგვისტომდე) კლასიფიკაციაში პირველი ადგილი, ყველა მამაკაც ჩოგბურთელზე მეტი — 109 ტიტული. ჯიმის საყვარელი დიდი სლემის ტურნირი ამერიკის ღია პირველობა იყო, სადაც ზედიზედ ხუთჯერ (1974-78) ფინალში ასპარეზობდა და ასევე ხუთჯერ — 1974, 76, 78, 82 და 83 წლებში — ჩემპიონიც გახლდათ. იგი ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც ოუფენის მოგება სამ სხვადასხვა საფარზე — ბალახზე (1974), თიხნარზე (1976) და ჰარდზე მოახერხა. გარდა ამისა, კონორსს ორჯერ უიმბლდონი (1974 და 1982) და ერთხელაც ავსტრალიის ღია პირველობა (1974) აქვს მოგებული: „ჩემთვის იმ ლეგენდარული სახელების გვერდით მოხსენიება, როგორიც პანჩო გონსალესი, ბობი რიგსი და პანჩო სეგურა არიან, მათი საქმის გამგრძელებლად და იმ სპორტის ნაწილად აღიარება, რომელმაც ყველაფერი მომცა ცხოვრებაში, უდიდესი პატივია“ — განაცხადა კონორსმა, რომელიც თამაშს დღესაც აგრძელებს, თავისივე დაარსებულ 35 წელზე მეტი ხნის ჩოგბურთელთა „ნუვინ ტურზე“.

რაც შეეხება დარბაზის მეორე წარმომადგენელს, ჰერმან დეივიდს, იგი კორტზე დიდი მიღწევებით არასოდეს გამოირჩეოდა, ჯერ ინგლისის დევისის თასის გუნდის წევრი, მერე კი მისივე კაპიტანი იყო (1953-58), მოგვიანებით კი 15 წლის განმავლობაში თავკაცობდა ინგლისის საჩოგბურთო კლუბს. მას ეს პატივი „ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის“ მიანიჭეს.



რეგულარული ჩემპიონატი

# შაკილს აქილევსის ქუსლი შოუჩნდა

4 მარტი

### გოლდენ სტ. 90:83 სან ანტონიო

**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (26)**
**სან ანტონიო: დანკანი (35+17 მოხსნა)**

სან ფრანცისკოში სან ანტონიოს რობინსონ-დანკანის ნაქებმა დუეტმა მშვენივრად დაიწყო და ამათი წყალობით ტეხასელები მეორე ნახევარს 56:49-ით შეხვდნენ, აქ კი ექსფილადელფიელმა ჯიმ ჯექსონმა მათ გარჯა წყალში ჩაუყარა. მან სეზონში ყველაზე მეტი — 26 ქულა მიითვალა, მისმა გუნდმა კი სან ანტონიოს მეორე ნახევარში 27 ქულაზე მეტის დაგროვების საშუალება არ მისცა. სანანტონიოელებმა 30-ჯერ დაკარგეს ბურთი და ერთი დაკლდათ, სეზონის რეკორდისთვის რომ მიეღწიათ. მათ ვერც დევიდ რობინსონმა (18 ქულა, 14 მოხსნა) და ახალბედა დანკანის სეზონის რეკორდმა (35 ქულა) უშველა.

### ლეიკერსი 104:95 ინდიანა

**ლეიკერსი: ონილი (29+12 მოხსნა), ჯონსი (18)**
**ინდიანა: მილერი (24), სმიტსი (19)**

ინდიანასთან შეხვედრაში ლეიკერსის სუპერცენტრმა შაკილ ონილმა ყველა გააკვირვა. გარდა იმისა, რომ 29 ქულა, 12 მოხსნა და 5 დაფარება გაახერხა, მან საჯარიმოებიც მშვენივრად ტყორცნა და 15-დან 13 ჩააგდო. არადა, საჯარიმოების ზუსტად სროლა ონილის აქილევსის ქუსლია — ამ სეზონში მან მხოლოდ 49,6 პროცენტი ჩააგდო.

### საკრამენტო 109:89 დეტროიტი

**საკრამენტო: უილიამსონი (40)**
**დეტროიტი: ჰილი (22)**

საკრამენტოს მოაგებინა კორლინ უილიამსონმა, ვინაც 40 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

### ბოსტონი 94:110 იუტა

**ბოსტონი: უოლკერი (36+10 მოხსნა)**
**იუტა: მელოუნი (32+15 მოხსნა)**

ინდიანასთან შერცხვენილი პორტლენდის ძლევის შემდეგ ბოსტონი ველარ მოერია კარლ მელოუნის იუტას: მელოუნმა 32 ქულიდან 10 ბოლო 6 წუთში გააკეთა და უკანასკნელ 12 თამაშში მე-11 გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

### ფილადელფია 87:80 მილუოკი

**ფილადელფია: კოულმენი (19+11 მოხსნა)**
**მილუოკი: რობინსონი (21)**

მილუოკიმ კვლავ მოისაკლისა ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი ტერელ ბრენდონი და მისი ბედი ჯერ კიდევ მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა გუნდმა მხოლოდ 8 ქულა მოაგროვა. მილუოკის ვერც ბრენდონთან ერთად კლივლენდიდან გადასულმა ტაირონ ჰილმა უშველა. მან 9 ქულა და ორი ამდენი მოხსნა გაახერხა.

### ორლანდო 96:83 სიეტლი

**ორლანდო: ანდერსონი (31)**
**სიეტლი: ბეიკერი (14)**

8 კაცით მოთამაშე ორლანდომ პირველი მეოთხედი 10 ქულით მოუგო რეგულარული ჩემპიონატის ლიდერს, რომელსაც 8 სათადარიგო კალათბურთელი ჰყავდა. შემდეგ კი არათუ ხელიდან გაუშვა უპირატესობა, სულ იოლად გაზარდა იგი და რომ არა ბოლო მეოთხედში სიეტლელთა სინდისის ქენჯნა, გაცილებით დიდი ანგარიშითაც მოიგებდა.

### შარლოტი 112:102 მინესოტა

**შარლოტი: რაისი (22), მეისონი (21), ფილზი (21)**
**მინესოტა: მარბერი (20), პილერი (20)**

მინესოტას შარლოტში აქამდე ცხრაჯერ ეთამაშა და ყველა წააგო. მგლებმა ვერც ახლა გატეხეს ნავსი, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად არ გარჯილან. მათმა ლიდერმა კევინ გარნეტმა 19 ქულა მიითვალა და თითო-თითო მოხსნა-პასით მეტი რომ გაეკეთებინა, სამმაგ დუბლს გამოკრავდა ხელს. მინესოტას პრობლემები ბომბარდირ ტომ გულიოტას ტრავმის შემდეგ გაუჩნდა და ბოლო 6 თამაშში მეხუთე მარცხი იგემა.

### კლივლენდი 122:88 ტორონტო

**კლივლენდი: პერსონი (33), ილგაუსკასი (21+17 მოხსნა)**
**ტორონტო: კრისტი (16)**

კლივლენდის მსროლელმა უესლი პერსონმა 33 ქულა ჩაუგდო საცოდავ ტორონტოს და ამას მხოლოდ 31 წუთი მოანდომა. მის ოთხწლიან კარიერაში ეს მიღწევა საუკეთესოა, აქედან 24 ქულა სამქულიანებით გაახერხა. პერსონს კარგად წაეხმარნენ ახალბედები — ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასი და ბრევინ ნაითი (17 პასი). კლივლენდმა მეტოქე ფარზეც გაასამჯვერა (47:29) და პასებშიც (36:22).

5 მარტი

### ფინიქსი 102:93 დეტროიტი

**ფინიქსი: რობინსონი (22), მაკდაიესი (20+10 მოხსნა)**
**დეტროიტი: დუმარსი (20)**

ფინიქსის რიგებში კვლავ გამოჩნდა ვეტერანი გამთამაშებელი და ბოლო წლების გუნდის ერთ-ერთი უპირველესი მოთამაშე კევინ ჯონსონი, რომელმაც ძირითად ხუთეულში ითამაშა და 36 წუთში გუნდს 19 ქულითა და 10 პასით შეეშველა.

### მილუოკი 104:87 დენვერი

**მილუოკი: ალენი (26), რობინსონი (22)**
**დენვერი: ნიუმენი (22)**

### დალასი 119:109 კლიპერსი

**დალასი: მიურსეპი (24), ენსტი (20)**
**კლიპერსი: მიურეი (24)**

დალასს მასსავით მაჩანჩალა კლივლენდთან მოაგებინეს მოთამაშეებმა, რომელთაც მანამდე ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. ესტონელმა ფორვარდმა მარტინ მიურსეპმა, ვინც მეორე წელია, ლიგაში თამაშობს, 24 ქულითა და 8 მოხსნით კარიერის ორი რეკორდი დაამყარა. ესტონელს მხარი აუბა ავსტრალიელმა კრის ენსტიმ და კარიერის რეკორდი ერთბაშად 6 ქულით გააუმჯობესა. ფინლიმ და სებალოსმაც ერთობ მოინდომეს (17-17 ქულა) და დალასმა სეზონში ყველაზე მეტი — 119 ქულა დააგროვა.

### ვაშინგტონი 103:90 ნიუ იორკი

**ვაშინგტონი: ჩინი (27), უებერი (26), სტრიკლენდი (21+10 პასი +6 ჩაჭრა)**
**ნიუ იორკი: ჯონსონი (19), უორდი (18)**

### ჰიუსტონი: 93:117 მაიამი

**ჰიუსტონი: ბარკლი (18)**
**მაიამი: ჰარდევეი (25+10 პასი)**

ჩარლზ ბარკლი, რომელიც წინა თამაშში მსაჯთან კამათისთვის გააძევეს, თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო, მაგრამ მან მესამე მეოთხედში ზურგი დაიშავა, რის შემდეგაც მაიამის ჰიუსტონის ფარისკენ მწვანე შუქი აენთო.

**ირაკლი ფირაშვილი**

## აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 42 | 19 | 68,9 |
| ნიუ იორკი | 34 | 24 | 58,6 |
| ნიუ ჯერსი | 33 | 27 | 55,0 |
| ვაშინგტონი | 31 | 29 | 51,7 |
| ორლანდო | 30 | 29 | 50,8 |
| ბოსტონი | 28 | 31 | 47,5 |
| ფილადელფია | 20 | 37 | 35,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 44 | 16 | 73,3 |
| ინდიანა | 41 | 18 | 69,5 |
| შარლოტი | 36 | 23 | 61,0 |
| ატლანტა | 34 | 24 | 58,6 |
| კლივლენდი | 32 | 27 | 54,2 |
| მილუოკი | 29 | 29 | 50,0 |
| დეტროიტი | 27 | 33 | 45,0 |
| ტორონტო | 13 | 45 | 22,4 |

## დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 41 | 16 | 71,9 |
| სან ანტონიო | 40 | 19 | 67,8 |
| მინესოტა | 31 | 28 | 58,6 |
| ჰიუსტონი | 29 | 30 | 49,2 |
| ვანკუვერი | 14 | 44 | 24,1 |
| დალასი | 13 | 47 | 21,7 |
| დენვერი | 5 | 55 | 8,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 45 | 14 | 76,3 |
| ლეიკერსი | 40 | 18 | 69,0 |
| ფინიქსი | 39 | 20 | 66,1 |
| პორტლენდი | 34 | 24 | 58,6 |
| საკრამენტო | 25 | 36 | 41,0 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 46 | 22,0 |
| კლიპერსი | 12 | 47 | 20,2 |

# თებერვლის რჩეულნი

4 მარტს თვის რჩეულები დასახელდნენ. თებერვლის საუკეთესო მოთამაშედ „იუტა ჯაზის“ თავდამსხმელი კარლ მელოუნი აღიარეს. გასული სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ ამჯერად თვის მოთამაშეობა დაიმსახურა. მისმა გუნდმა თებერვლის 11 თამაშიდან 9 მოიგო, ხოლო მელოუნის საშუალო შედეგიანობა ამ მატჩებში 26,6 ქულა და 10,8 მოხსნაა. მელოუნს თვის მოთამაშის ტიტულში ეცილებოდნენ დეკემბერში საუკეთესო მაიკლ ჯორდანი და იანვარში უძლიერესი შაკილ ონილი.

თებერვლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს „მაიამი ჰითის“ თავკაცი პატ რაილი, რომელმაც ორიოდე დღის წინ მე-900 მოგება იზეიმა, თავის გუნდს კი 15 თამაშიდან 13 მოაგებინა.

თებერვლის საუკეთესო ახალბედა, რა თქმა უნდა, სან ანტონიოს თავდამსხმელი ტიმ დანკანი გახდა. თებერვალში მისი საშუალო შედეგიანობა 25,7 ქულა, 12,7 მოხსნა, 3,5 პასი და 3,2 დაფარებაა. დანკანს გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეობაც ერგო.

# სპრიუელი მაინც მიჰქარავს



ლატრელ სპრიუელი

NBA-ს ხელმძღვანელობამ შეიწყალა ჩხუბისთავი და თავისივე მწვრთნელის გამლახავი „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ვარსკვლავი ლატრელ სპრიუელი. ლიგის კომისარმა დევიდ შტერნმა მას დისკვალიფიკაცია 1 ივლისამდე შეუმცირა. თავის მხრივ სპრიუელს კლუბმაც აღუდგინა კონტრაქტი. ორი წლის განმავლობაში იგი 16,3 მილიონ დოლარს მიიღებს.

სპრიუელმა 1 დეკემბერს მწვრთნელი ფი ჯეი კარლესიმო ცემა, რისთვისაც ლიგამ თავის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი — ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა, კლუბმა კი ოთხწლიანი და 32-მილიონიანი კონტრაქტი გაუუქმა და გუნდიდანაც გააგდო. როგორც ამბობენ, დამნაშავემ გულწრფელად მოინანია — მაგრად მივქარეო და ეს იმდენჯერ გაიმეორა, ლიგამაც შეიბრალა. იგი მომავალ სეზონს თავის მშობლიურ გუნდში დაიწყებს.

3 მარტს კი სპრიუელი ავარიაში მოჰ-ყვა. ასე იცის უსაქმურობამ. იმის ნაცვლად, რომ კალათბურთში დაეხარჯა ენერგია, თავისი ახალთახალი „მერსედეს 600“-ით დაქროდა. სან ფრანცისკოდან 80 მილის მოშორებით მან საჭე ველარ დაიმორჩილა და კედელს შეასკდა, მერე სხვა მანქანასაც შეეჯახა, რომლის ორი მგზავრი ჰოსპიტალში გააქანეს, სპრიუელი კი პოლიციის განყოფილებაში.

### ევროლიგა

მერვედფინალები. 3-5 მარტი

**ალბა (ბერლინი, გერმანია) — პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) 77:75, 60:81 (1:1); ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) — ციბონა (ზაგრები, ხორვატია) 75:59 (საპასუხო მატჩი ნუხელ გაიმართა); ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 96:83, 72:88 (1:1); აეკი (ათენი, საბერძნეთი) — სპლიტი (ხორვატია) 76:46, 62:54 (2:0); ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) 81:79, 70:61 (2:0); ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 81:79, 63:75 (1:1); კინდერი (ბოლონია, იტალია) — ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) 86:62, 67:62 (2:0)**

ორივე მატჩში გამარჯვებული შემდეგ წრეში გავიდა. ისინი კი, სადაც საერთო ანგარიშია 1:1, 12 მარტს პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე ითამაშებენ.

### ევროთასი

მეოთხედფინალები

**ვილერბანი (საფრანგეთი) — სტეფანელი (მილანი, იტალია) 58:67; პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — შლიონსკი (ვროცლავი, პოლონეთი) 82:58; ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) — ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) 78:65; ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) — სამარა (რუსეთი) 92:65**

*განმეორებითი მატჩები 10 მარტს გაიმართება.*

### რადივოჯ კორაჩის თასი

ნახევარფინალები

**ს.რ. ბელგრადი (იუგოსლავია) — შოლე (საფრანგეთი) 81:49; მარიჩელო (ვერონა, იტალია) — ტელემარკეტი (რომი, იტალია) 91:82**

*განმეორებითი მატჩები 11 მარტს გაიმართება.*

# კოქტეილი «ტატამი»
## ძიუდოს ამქრის სა-უცხოო ამბები

**მაგან ჭკვიან კაცს უთქვამს: პარიზს აქვს საოცარი უნარი, ორგანულად მიიღოს ნებისმიერი იქ ჩასული და თან ისე გაუთავისდეს, რომ ეს კაცი მთელი დარჩენილი ცხოვრება იგრძნობს მიზიდულობას პარიზისკენ. ასეთ რამეებს კი ტყუილ-უბრალოდ როდი ამბობენ. დასტური გნებავთ? ახლავე ცოტა წინ გავიქცეთ და ვთქვათ, რომ ამის დასადასტურებელ სათავისო არგუმენტებს მოგიყვანენ მეცნიერები, ხელოვანნი, არქიტექტორები, ფილოსოფოსები და უამრავი განსხვავებული საქმიანობის ხალხი. ჩვენ კი ძიუდოისტებისა ვთქვათ.**

აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, პარიზში ერთსა და იმავე დროს, თებერვლის პირველ პარასკევ-კვირას ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი იმართება. ამ ფაქტით, თითქოს ვის გააკვირვებ, მაგრამ რომელი ტურნირი კრებს სულ ცოტა, 60 ქვეყნის 500-მდე ძიუდოისტს? თანაც, ეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში კი არ ხდება, არამედ რეგულარულად. რომელი ტურნირის შემდეგ რჩებიან 40-50 ქვეყნის წარმომადგენლები ოთხდღიან შეკრებაზე, რაშიც სოლიდურ თანხებსაც იხდიან? პასუხი, ვგონებ, ყველასთვის ცნობილია. პარიზის ტურნირს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება და ამის მიზეზი, ალბათ, წერილის დასაწყისში მოხმობილი ჭკვიანი კაცის მიერ გამოთქმული აზრია.

ტურნირ-შეკრების პროგრამა, პრაქტიკულად, კლასიკურია. შეჯიბრების დროს ცხოვრება პარიზის უბან ბერსიში, ასპარეზობა — კუბერტენის სახელობის დარბაზში. შეკრება საფრანგეთის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეროვნულ ინსტიტუტში, სადაც, ყველაფერს თავი რომ დაანებო, ფეხბურთის, მძლეოსნობის და რაგბის ორ-ორი სტანდარტული სტადიონია. ძიუდოისტთა დარბაზი კი იმხელა ფართობისაა, რომ 400-მდე მოჭიდავე ერთდროულად, თავისუფლად ვარჯიშობს. ამის შემხედვარე გაიფიქრებ, ვინ ხარ, ვის ეჯიბრები და ეჭიდავები, თან ისიც გაგახსენდება, სამშობლოში როგორ გიკიჟინებენ, არიქა, ყველა ოქროს მედალს თქვენ რად არ ეპატრონებითო.

ცხადია, ასეთ დროს ძიუდოს სამყარო ერთ ოჯახად ცხოვრობს. იქ ყველა თანასწორია — ოლიმპიური ჩემპიონიც და რაიონის პრიზიორიც, დამსახურებული მწვრთნელიც და ამ საქმეში ახალბედა. მისალებია გამოცდილების გაზიარება, დარიგება, ჭკუის დაკითხვა, მაგრამ ქედმაღლობა და გამოუცდელის აბუჩად აგდება — გამორიცხულია. ასეთი რამ არ ხდება, თუკი მოხდება — ძიუდოს ოჯახი ცხვირაბზეკილს წამსვე გარიყავს.

მაგრამ ძიუდოისტებიც ხომ ადამიანები არიან და ხანდახან დასვენებაც ხომ სჭირდებათ? ამ საქმესაც უმეტესწილად ერთად აკეთებენ — იქნება ეს კაფე-ბარში, სათამაშო ავტომატებთან თუ საბილიარდოში. ახლა ძიუდოისტთა თავისუფალი დროის ოთხ-ხუთსაათიან მონაკვეთს ალვიწერთ. ეს ამბავი პარიზში, სენის ნაპირას მდებარე კაფე-ბარ „ოპუსში“ მოხდა. აქვე შევნიშნავ, რომ ამ ხნის განმავლობაში „ოპუსში“ წმინდა ჟურნალისტად მომუშავე კაცი რომ ყოფილიყო, ოპუსს კი არა, კარგა სქელტანიან წიგნს დაწერდა სხვადასხვა ქვეყნის ძიუდოისტებზე. მე კი, როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციის თანამშრომელი და ამჯერად მოხალისე ჟურნალისტი, მცირეოდენ ნარკვევებს შემოგთავაზებთ.



კრისტოფ გალიანო ტატამზეც მაგარია და ბარშიც

### კრისტოფთან

პარიზში არის რესტორანი „მაქსიმთან“. მის ავ-კარგიანობაზე არაფერს ვიტყვი, რადგან უდიდეს კლასიკოსებს იქაურობა შესანიშნავად აქვთ აღწერილი და თქვენამდე მოტანილი. კაფე-ბარ „ოპუსს“ ჩვენ „კრისტოფთან“ დავარქვით. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

პარიზში ძალიან არ უყვართ ცელოფნის პარკები. თუ შემთხვევით მეტროში ცელოფნის პარკს ძირს დადებ და ერთი ნაბიჯით მაინც მოშორდები, სხვა მგზავრები უმალვე შემოგეცლებიან. ვერც გაამტყუნებ, რადგან ამ ბოლო ხანს ტერორისტთა მიერ აფეთქებული ბომბების უმეტესობა ცელოფნის პარკებში იდო. „ოპუსში“ მისულებს, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს და



ჯამელ ბურას ალაჰიდა თუ უშველის

მე ერთი საზიარო ცელოფნის პარკი გვეჭირა, ოღონდ შიგ ბომბის ნაცვლად გორული შამპანურის „თამარ მეფეს“ ორი ბოთლი იდო. გვსურდა, ჩვენს უცხოელ მეგობარ ძიუდოისტებს ქართველი ძიუდოისტების მიერ დამზადებული სასმელით გავმასპინძლებოდით. სანამ ხალხი მოგროვდებოდა, პარკის გარდერობში შენახვა გადავწყვიტეთ და ამ თხოვნით მეგარდერობე ქალს მივმართეთ. მან ჩვენი თხოვნა შორს დაიჭირა და იქაურობას საერთოდ მოშორდა. ამ დროს გამოჩნდა ფრანგი ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური პრიზიორი კრისტოფ გალიანო, რომელმაც მეგარდერობე ქალი დატუქსა, ჩვენ ბოდიში მოგვიხადა და პარკი დააბინავა. ორიოდ წუთის შემდეგ გალიანო უკვე ბარის დახლში იდგა და მომსახურე პერსონალს მითითებებს აძლევდა. მისი საქციელი გამიკვირდა და ვკითხე, ძიუდოისტობასთან ერთად ბარმენობაც ხომ არ დაიწყე-მეთქი. კრისტოფმა გაიღიმა და მიპასუხა: მე ამ ბარის მფლობელი ვარ, ხოლო საპატიო სტუმრებს ჩემი ხელით ვუმზადებ კოქტეილსო. მისი ნახელავის შემოწმების საშუალება იქვე მომეცა, თანაც გალიანომ გამაფრთხილა, ფული არ გადაიხადო, დღეს ჩემი სტუმარი ხარო.

ვირო მადლიო, ახლა ისე უნდა გამომივიდეს. გალიანოს ბარში დაახლოებით ასი კაცი ვიყავით — ყველა ძიუდოს სამყაროდან. ჩემს გარდა კრისტოფმა კიდევ რამდენიმე ჰოლანდიელისთვის, ავსტრიელისთვის და ამერიკელისთვის გააკეთა გამონაკლისი. მაგრამ, აგერ მოვიდა ფრანგი ოლიმპიური ჩემპიონი ჯამელ ბურა და... რაღაც სასმელში ფული გადაიხადა. იგივე გააკეთა გისლენ ლემერმაც. არადა, როგორც მახსოვს, გალიანო და ბურა თითქმის ყველა შეჯიბრებაზე ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. არა, უმადური და დაუნახავი არ გახლავართ, უბრალოდ, გამიკვირდა...

### რას ამბობ, ჯამელ?!

გეხსომებათ, ჯამელ ბურა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დოპინგზე ჩავარდა. მისმა ყველა დოპინგ-ტესტმა დადებითი პასუხი უჩვენა და ახლა ბურას დისკვალიფიკაცია ელის. მას ორიოდ თვე აქვს დარჩენილი, რათა სასამართლოს გზით უდანაშაულობა დაამტკიცოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კარიერის გაგრძელებას აზრი აღარ ექნება, რადგან სიდნეის ოლიმპიადას ავტომატურად გამოტოვებს. ჩანს, ოლიმპიური ჩემპიონი გრძნობს, რომ განწირულია, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს. გასაუბრებისას იმისთანა რამეები მითხრა, თმები ყალყზე დამიდგა. ჩვენს საუბარს ინტერვიუს სახით შემოგთავაზებთ.

— იცი, რაშია საქმე — დაიწყო ბურამ — დოპინგი არ მიმიღია. ვსვამდი ალმდგენ მედიკამენტებს, რომელთაც საფრანგეთის ნაკრების ყველა წევრი, უკლებლივ ყველა წევრი იღებდა. უბრალოდ, მე გამწირეს, ვერ მიტანენ და იმიტომ.

**— რატომ, ამისთანა რა დაუშავე ფრანგული ძიუდოს მამებს?**

— ძიუდო და სპორტი რა შუაშია. აქ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე. ალბათ, იცი, რომ მე ალჟირელი ვარ, მუსლიმი, ჰოდა, ვერ მიტანენ.

**— მოიცა, შენს გარდა საფრანგეთის ნაკრების ნახევარი მუსლიმია, გინდა, გვარებსაც გეტყვი—**

— ნუ შეწუხდები, მაგრამ ის დანარჩენები თავიანთ მუსლიმობას საჯაროდ არ ამჟღავნებენ. მე კი ასე არ შემიძლია. ოლიმპიადა რომ მოვიგე, ტატამზევე შევწირე ალაჰს მადლობა და ლოცვა აღვავლინე. სწორედ ეს ვერ მაპატიეს.

**— კი მაგრამ, ოლიმპიური ოქრო ხომ საფრანგეთს მოუტანე და არა, ვთქვათ, ალჟირს?**

— მართალი ხარ. მძულს პოლიტიკა, ამის გამო ვიჩაგრები, თორემ კიდევ გეუბნები, იგივე პრეპარატი ყველამ მიიღო.

**— რა გამოდის, კარიერა უნდა დასრულო?**

— იმედი მაქვს, რომ ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ, თუ არა და, რაღა აზრი ექნება ჩემს ასპარეზობას.

... რა დალია სინამდვილეში ბურამ და მართლა გასწირეს თუ არა იგი, ეს ალბათ მხოლოდ ალაჰმა უწყის. ფაქტი კი ერთია, ძიუდოს სამყარო ბევრს დაკარგავს ასეთი შესანიშნავი ძიუდოისტის ტატამიდან წასვლით. მოგვიანებით ჯამელს შოთა ხაბარელი გაესაუბრა.

**ხაბარელი**: ვწუხვარ შენს თავს დატრიალებული სკანდალის გამო. მე შენი გულშემატკივარი ვარ, რადგან შენ ატლანტის ოლიმპიადაც იმ სტილით მოიგე და დღესაც ისევე ჭიდაობ, როგორი სტილითაც მე მოსკოვის ოლიმპიადაზე გავიმარჯვე — ვინც ქამარში გადავლებულიდან ჭიდაობს, ის აუცილებლად იგებს.

**ბურა**: სანამ თქვენ პირადად გაგიცნობდით. თქვენი სახელი უკვე ვიცოდი — ჩემს ერთ-ერთ საყვარელ ფანდს „ხაბარელი“ ჰქვია. დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. რაც დოპინგ-სკანდალი შემემთხვა, ბევრნი როდი მიცხადებენ თანადგომას.

ჯამელ ბურა დაგვემშვიდობა და ბარიდან გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა.

### არჩელაძე — სუპერ!

ჰოლანდიელი ბენ სონემანსი ევროპის ჩემპიონია. მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე მუდმივად მეხუთეა და ამიტომ თავის თავს ხუმრობით „მეფე ბერნარდუს მეხუთეს“ უწოდებს. სონემანსი ქართველი ძიუდოისტების ძმაკაცია, ვაჟკაცი ბიჭია, თავის დროზე დალევაც შეუძლია, მოლხენაც და არც ქალების მიმართაა გულგრილი.

სონემანსი ფეხბურთის და „აიაქსის“ დიდი გულშემატკივარია. „ამსტერდამ არენადან“ ათი წუთის სავალზე ცხოვრობს, სტადიონზე თავისი მუდმივი ადგილი აქვს და თუ შეჯიბრებაზე ან შეკრებაზე არ არის, „აიაქსის“ თამაშს არ აცდენს. მახსოვს, 1996 წელს სანკტ-პეტერბურგში, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გახარებული იყო — თქვენებურმა „ბათუმმა“ რა მაგრად გააშწარა „აიაქსის“ მოსისხლე „ეინდჰოვენიო“.

აბა, თუ მიხვდებით, ვინ აერთიანებს ჩემი და სონემანსის ინტერესებს? მართალია, აიაქსელი შოთა არველაძე, რომელსაც ბენი ჰოლანდიური დამწერლობა-გამოთქმის მიხედვით არჩელაძეს ეძახის. დღეში ათჯერ რომ შევხვდეთ მე და ეს კაცი და ამდენჯერვე გამოველაპარაკოთ ერთმანეთს, ბოლო ფრაზას მაინც ის ამბობს: არჩელაძე - სუპერ!



შოთა ხაბარელი და სტეფან ტრენო: თამადა არჩეულია!

ტრადიცია არც „ოპუსში“ დაირღვა. ოდნავ შეზარხოშებულმა სონემანსმა მთლად მოხსნა გულის პირი: „შენ კიდევ არ იცი, არჩელაძე რა ბრილიანტია. მაგან ერთხელ ვიჩხეს ქუსლით პასი მისცა — აი, ეს არის ფეხბურთი. მარტო მაგიტომ უნდა გადმოსულიყო „აიაქსში“. ფეხბურთელი რომ პასს გააკეთებს, იმას ყველაფერი შეუძლია. გოლებიც ხომ გააქვსო? გოლების გატანა ბაბანგიდასაც შეუძლია, აბა ეგეთი პასის გაკეთება ვის შეუძლია? შოთა ოთხმოცი წუთი უსაქმოდ რომ იდგეს, იმ დარჩენილ ათ წუთში იმდენს გააკეთებს, რომ მთელ გუნდს ეყოფა. აბა, გიჟივით წინ და უკან სირბილს რა ფასი აქვს, ეგრე ხომ სტაიერებიც დარბიან. მერე ძმაც მაგარი ჰყავს. ეგეც გადმოიყვანონ „აიაქსში“ და მთლად კარგი იქნება. მოდი, ახლა არჩელაძის სადღეგრძელო დავლიოთ. ე, რაიტერ, მოდი შენც დალიე!“ ასე გახდა ავსტრიელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პრიზიორი პატრიკ რაიტერი ქართულ-ჰოლანდიური ზეიმის მონაწილე.

ჰოლანდიის ძიუდოისტთა ნაკრები ორ ბანაკადაა გაყოფილი — აიაქსელებად და ფეიენოორდელებად. ეტყობა, ფეიენოორდელებმა იხამუშეს მეტოქეთა ქება და აიაქსელებს (სონემანსის თამადობით) კამათი გაუმართეს. ჰოლანდიური არ მესმის, მაგრამ მოკამათეთა გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთლად ლიტერატურული სიტყვებით არ უნდა შეემკოთ ერთმანეთი და მოშულარი გუნდები. ცოდვას ვერ დავიდებ, შოთას ოსტატობას ფეიენოორდელებიც აღიარებენ, ოღონდ იძახიან, რაღა „აიაქსში“ წავიდა, ჩვენთან ვერ მოვიდაო. ერთ-ერთმა ფეიენოორდელმა ძიუდოისტმა შოთა ჩვენებურ შესანიშნავ ძიუდოისტს ლადო დგებუაძეს შეადარა: „დგებუაძეს როცა ვეჭიდავებოდი, არ ვიცოდი, რომელი ფანდი [illegible] იმიტომ, რომ ყველაფერს [illegible] ფლობდა. ასეა არჩელაძე[illegible] მხრიდან [illegible] და გოლს გაგიტანს“.

მთელ ამ დავას აუღელვებლად და მოთმინებით ადევნებდა თვალს მოქმედ ჰოლანდიელ ძიუდოისტთაგან ყველაზე ტიტულოვანი — ევროპის ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი მარკ ჰუზინგა. იგი ზედმიწევნით განათლებული ბიჭია, სამხედრო მფრინავი, უკვე ორი წელიწადია, „ინტერნეტში“ საკუთარ ჰოუმ-პეიჯს ფლობს და მთელი მსოფლიოს ძიუდოს ყოველგვარ ინფორმაციას უსასყიდლოდ ავრცელებს. დავა რომ მორჩა, მომიტრიალდა და მითხრა: „ეს ჩემი თანაგუნდელები რასაც ფეხბურთზე კამათისას ენერგიას ხარჯავენ, იმის ნახევარი ძიუდოში ვარჯიშს რომ დაუთმონ, ეგრევე მსოფლიოს ჩემპიონები გახდებიან“. თავად ჰუზინგას კი ფეხბურთი არ აღელვებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახლიდან როტერდამის სტადიონის მინდორი ჩანს. ერთი ეგ ვიცი, ჰოლანდიის ნაკრები როცა თამაშობს, მინდა რომ მოიგოსო.



ეს შოთა არველაძეს გაუმარჯოს ქართულადაც, ჰოლანდიურადაც და ავსტრიულადაც! ბენ სონემანსი, ამ სტრიქონების ავტორი და პატრიკ რაიტერი

### ხაბარელი — გრან ტამადა!

მსოფლიოს ჩემპიონი სტეფან ტრენო დღეს უკვე ვეტერანი ძიუდოისტია. არა, მკლავ-მუხლი კიდევ უჭრის, მაგრამ ძველებურად ველარ. ახალგაზრდები ავიწროებენ, მაგრამ ბებერი სტეფანი არ ნებდება და უბრძოლველად არაფერს დავთმობო — ამბობს.

ტრენო იმ თაობის ფრანგი მოჭიდავეა, რომლებსაც თბილისის საერთაშორისო ტურნირი ლამის საშინაო შეჯიბრებად ჰქონდათ ქცეული. სტეფანი არაერთხელ ყოფილა თბილისში და აქ უამრავი მეგობარიც ჰყავს. ყველაზე დიდი სიყვარულით კი თავის უშუალო მეტოქეს, მსოფლიოს ჩემპიონ კობა კურტანიძეს იგონებს. კობას ბევრჯერ გავუმწარებივარ, მაგრამ ჩვენს მეგობრობაზე ამას არ უმოქმედიაო.

ტრენომ „ოპუსშიც“ გაიხარა უფროსი მეგობრის ხაბარელის ხილვით. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ სტეფანმა უეცრად გამართული ინგლისურით დაიწყო საუბარი (გამიკვირდა, რადგან, როგორც ჭეშმარიტი ფრანგი, ტრენო დიდი სიამოვნებით როდი მიმართავს ხოლმე ზღვისგაღმელთა ენას) და სასიამოვნო მოგონებების მორევში ჩაფლულს ისედაც ბეცი თვალები მთლად დაუელამდა: „გახსოვს, შოთა, გორში რომ ვიქეიფეთ? მე, შენ, კურტანიძე, თენაძე და კიდევ რამდენიმე კაცი იყო. შენ თამადა იყავი. ყველა ჭიქა ბოლომდე დავლიეთ, მაგრამ თავს მაინც შესანიშნავად ვგრძნობდი, იმიტომ, რომ კარგ ხალხთან ვიყავი. მომიკითხე ყველა ჩემი ნაცნობი ქართველი ძიუდოისტი. გავიგე, თქვენი ტურნირი „ა“ კატეგორიისა გამხდარა, ვეცდები წელს ჩამოვიდე. ოღონდ ერთი პირობით, თამადა ისევ შენ უნდა იყო, იმიტომ, რომ „გრან ტამადა“ ხარ“.

ისე, თუ ტრენოს ხაბარელი მარტო თა[illegible]ბით დაამახსოვრდა, კარგად ყ[illegible]ლა მაგი[illegible]

*ამის მერე კი ისეთ კაცზე მინდა გესაუბროთ, ნამდვილად რომ იმსახურებს ცალკე თხრობას და ეს მომდევნო შაბათს იყოს.*

**მერაბ რატიშვილი**
**საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი**
**პარიზი-ლინცი-მიუნხენი-თბილისი**

# მაიკლ ბერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



## ფურცელი მეორე

იყო დრო, როცა ევანდერ ჰოლიფილდს თავზე პანკური ქოჩორი ედგა და მძიმე წონის ჩემპიონის ქამრისკენ მხოლოდ მიიწევდა.

მაშინ მძიმე წონის გვირგვინი ყრმა მაიკ ტაისონს ეპყრა. არ არისო ამ ქვეყნად ამ ბიჭის წამქცევი კაციო. ტაისონს ადარებდნენ ჯო ლუისს, როკი მარსიანოს, მუჰამედ ალის. ბრაუნსვილის ჯურღმულებიდან ამოზრდილ ზანგის ბაცაცას დიდმა ბერიკაცმა კას დამატომ სწორი აპარატი მოარგო: მაიკი ლეგენდარულ სახელებს მიუახლოვდა, შეიქნა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მძიმეწონოსანი ჩემპიონი.

იმ წლების ჟურნალმა „რინგმა“, რომელიც „კრივის ბიბლიადაა“ სახელდებული, თავის მრავლისმეტყველ ყდაზე რვა სახელოვანი მძიმეწონოსნის: დემპსის, მარსიანოს, ჰოლმსის, ტანის, ფრეიზერის, ალის, ლუისისა და ფორმენის ფოტოპორტრეტები დაბეჭდა, ამათ შუა ტაისონის ოფლიანი სახე ჩააწება და საჭირბოროტო კითხვაც იქვე დასვა: „მოხვდება დიადი ტაისონი ყველა დროის დიადთა შორის?“

# ბასტერი, მშვიდი ცხოვრების მასტერი

## კაცი, რომელსაც ეძინა

ეს იყო 1990 წლის ოქტომბერში, ლას-ვეგასში. მძიმეწონოსანთა ჩემპიონის ქამრის მაძიებელი ევანდერ ჰოლიფილდი განთქმული დარბაზის „მირაჟის“ გასახდელ განყოფილებაში იდგა და ჩემპიონს ელოდა. ბრძოლის დაწყებამდე ნახევარი საათი რჩებოდა, გარეთ გაჭედილი დარბაზი ხმაურობდა. ჩემპიონს მსაჯებიც ელოდნენ, ბრძოლის წინ მას ოქმზე უნდა მოეწერა ხელი. ჩემპიონი კი არ ჩანდა.

ჰაერში გრანდიოზული სკანდალის სურნელი ტრიალებდა. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ჩემპიონის ნომერში დელეგაცია მიევლინათ და გაეგოთ, რატომ აგვიანებს. პარლამენტიორებს რეპორტიორებიც აეკიდნენ და მთელი ეს გუნდი აპარტამენტის კარზე კაკუნს შეუდგა. მაგრამ ჩემპი არ ჩანდა, არც კარს აღებდა ვინმე. ორთაბრძოლის დაწყებამდე თხუთმეტი წუთიღა რჩებოდა და დელეგაციამ კარის შემტვრევა გაბედა.

უზარმაზარ პირსახოცებში გამოხვეული უზარმაზარი ჩემპიონი უზარმაზარ საწოლზე გაშხლართული იყო და ეძინა.

მას ნჯღრევა დაუწყეს და როგორც იყო, გამოაღვიძეს.

„ბასტერ, ბასტერ! ბრძოლა იწყება!“

ჩემპიონმა თვალები მოიფშვნიტა და დარცხვენილმა გაიღიმა.

„დამძინებია“ — თქვა მორიდებით და მთქნარებით დაიწყო ხალათის ძებნა.

ჩემპიონს ჯეიმს დუგლასი ერქვა. ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასი. „ბასტერ“ კი დამანგრეველს ნიშნავს.

ჰოლიფილდთან საბრძოლველად რომ ვაღიოდა, მას ბევრი არაფერი ენაღვლებოდა, რადგან ცხოვრების მთავარი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა. დანარჩენი ხელფასის საქმე იყო...

## რას უნდა ელოდე კაცისგან?

მორიგი ტიტულის დაცვა ტოკიოში დაინიშნა.

„ვის, ვის უნდა ეჩხუბოს ტაისონი? ეგ ის ბასტერი ხომ არ არის... კი, მახსოვს. მერე ან თავი არ ეტკიოდება, ან ცოლშვილი? სად ეგ და სად რკინისმკვნეტელი?“ — ეს არ არის ტაისონის თავგადაკლული ქომაგის სიტყვები, ეს კრივის ჩვეულებრივ ქომაგთა აზრია.



კრივში მობრუნებული ბასტერ დუგლასი გამარჯვებით ხარობს

ტაისონი ჩემპიონი იყო, მაგრამ კრიტიკოსი არასდროს დაკლებია. ანჯელო დანდი, ალის ყოფილი მწვრთნელი, ამტკიცებდა, რომ საუკეთესო მაიკი ხუთ რაუნდს თუ გაუძლებდა საუკეთესო ალის. მის წარმატებებზე მეტად თავშეკავებულად ლაპარაკობდა ზედმიწევნით ხურებული მწვრთნელი ედი ფაჩი. განთქმული ჯეკ ფისკი კი ტაისონის აღზევებას მის მოწინააღმდეგეთა სისუსტეს მიაწერდა. აქაოდა, მითხარი, ვინ არის შენს მიერ წაქცეული კაცი და გეტყვი, ვინ ხარ შენ...

მაგრამ „ბიჭ-დინამიტის“ მომრევი იმ წლებში არავინ ჩანდა. ტაისონს ისევ ტაისონი თუ დაამარცხებდა, რადგან მძიმე წონის ერთადერთი სუპერვარსკვლავი სწორედ ის გახლდათ.

აქ კი წამოიჭრება კითხვა შემთხვევითი ადამიანისა. განა დიდ რინგზე არსებობს შემთხვევითი კაცი?

დიდ რინგზე არსებობენ ვარსკვლავები, მაგრამ არსებობენ ისინიც, რომლებიც ვერასოდეს იქცევიან ასეთებად. ეს ხალხი კრივში, როგორც მხოლოდ სამსახურში, ისე დაიარება. ხშირად მათი ოსტატობა საუცხოოა და თვალში საცემიც, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა ვერ მიაკუთვნებს ამ მებრძოლთ კრივის ვარსკვლავთა გალერეას. ეგებ ეს უცნაურიც იყოს, მაგრამ ამგვარ ხალხს თავისი ხნული გაუტარებია რინგზე. ყოფილა ხოლმე, რომ მათი მუშტის ერთი გაქნევა ისტორიის დაუვიწყარ წამად ქცეულა.

და კვლავ ტაისონი, კაცი, რომელიც ალმა მიდიოდა და რეკორდი შექმნა. მისი ალმასვლა ბრძოლა და ოფლი იყო. განუმეორებელი მუშტები და ძალა. მაშინ ბევრი ვერარავინ ამჩნევდა მის წვრილ კანჭებს. და ტაისონი ავიდა კვარცხლბეკზე — ტრევორ ბერბიკი მალევე ჩამოიცილა. მძიმე წონის სათავეში დგომა წუთნახევრიანი ნოკაუტებით გამოიხატებოდა. მსოფლიო ტაშს სცემდა, არ ყოფილაო, არ მოიძებნება ამ ბიჭის წამქცევი კაციო...

ჩემპიონი — მაიკ ტაისონი. პრეტენდენტი — ბასტერ დუგლასი.

ბასტერი — სასაცილოდაც კი ჟღერდა. 29 წლისა, ცოლშვილიანი, რინგზე 29 ბრძოლა ჩაუტარებია, ოთხი წაუგია. ფედერაციის რეიტინგში მეორე ნომრადაა. ტაისონთან ბრძოლისთვის სამ მილიონს მიიღებს. გამოვა ბიჭი, წაიქცევა და ჩაიდებს ფულს...

ამხელა ანდერდოგი იშვიათად თუ ყოფილა მძიმე წონაში. ბასტერის შანსი არათუ დაბლად იყო მიჩნეული, არამედ დამამცირებლადაც კი. თანაც, ჟურნალისტები ამცნობდნენ სამყაროს, რომ სამი კვირის წინაც დუგლასს დედა გარდაეცვალა, ცოლი მწოლიარე ავადმყოფი ჰყავს, ხოლო თორმეტი წლის ვაჟი ლამარი ქუჩის ბიჭთა შაიკას დაუმეგობრდა.

„რას უნდა ელოდე კაცისგან, რომელიც გიმში ოფლისღვრის ნაცვლად სასაფლაოს, საავადმყოფოსა და გაძველბიჭებულ შვილს შორის დარბის?“ — კითხულობდნენ ჟურნალისტები.

დონ კინგი, ამ ჩხუბის პრომოუტერი და ზემოქნილი კაცი, იმგვარად შეაშფოთა მოსალოდნელი ორთაბრძოლისადმი იაპონელთა ინტერესის დაქვეითებამ, რომ გრანდიოზულ „ტოკიოდოუმის“ დარბაზში ხალხის მოსაზიდად მაიკლ ჯეკსონი და „როლინგ სთოუნზიც“ კი დაქირთამა, თქვენი გალობით ტრიბუნები შემივსეთო.

და მართლაც, რას უნდა ელოდე?

## ჰუკი

„ტოკიოდოუმი“ მაინც შეივსო — 63 ათასი კაცი მოვიდა.

რეფერიმ, ოკტავიო მეირან სანჩესმა თქვა „ბოქს“ და ჩხუბიც დაიწყო — 12 რაუნდიანი ჩვეულებრივი ტიტულის დაცვა.

მაგრამ თორმეტამდე საქმე არ მისულა, კრივის ღმერთს სულ სხვა რამ ჩაეფიქრებინა.



ბასტერი გოლიათური იერის მოკრივე იყო

ბრძოლის პირველი შვიდი რაუნდი (და ეს უკვე მოულოდნელობა იყო!) პოზიციურ, ტაქტიკურ ძიძგილაობაში გავიდა. მერელა გაირკვა, რომ დუგლასი სულ ცოტას უგებდა ტაისონს დათვლილი ქულების მიხედვით. მერვეს მიწურულს ტაისონმა თავისი განთქმული მარჯვენა აპერკოტით ძირს დასცა მოცილე. რეფერი თავს დაადგა დუგლასს და თვლა დაუწყო. ბასტერი ნელა და მძიმედ წამოიმართა და საბრძოლო დგომიც დაიჭირა. სანჩესმა ნოკდაუნი აღნიშნა და ცოტამ თუ შეამჩნია, რომ ბასტერის ნოკდაუნი მთელ თორმეტ წამს გაგრძელდა.

მაგრამ ბასტერი ფეხზე იდგა.

მეცხრე რაუნდი ბლარძუნში ჩათავდა და დაიწყო მეათე.

ვონგსა ჰკრეს თუ არა, დუგლასმა საშინელი ძალით დასცხო ტაისონს თავში. ამ მარჯვენას მან სამი მოაყოლა ამავე ხელით და ცაცია ჰუკი შეუნაცვლა. ტაისონი, დიდი ჩემპიონი, შეტორტმანდა და გაშტერდა. ბასტერმა გონს მოსვლა აღარ აცალა და ერთი აპერკოტიც ამოსცხო მარჯვენით. ტაისონი, დიდი მოკრივე, ფიცარგანზე დაენარცხა.

ეს იყო 1990 წლის 10 თებერვალს.

დონ კინგის პროტესტმა, ნოკაუტი ადრევე იყოო, აღარაფერი შეცვალა.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავდა, ჯეიმს ბასტერ დუგლასი, არსაიდან მოსული ჩვეულებრივი მოკრივე, რომელიც გმირად იქცა.

ბასტერი პირველი კაცი იყო, მაიკ ტაისონი რომ დაამარცხა. დაამარცხა კი არა, დასცა.

მან დაანგრია ლეგენდა, რომელიც ხუთ წელიწადს იქმნებოდა. მან წაშალა სახელი, რომლის გამოც წიგნებს წერდნენ.

პირველი, ვისაც ბასტერი რინგსგარეთ გადაეხვია, მისი ვაჟი, ლამარი იყო. ბიჭი აცრემლებული, შემცბარი უმზერდა მამის დასისხლიანებულ თავ-პირს.

„რა მოგივიდა ლამარ?“ — ჰკითხა მამამ — „ეს კრივია და ასეც უნდა იყოს. გამხიარულდი, შენ მილიონერის შვილი ხარ.“

## კოლუმბუსი

ჩემპიონი ჯეიმს ბასტერ დუგლასი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. აქ კოლუმბუსში დაიბადა და გაიზარდა. აქვე მიადგა კრივის სექციას, სადაც უშველებელი სარკის წინ იდგა ხოლმე და თავისი კერპის, მუჰამედ ალის მოძრაობებს ბაძავდა. თმაც ალის მსგავსად ჰქონდა შეჭრილი და საერთოდაც, რომ არა ალი და კრივი, ღმერთმა იცის, სად მოხვდებოდა პატარა ჯეიმსი. ალბათ ციხეში, როგორც ბევრი მისი თანატოლი. მაგრამ ეს ძველის ძველი საკრივო ზღაპარია.

„შენ მილიონერის შვილი ხარ“ — მაგრამ ბასტერი სხვანაირი მილიონერი გამოდგა. ამბობდა კიდეც, ჩემი ფულის აზრს იმაში ვხედავ, რომ ჩემს აღმზრდელ და პატივისმცემელ ხალხს პატივი მივაგოო. ამიტომაც დადის არა ჯავშნოსანი „მერსედესით“, არამედ ოცდახუთი წლის კადილაკით, რომელიც ადრევე ჰყავდა. ამიტომაც წამოჭიმა კოლუმბუსში ახალი სპორტული დარბაზი და სათამაშო მოედნები. ახალი სახლი, რომელიც ბასტერმა აიშენა, ელექტრონიკითაა გამოძეძგილი. თვითონ დიდად არ მოსწონს ღილაკებით ცხოვრება, მაგრამ რას იზამ? მოხუც მამას და ავადმყოფ ცოლს პრობლემები ხომ უნდა მოუხსნას?

ასე მიდიოდა დუგლასის ცხოვრება, ცხოვრება წესიერი და ალალი კაცისა, რომელმაც მოახერხა და შვილი ქუჩის კლანჭებს გამოგლიჯა.

ალბათ, მას ეკუთვნოდა ჯილდო — ტოკიოს შერკინებამდე ის ერთ-ერთი ყველაზე დაბალხელფასიანი მოკრივე იყო. ბრძოლაში რამდენიმე ათასს თუ აიღებდა და რამდენი ასეთი ბრძოლა ჰქონდა? ბასტერმა პატიოსნად გაისტუმრა ვალები და ბოლოს ბავშვობის ოცნებაც აისრულა — იახტა იყიდა.

მაგრამ ოჯახი ერთია და კრივი მეორე. მას თითქოს გადაავიწყდა კიდეც, რომ მსოფლიოს ჩემპიონია და ტიტული უნდა დაიცვას.

## კაცი, რომელიც ვერ გააღვიძეს

ეს იყო დრო, როცა ევანდერ ჰოლიფილდს, აწ სამგზის ჩემპიონს, თავზე პანკური ქოჩორი ედგა, გულს კი ჩემპიონობა ჰქონდა ამოჭრილი.

ტოკიოური ომიდან რვათვენახევარი გასულიყო და დუგლასს დიახაც ევალებოდა მასთანდ ჭიდილში უძლიერესის გარკვევა. ბასტერმა ადრევე განაცხადა, ეს ჩემი ბოლო ჩხუბი იქნებაო და როდესაც მედიას წარუდგა, პირდაღებული დატოვა: მოსუქებული და უვარჯიშებელი ჩემპიონი უფრო რინგის პენსიონერს ჰგავდა, ვიდრე ქამრის მფლობელს.

„ერთ გრამსაც არ დავიკლებ“ — იცინოდა ბასტერი — „მშვენივრად ვარ. ჰოლიფილდთან ჩხუბში 25 მილიონს მივიღებ. ეს ფული კი მთელს ჩემს ოჯახს ეყოფა. მე ოფლით მოვიპოვე ადამიანური ცხოვრების სახსრები და სულაც არ ვაპირებ ინვალიდურ სავარძელში გავლიო წუთისოფელი.“

შემდეგ მან დაიძინა, და როგორც ჩანს, ვერც კი გამოაღვიძეს.

...რეფერი მილს ლეინმა თქვა „ბოქს“ და ჰოლიფილდი ჩემპიონს ეკვეთა. ოჰ, როგორი მონდომებული და ანთებული იყო.

მეორე დღეს გაზეთებმა დაწერეს: „ბასტერი მსუქანი, მოუქნელი და მთვლემარე იყო. ბრძოლა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, სამი რაუნდიც ბევრი იყო.“

მესამე რაუნდში ჰოლიფილდმა მოხდენილი ჰუკით დასცა დუგლასი.

წაქცეული ზურგზე გადმობრუნდა, ხელთათმანით ოფლი მოიწმინდა შუბლიდან და თვალები დახუჭა.

მოგვიანებით ლეინი ამბობდა, რომ ეს არ იყო სუფთა ნოკაუტი, რადგან ბასტერს გამოხედვა არ ამღვრევია, თავისუფლად შეეძლო წამოდგომა და ბრძოლის გაგრძელება.

რეფერის ამ სიტყვებმა გვარიანი ხმაური გამოიწვია. ტაისონმა ისიც კი თქვა, ბასტერს მაყურებელი ფეხებზე კიდიაო. ექსჩემპიონი კი კვლავ იღიმებოდა: „რა გინდათ? ეგებ სპორტული სიავე დავკარგე, მაგრამ მაყურებლის გაბრაზება არც მიფიქრია. ესეც არ იყოს და, ევანდერმა გვარიანი მდრუზა. ეს დარტყმა მაიკსაც წააქცევდა.“

...როგორც კი ლეინმა დაიძახა „ცხრა, აუტ“, ბასტერი წამოდგა, ძმურად გადაეხვია ახალ ჩემპიონს, მაყურებლებს გამოეთხოვა, 25 მილიონის ჩეკი ჯიბეში ჩაიკეცა და გაუჩინარდა.

გასაგებია, სადაც წავიდა — ავადმყოფ ცოლთან, მოხუც მამასთან და მოჭკვიანებულ შვილთან.

ნეტავ კიდევ თუ გამოჩნდება ასეთი კაცი?

კაცი, რომელმაც მეფე დაამხო და თავად მეფობა აღარ მოინდომა.

**P.S. ბასტერ დუგლასი დღესაც კრივობს. ექვსწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა რინგს და ერთი-ორი ხმაურიანი გამარჯვებაც ჩაიწერა. ასე ბევრი დაბრუნებულა — თვით დიადთა რიცხვიდანაც კი. საკრივო სააგენტოები დუმან იმ მიზეზის გამო, ჯეიმს დუგლასი რომ მოაბრუნა რინგზე, მაგრამ ერთი ნაღდია — ბასტერი იმიტომ არ მოსულა მეორედ, რომ ხასწაული გაიმეოროს.**

**მას ის ერთი, დაუვიწყარი მუშტიც ეყოფა. მუშტი, რომელმაც მაიკ ტაისონის ოქროს კოშკები დაამსხვრია.**



ბასტერმა ტონი ლაროსას ისეთი დაჰკრა, პირიდან კაპა გამოუგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ხვალ, 8 მარტს მელბურნის „ალბერტ პარკზე" ფორმულა 1-ის 1998 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპი გაიმართება. ხულ სეზონის განმავლობაში პილოტებს 946 წრის — 4559,593 კმ-ის გავლა მოუწევთ. ყველაზე გრძელი (310,582 კმ) ეტაპი იაპონიაში ჩატარდება, ხოლო უმოკლესი (262,625 კმ) მონტე კარლოს ქუჩებში გაიმართება, თუ, რასაკვირველია, რომელიმე რბოლა დროზე ადრე არ შეწყდა.

წლევანდელ ჩემპიონატში 11 გუნდის 22 პილოტი მიიღებს მონაწილეობას, მათგან 4 ბრიტანელია, 3-3 — ბრაზილიელი და გერმანელი. ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ იტალიას, ფინეთს, საფრანგეთსა და იაპონიას, თითო-თითო კი კანადას, ავსტრიას, დანიასა და არგენტინას.

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, არგენტინელი ესტებან ტუერო 19 წლისაა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული, დეიმონ ჰილი — 37-ის. ყველაზე ახალგაზრდა გუნდი „მინარდია", რომლის საშუალო ასაკიც 23 წელია, ბებერი „ზაუბერის" ორივე პილოტი კი 33-33 წლისა გახლავთ.

მაშ ასე, კვირას, თბილისის დროით დილის 8 საათზე პირველი სტარტია.

# მარადიული ფორმულა: დრო, სივრცე, ფული...

### ჩემპიონატის მონაწილენი

| № | პილოტი | | ასაკი | შასი — ძრავი — საბურავი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჟაკ ვილნევი | კანადა | 26 | უილიამს FW-20 — მეკაქრომ V-10 — გუდიარი |
| 2 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | 30 | უილიამს FW-20 — მეკაქრომ V-10 — გუდიარი |
| 3 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 29 | ფერარი F-300 — ფერარი V-10 — გუდიარი |
| 4 | ედი ირვინი | ბრიტანეთი | 32 | ფერარი F-300 — ფერარი V-10 — გუდიარი |
| 5 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | 25 | ბენეტონ 198 — მეკაქრომ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 6 | ალექსანდერ ვურცი | ავსტრია | 23 | ბენეტონ 198 — მეკაქრომ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 7 | დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | 26 | მაკლარენ MP4/13 — მერსედეს V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 8 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 29 | მაკლარენ MP4/13 — მერსედეს V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 9 | დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 37 | ჯორდან 198 — მუგენ-ჰონდა V-10 — გუდიარი |
| 10 | რალფ შუმახერი | გერმანია | 22 | ჯორდან 198 — მუგენ-ჰონდა V-10 — გუდიარი |
| 11 | ოლივიე პანი | საფრანგეთი | 31 | პროსტ AP-01 — პეჟო V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 12 | იარნო ტრული | იტალია | 23 | პროსტ AP-01 — პეჟო V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 14 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | 33 | ზაუბერ C-17 — პეტრონას V-10 — გუდიარი |
| 15 | ჯონი ჰერბერტი | ბრიტანეთი | 33 | ზაუბერ C-17 — პეტრონას V-10 — გუდიარი |
| 16 | პედრუპაულუ დინიცი | ბრაზილია | 27 | ეროუს A-19 — ჰარტ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 17 | მიკა სალო | ფინეთი | 31 | ეროუს A-19 — ჰარტ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 18 | რუბენს ბარიჩელო | ბრაზილია | 25 | სტიუარტ SPG-02 — ფორდ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 19 | იან მაგნუსენი | დანია | 24 | სტიუარტ SPG-02 — ფორდ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 20 | რიკარდო რონსეტი | ბრაზილია | 29 | ტირელ 026 — ფორდ V-10 — გუდიარი |
| 21 | ტორანოსუკე ტაკაჯი | იაპონია | 24 | ტირელ 026 — ფორდ V-10 — გუდიარი |
| 22 | სინჯი ნაკანო | იაპონია | 27 | მინარდი 198 — ფორდ V-10 — ბრიჯსტოუნი |
| 23 | ესტებან ტუერო | არგენტინა | 19 | მინარდი 198 — ფორდ V-10 — ბრიჯსტოუნი |

## ვინ რისი მაქნისია

როგორც ყოველთვის, სეზონის წინ სხვადასხვა სააგენტოები და სპეციალისტები ცდილობენ მომავალი სეზონის შედეგების გამოცნობას. ამ მხრივ არც წლევანდელი ჩემპიონატია გამონაკლისი და ინგლისელი ბუკმეკერებიც თავიანთ პროგნოზებს აქვეყნებენ. მათი აზრით, მსოფლიო ჩემპიონობის საუკეთესო შანსი მიხაელ შუმახერს აქვს — 15-8; ვილნევი 5-2; ჰაკინენი 4-1; ფრენცენი 10-1; კულჰარდი 14-1; ჰილი და ირვინი 33-1; ვურცი და რალფ შუმახერი 40-1; პანი 50-1; ჰერბერტი და ალეზი 80-1; ტრული და ბარიჩელო 100-1; სალო 150-1; დინიცი და მაგნუსენი 200-1.



შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟაკ ვილნევი

გუნდური პირველობის შანსები: ფერარი — 13:8; მაკლარენი 7-4; უილიამსი 15-8; ბენეტონი 16-1; ჯორდანი 33-1; პროსტი 50-1; ზაუბერი 66-1; სტიუარტი 100-1; ეროუზი 250-1; ტირელი 1000-1; მინარდი 5000-1.

პირველ ეტაპზე გამარჯვების შანსები: მიხაელ შუმახერი — 2-1; ვილნევი 3-1; ჰაკინენი 4-1; კულჰარდი 5-1.

გამოცხადდა ისიც, რომ დადებულია 10-10 ათასი გირვანქა შუმისა და ვილნევის ჩემპიონობაზე.

დღეს შემოგთავაზებთ პროგნოზთა ჩვენეულ ვარიანტს — თუ რას უნდა ველოდოთ თითოეული გუნდისგან.

**„უილიამსი".** კარგად მომზადებული შასი და ორი ტოპ პილოტი გუნდს ტიტულების შენარჩუნების შანსს უტოვებს. ამასთან, ფინანსური მდგომარეობა საშუალებას აძლევს, სეზონის განმავლობაშიც გააუმჯობესოს ბოლიდის ხარისხი.

**„ფერარი".** ეს გუნდი ტრადიციულად, პირველობის კანდიდატია, თუმც სხვა გუნდებთან შედარებით უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს. ფინანსური სიძლიერე და საკუთარი წარმოების ძრავი ტექნიკური სრულყოფის გარანტია უნდა იყოს.

**„ბენეტონი".** ბოლო წლების ერთ-ერთი მოწინავე, ალბათ, წელსაც უძლიერესთა შორის იქნება, მაგრამ სათუოა ორი ახალგაზრდა, თუმც მეტად სწრაფი პილოტის მიერ გამარჯვების მოპოვება უფრო გამოცდილ მეტოქეებთან პაექრობაში.

**„მაკლარენი".** კარგად მომზადებული შასი, მძლავრი ძრავი და ორი მაღალხარისხოვანი პილოტი ამ გუნდს ტიტულის მაძიებელთა შორის აყენებს, ფინანსური სიძლიერე კი ერთ-ერთ საუკეთესო კონსტრუქტორს — ნიუის სხვადასხვა ტიპის ტრასებისთვის ბოლიდის საუკეთესოდ მომზადების საშუალებს აძლევს.

**„ჯორდანი".** დეიმონ ჰილის მისვლამ გუნდის შანსები აშკარად გაზარდა, მაგრამ ახალი ძრავი შედარებით სუსტია, ვიდრე მოწინააღმდეგეებისა და ირლანდიელებს მძიმე სეზონი ელით ხუთეულში ადგილის შესანარჩუნებლად. მოსალოდნელია მათი პილოტების პოდიუმზე რამდენჯერმე მოხვედრა.

**„პროსტი".** ხუთეულში მოხვედრის უპირველესი კანდიდატი. უშუალო მეტოქეებთან, „ჯორდანთან" და „ზაუბერთან" შედარებით ერთი უპირატესობაც აქვს — „პეჟოს" ძრავი. საერთოდ კი, ამ გუნდის მიერ რომელიმე ეტაპზე გამარჯვება მაინც ნაკლებ მოსალოდნელია.

**„ზაუბერი".** შვეიცარიელების მიზანი ხუთეულში მოხვედრაა. ორი გამოცდილი პილოტი სტაბილური შედეგების საწინდარი უნდა იყოს, მაგრამ არავინ იცის, შეძლეს თუ არა კონსტრუქტორებმა ისეთი შასის მომზადება, რომელიც ამ პილოტებს მოწინავეთა შორის მიუჩენს ადგილს. პილოტებს კი აშკარად ხელეწიფებათ ქულების მოგროვება და ამ მხრივ ეს სეზონი შარშანდელზე უკეთესი უნდა იყოს.

**„ეროუზი".** მისგან არც ამ სეზონში უნდა ველოდოთ დიდ წარმატებებს, შარშანდელთან შედარებით კი პროგრესი შესაძლებელია. ჯერჯერობით გუნდის ნაკლად ახალ ძრავას მიიჩნევენ. აუტსაიდერებთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს — ჯონ ბარნარდის მიერ შექმნილი შასი.

**„სტიუარტი".** შარშანდელი წარმატებული დებიუტის შემდეგ მოსალოდნელია გუნდის წინსვლა, თუმცა ეს „ფორდის" ახალი ძრავის საიმედოობასა და ძალაზეა დამოკიდებული. გუნდის ახალგაზრდა პილოტებს კი აშკარად შეუძლიათ სიურპრიზის შემოთავაზება და ყველა ეტაპზე ეცდებიან მოწინავეთა შორის მოხვედრას.

**„ტირელი".** ახალი მფლობელები გუნდის შედეგებს, ალბათ, რადიკალურად ვერ შეცვლიან, მით უმეტეს, რომ ძრავი სხვა გუნდებთან შედარებით სუსტია და არც პილოტები გამოირჩევიან. რამდენიმე ქულის მოგროვება კი მათთვის მშვენიერი შედეგი იქნება.

**„მინარდი".** აშკარა აუტსაიდერი, სუსტი ძრავით, გამოუცდელი და არცთუ სწრაფი პილოტებით, თუმცა „ტირელს", შესაძლოა, ზოგიერთ რბოლაში შეეპაექროს უკეთესი ადგილის მოსაპოვებლად.

პილოტთა შორის კი ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებად „უილიამსის" და „მაკლარენის" პილოტები და „ფერარის" ლიდერი მიხაელ შუმახერი უნდა მივიჩნიოთ. მათ შორის უკეთესი შანსები ვილნევსა და შუმის აქვთ. ჟაკისთვის ეს სეზონი უფრო რთული უნდა იყოს, ვიდრე შარშანდელი, მაგრამ ამ მრბოლის საუცხოო ტექნიკა და სისწრაფე მის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისა და პოულების რაოდენობის გაზრდის უტყუარი გარანტიაა. რაც შეეხება მიხაელს, მასაც დიდი ჯაფა ელის, რადგან „ფერარი" წელს მისგან მხოლოდ პირველობას მოითხოვს, თანაც ჩემპიონატში გამარჯვებით გერმანელი კვლავ მოიგებს თავისი შარშანდელი საქციელით მასზე განაწყენებულ ავტოსპორტის მოყვარულთა გულებს.

პირველობის კიდევ ერთ კანდიდატს, ფრენცენს დიდი სურვილი აქვს, დაამტკიცოს, რომ მათ არაფრით ჩამოუვარდება. ალბათ რამდენიმე ეტაპს მოიგებს კიდეც, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს არ იკმარებს.

რაც შეეხება „მაკლარენის" ტანდემს, მას ფრენცენზე მეტად შესწევს ძალა, შუმისა და ჟაკს ბრძოლა გაუმართოს.

| თარიღი | რბოლა | ტრასა | ტრასის სიგრძე | რბოლის დისტანცია: წრე | რბოლის დისტანცია: კმ | სტარტი ჩვენი დროით |
|---|---|---|---|---|---|---|
| 08.III | ავსტრალიის დიდი პრიზი | ალბერტ პარკი, მელბურნი | 5.302 | 58 | 307.516 | 8.00 |
| 29.III | ბრაზილიის დიდი პრიზი | იტნერლაგოსი, სან პაულუ | 4.292 | 72 | 309.024 | 21.00 |
| 12.III | არგენტინის დიდი პრიზი | ოსკარ გალვესი, ბუენოს აირესი | 4.259 | 72 | 306.535 | 21.00 |
| 26.IV | სან-მარინოს დიდი პრიზი | ენცო და დინო ფერარების ტრასა, იმოლა | 4.93 | 62 | 306.696 | 17.00 |
| 10.V | ესპანეთის დიდი პრიზი | კატალუნია-მონტმელო, ბარსელონა | 4.728 | 65 | 307.336 | 17.00 |
| 24.V | მონაკოს დიდი პრიზი | მონტე-კარლო | 3.367 | 78 | 262.026 | 17.30 |
| 07.VI | კანადის დიდი პრიზი | ჟილ ვილნევის სახელობის ტრასა, მონრეალი | 4.421 | 69 | 305.049 | 22.00 |
| 12.VII | ბრიტანეთის დიდი პრიზი | სილვერსტოუნი | 5.14 | 60 | 308.406 | 18.00 |
| 26.VII | ავსტრიის დიდი პრიზი | A-1 რინგი, შპილბერგი | 4.319 | 71 | 306.649 | 17.00 |
| 02.VIII | გერმანიის დიდი პრიზი | ჰოკენჰაიმი | 6.823 | 45 | 307.022 | 17.00 |
| 16.VIII | უნგრეთის დიდი პრიზი | ჰუნგარორინგი, ბუდაპეშტი | 3.968 | 77 | 305.536 | 17.00 |
| 30.VIII | ბელგიის დიდი პრიზი | სპა-ფრანკორშამპი | 6.968 | 44 | 306.592 | 17.00 |
| 13.IX | იტალიის დიდი პრიზი | მონცა | 5.77 | 53 | 305.772 | 17.00 |
| 27.IX | ლუქსემბურგის დიდი პრიზი | ნიურბურგრინგი | 4.556 | 67 | 305.252 | 17.00 |
| 01.XI | იაპონიის დიდი პრიზი | სუზუკა | 5.864 | 53 | 310.582 | 9.00 |

## პილოტებს ცეკვის ეშინიათ



ოჯახური იდილია: მიხაელ შუმახერმა რბოლამდე მეუღლესთან ერთად წაიხემსა

1998 წლის სეზონს ფია ახალი წესებით შეხვდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებებია ბოლიდების ტექნიკურ მონაცემებში.

უპირველს ყოვლისა, აღსანიშნავია ბოლიდის სიგანის შემცირება 200-დან 180 სანტიმეტრამდე.

ამას გარდა, ახალ სეზონში გუნდებს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებაც მოუწევთ:

მშრალი ამინდისთვის განკუთვნილ საბურავებს უნდა ჰქონდეთ გასწვრივი ღარები — მინიმალური სიგანით 10 მმ.

წინა საბურავებს 3 ღარი ექნება, უკანას — 4.

საბურავების მწარმოებლებს ყოველ ეტაპზე შეეძლებათ, გუნდებს მიაწოდონ არა უმეტეს სამი ტიპის „საწვიმარი" საბურავი (ადრე შეზღუდვა არ იყო). მათი რიცხვი 28-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ტიპის საბურავები საგანგებოდ არის მომზადებული სველი ან ტალახიანი ტრასისთვის.

ერთ ეტაპზე ყოველ პილოტს შეუძლია, გამოიყენოს მშრალი ამინდისთვის განკუთვნილი 40 საბურავი (გასულ წელს ეს რიცხვი 36-ს შეადგენდა).

ბორბლის მინიმალური სიგანე წინა თვლებისთვის 305 მმ-ია, უკანასთვის კი — 365 მმ.

უკანა ხედვის სარკის ზომა 5X10-დან 5X12 გაიზარდა.

თავისა და კისრის დამცავი რბილი რკალი უნდა გაგრძელდეს საჭემდე.

პილოტი ვალდებულია, დატოვოს კოკპიტი საჭის მოხსნით 10 წამში.

იმისათვის, რომ ტრასაზე ზეთი არ დაიქცეს, კარტერის სავენტილაციო მილაკი უნდა უერთდებოდეს კოლექტორს.

ყველა ბოლიდი აღჭურვილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ტელეკამერით.

ფიას ხელმძღვანელთა აზრით, ეს ტექნიკური ცვლილებები სიჩქარის შემცირებას, რბოლისას უსაფრთხოების გაუმჯობესებას და გუნდების შანსების გათანაბრებას ემსახურება. მართლაც, სარკის გადიდება და ავარიის შემთხვევაში ადვილად დასატოვებელი კოკპიტები პილოტებს გარჯას გაუადვილებს, მაგრამ ავტომობილის სიგანის შეცვლაზე და ახალი ტიპის საბურავების სარგებლიანობაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევი გახლავთ. სწორედ ამ ორი ცვლილების წინააღმდეგ აიმაღლა ხმა ჟაკ ვილნევმა და ფიას ჩინოსნებმა ამისთვის დატუქსეს კიდეც. გუნდებმა ახალი მოთხოვნებით მოამზადეს ბოლიდები, პირველი ტესტებიც ჩაატარეს, პილოტებსაც და კონსტრუქტორებსაც საკუთარი აზრი გაუჩნდათ ამ ცვლილებების შესახებ, თითქმის ისეთივე, როგორიც ჟაკს.

აი, რას ფიქრობენ შეჯიბრების მონაწილენი:

**მიკა სალო** („ეროუზის" პილოტი): „ვიწრო მანქანა ძალიან ძნელად დასამორჩილებელია, როგორც კი გადაუხვევ იდეალური ტრაექტორიიდან, მოცურებას იწყებს და მისი გაკონტროლება შეუძლებელი ხდება. ჩქაროსნულ მოსახვევებზე ბოლიდი ცურავს და გვერდზე მიხტის, ასე რომ, ერთი მოსახვევი რამდენიმედ გადაიქცევა ხოლმე ყოველივე ეს კი ძალიან გამაღიზიანებელია".

**რონ დენისი** („მაკლარენის" შეფი): „ტექნიკური მოთხოვნების სტაბილურობის პერიოდი დასრულდა. არადა, სტაბილური წესები პატარა გუნდებს საშუალებას აძლევდა, დრო და დრო გრანდებს წამოწეოდნენ. მდიდრები კვლავ დაწინაურდებიან, რადგან მეტი კვლევითი სამუშაოებისა და ტესტების ჩატარების შესაძლებლობა აქვთ".

**როს ბრაუნი** (კონსტრუქტორი): „ივივე 750 ცხენის ძალის ტრასაზე „გადატანა" საჭიროა საბურავებით, რომელთა გზასთან შეხების ფართი მნიშვნელოვნად შემცირდა. ასეთი ბოლიდის მართვა კი ისეთივე რთულია, როგორც გასულ წლებში სველ ტრასაზე რბოლა".

**ჟაკ ვილნევი** (მსოფლიოს ჩემპიონი): „ეს იგივეა, რაც ქვიშიან ან სველ ტრასაზე ასპარეზობა. დამუხრუჭების დაწყებისას თითქმის არაფერია ახალი, მაგრამ ბოლო 15-20 მეტრზე ბოლიდი ისე ცეკვავს, როგორც ყინულზე".

ამ აზრს საბურავების დამამზადებლებიც იზიარებენ. ისინი აცხადებენ, რომ გაიზრდება სიჩქარის შემცირების მანძილი, რაც გაზრდის სერიოზული შეჯახებების ალბათობას.

„გუდიარის" ფორმულა 1-დან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს ცვლილებები გახლავთ. „ყოველთვის იმაზე ვმუშაობდით, საბურავების ხარისხი გაგვეუმჯობესებინა სიჩქარის გასაზრდელად. იქნებ ვინმეს სურს კიდეც, რომ საბურავები ამუხრუჭებდეს მანქანას, ჩვენთვის კი ეს მიუღებელია" — განაცხადა ამ ფირმის პრეს-ატაშემ კრის ეიკედმა.

ერთი სიტყვით, ამ ცვლილებებს აღფრთოვანება არ გამოუწვევია, თუმცა „ჯორდანის" კონსტრუქტორი შედარებით ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს: „არა მგონია, რომ რეფორმები სანახაობას გააუმჯობესებს. ავტომობილი, რომელიც მეტოქეს ჩაუდგება კვალში, შეჭიდულობას დაკარგავს და ეს გასწრებას გააძნელებს. მაგრამ კონსტრუქტორები თავის სიტყვას იტყვიან და სიტუაციას უეჭველად გამოასწორებენ. პილოტები კი, როგორც ყოველთვის, ჯერ იწუწუნებენ, შემდეგ კი შეეჩვევიან ახალ პირობებს".

რაც შეეხება ფიას პრეზიდენტ მაქს მოსლის, იგი კმაყოფილია ცვლილებებით და ფიქრობს, რომ მისი ჩანაფიქრი განხორციელდება: „შეჯახების ენერგია პროპორციულია იმ სიჩქარისა, რომელიც ავტომობილს კონტროლს აკარგვინებს. ეს დასაბუთებული ფაქტი გახლავთ".

ვინ არის მართალი, პირველივე რბოლები დაგვანახებს.

ტექნიკური მონაცემების გარდა, ფიამ რბოლების ჩატარების რეგლამენტიც შეცვალა:

თავისუფალ ვარჯიშზე (პარასკევს ტარდება) შეუზღუდავია გავლილი წრეების რაოდენობა. ეს გუნდებს უკეთ მომზადების საშუალებას მისცემს.

ახალ ტრასაზე ვარჯიშის დამატებითი დღე გაუქმდა.

თუ კვალიფიკაციისას ავტომობილი გაჩერდა და ბოქსებამდე სხვათა დახმარებით მივიდა, ერთი საუკეთესო წრის დრო უქმდება.

ავტომობილი, რომლის ოთხივე ბორბალი არ იქნება დაყენებულ-დამაგრებული სასტარტო 5-წუთიანი მზადყოფნის სიგნალისას, ვალდებულია, სტარტი აიღოს ბოლო პოზიციიდან ან ბოქსებიდან.

[illegible] სტარტამდე, 5-წუთიანი მზადყოფნის პერიოდში [illegible] მსაჯი საჭიროდ ჩათვლის საბურავების შეცვლას, სასტარტო პროცედურა იწყება 15-წუთიანი მზადყოფნის ნიშნულიდან.

რბოლისას მსაჯების მიერ პილოტის დაჯარიმების დრო მონიტორმა უნდა აღნიშნოს. ამ მომენტიდან დაჯარიმებული სპორტსმენი ვალდებულია, სასჯელის მოსახდელად ბოქსებში არა უგვიანეს 3 სრული წრის გავლის შემდეგ შევიდეს.

**ალეკო ჭაბუკიანი**

# ყაჩაღი დაყაჩაღებულა


დონ კინგი მტრების ჯინაზე ცხრაჯერაც გაიცინებს

დღეს მეხიკოში დიდი კრივი უნდა გაიმართოს. ერთმანეთის პირისპირ ზეველთერის წონის (63,5) ორი მებრძოლი დადგება: მექსიკური კრივის მეუფე და ლეგენდა ხულიო სეზარ ჩავესი და მისივე თანამემამულე მიგელ ანხელ გონსალესი.

ჩავესი, რომელსაც თავისწილ 83 ბრძოლა ნოკაუტით დაუსრულებია, სულ კი 100 გამარჯვება აქვს, ბოლოხანს უგვირგვინო და პატივაყრილიც იყო. 1996 წლის ივნისში დიდი მექსიკელი ამერიკელმა ოსკარ დელა ჰოიამ დაასისხლიანა და საბჭოს (ვბკ) ტიტულიც წაართვა. ამას ისიც დაერთო, რომ ჩავესის ანგარიშებს საგადასახადო ჩაუჯდა და მისი ყალბისმქნელობა გამჟღავნა.

ამასობაში დელა ჰოიამ ტიტული დათმო და სხვა წონაში გადაბარგდა, რახან ოცნებადა აქვს, რაც შეიძლება მეტ წონაში გახდეს ჩემპიონი. ამიტომ, საბჭოს თავკაცმა ხოსე სულეიმანმა საჩემპიონო ბრძოლა გამოაცხადა და ჩავესს გონსალესი დაუპირისპირა. გონსალესს 42 ბრძოლა აქვს მოგებული და ერთადერთი მარცხის ნიშანი ადევს.

ჭიდილი 50-ათასიან „პლაზა მეხიკოში" გაიმართება და მისი მომწყობიც, ცხადია, განთქმული პრომოუტერი დონ კინგია. კრივის ამ უცნობილეს კაცს ახლა უსიამოვნო დღეები უდგას. მეხიკოში ჩაფრენილი კინგი იმას თუ ფიქრობდა, ტაისონი რამ გადარია, რომ მტრად მომეკიდაო.

მართლაც საკვირველია — რაც ინდიანას ციხიდან გამოაღწია, კბილებდაცვეთილი რკინისმკვნეტელი კინგის ფრთისქვეშ იყო შეფარებული. კინგისავე მეცადინეობით შედგა ტაისონის ექსბრძოლიანი კონტრაქტი „ემჯიემ გრანდ არენასთან", რითაც მაიკმა ძალიან ბევრი ფული იშოვნა. მაგრამ კონტრაქტი ვერ გასრულდა, მეხუთე ემჯიემურ ჩხუბში ტაისონმა ყური მოაკვნიტა ევანდერ ჰოლიფილდს და ნევადის შტატის ათლეტთა კომისიისგან სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო. თუმცა, ამ ზაფხულს აპელაცია-ბოდიშის შეტანის უფლება აქვს და ეგებ ლიცენზია დაიბრუნოს კიდეც. მანამდე კი ტაისონს თვალები აეხილა და თავის პატრონ-პრომოუტერს უჩივლა. ტაისონი თავის ვექილთა დასტასთან ერთად მანჰეტენის სასამართლოს მიადგა და სარჩელი აღძრა. ეგ როგორ გამოდის, რომ ჩემის ოფლით ნაშოვნი ფულები დონ კინგის და მისი ფირმის „დონ კინგ პროდაკშენზ ინკორპორეიტიდის" ანგარიშზე ჯდება და ჩემს ზურგს უკან ორმაგი ბუღალტერია წარმოებსო.

მოკლედ, შეილობილი 100 მილიონ დოლარს ეჯავება ოღრაშ მამილოს. საქმე ერთი დღის აღძრულია და მეხიკოში ჩაფრენილი კინგიც ამეებს ნაღვლობდა და ნაქირავები მანქანით აეროპორტიდან ქალაქს მიდიოდა, როცა მის მანქანას წინ ოთხი თოფიანი ყაჩაღი გადაუდგა, გააჩერა და შიგ მჯდომ პრომოუტერს საფეთქელზე ლულა დააბჯინა.

ყაჩაღებმა კინგს აართვეს 100 ათას დოლარად ღირებული, ბრილიანტებით გაწყობილი „როლექსის" საათი და მიიმალნენ.

თავად კინგი გვარიანად შეშინებულა, ოთხ თოფოსანთან რას გავაწყობდიო, მაგრამ თავს იმით ინუგეშებს, ნივთის დაკარგვა არაფერია სიცოცხლის დაკარგვასთანო.

„მათ რომ სცოდნოდათ, რომ დონ კინგი ვარ, ვერაფერს შემომკადრებდნენ" — ამბობს პრომოუტერი, რომელიც ოდესღაც თავად იყო დამრეკეტებელი, მკვლელობის გამო ციხეშიაც იჯდა და ახლაც გვარიან თაღლითად არის მიჩნეული.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**


წლინახევრის წინ დელა ჰოიასგან თავპირდასისხლიანებულ ჩავესს ტიტულის დაბრუნების შანსი აქვს

მშენებლობა დიზაინი რეკლამა
აკაცია Acacia
ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ
ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840
e-mail dato@acacia.postnet.ge



## რეგულარული ჩემპიონატი

**ანაჰაიმი — დეტროიტი 0:2**

შაიბები: ჯილკრისტი 13 (0:1), აიზერმანი 14 (0:2)

**სან ხოსე — დეტროიტი 5:4**

შაიბები: მერფი 9 (0:1), დრეიპერი 8(0:2), მატო 11(1:2), მერფი 10(1:3), მატო 12(2:3), შენაჰანი 24(2:4), ზიუზინი 4(3:4), კრეივენი 10(4:4), მარლო 11(5:4)

სტენლის თასის ერთ-ერთი ფავორიტი — დეტროიტი ოლიმპიადის შემდეგ თანდათან შეუდგა ფლეი-ოფისთვის მზადებას, მით უმეტეს, რომ ფინალში მონაწილეობა, ფაქტობრივად, გაინაღდა. უპირველეს ყოვლისა, გუნდის ძირითად მეკარეს, კრის ოსგუდს, რომელმაც ბოლო 3 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაუშვა, დასვენების უფლება მისცეს, კევინ ჰოდსონი კი, მწვრთნელთა გასახარად, ღირსეული შემცვლელი აღმოჩნდა. მასპინძლები სელიანესა და კარიას არყოფნაშიც ენერგიულად უტევდნენ, მაგრამ ჰოდსონმა ერთობ დამაჯერებლად ითამაშა და კარიერაში მე-3 „შათაუტი" შეასრულა. სხვათა შორის, ეს უკვე მე-9 შემთხვევაა, როცა ანაჰაიმს გოლი ვერ გაუტანია (სეზონის ანტირეკორდი). ის კი არა, დეტროიტის თავდამსხმელმა იგორ ლარიონოვმა მატჩის შემდეგ აღნიშნა, მეტოქეს საკმაოდ ბევრი შანსი მივეცით და მომდევნო მატჩებში დაცვაში უფრო მეტად უნდა გავისარჯოთო. თითქოს ენამ უყივლაო, მეორე დღეს დეტროიტი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, სან ხოსემ გაამწარა. მიუხედავად იმისა, რომ კარში კვლავ ოსგუდი ჩადგა და სტუმრები 4:2 დაწინაურდნენ, კალიფორნიელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, „წითელფრთიანები" კი საკუთარი შეცდომების გამო დაისაჯნენ — 28 წამში ფავორიტმა, სრულიად გაუმართლებლად, ორი შაიბა გაუშვა. ჯერ იყო და, ოსგუდს შორეული დარტყმა გაეპარა, შემდეგ კი სტუმრებმა სანხოსელი კრეივენი დატოვეს უმეთვალყუროდ. ამით ფრთაშესხმულ მარლოს გამარჯვების გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

# გრეცკი — 999

4 მარტი. ფლორიდა — რეინჯერსი 3:4, ტორონტო — კოლორადო 3;5, დალასი — მონრეალი 1:3, ედმონტონი — ტამპა 4:2.

5 მარტი. ვანკუვერი — კალგარი 2:6, ლოს ანჯელესი — კაროლინა 1:2, სენტ ლუისი — მონრეალი 4:0, ოტავა — კოლორადო 4:2, ნიუ ჯერსი — ბოსტონი 1:1, ფილადელფია — ვაშინგტონი 3:2, პიტსბურგი — ჩიკაგო 2:2.

კოლორადოსა და კანადის ოლიმპიური ნაკრების თავკაცი ტყუილად როდი შიშობდა, რომ ნაგანოში ცხრა ჰოკეისტით წარდგენილი „ეველანში" მეტად დაიტვირთებოდა. ასეც მოხდა — ბოლო მატჩებში გუნდის ლიდერები გადაღლილები ჩანდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა, ჯო საკიკმა კი აქამდე ვერ მოიშუშა იაპონიაში მიღებული ტრავმა. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ კოლორადომ ტორონტოში „ნეკერჩხლის ფოთლებს" სძლია, მაგრამ ლიდერმა გამარჯვება მეტოქის მცველთა უხეში შეცდომების ხარჯზე მოიპოვა. მასპინძელთა მწვრთნელმა ამაში თავდამსხმელები დაადანაშაულა, რომლებიც მოწინააღმდეგის ზონაში დიდხანს ყოვნდებოდნენ და „ეველანშის" ჰოკეისტებს გარღვევის საშუალებას აძლევდნენ. სწორედ ასე გაიტანეს სტუმრებმა 4 გოლი, ერთიც ცარიელ კარში შეაგდეს. თავი გამოიჩინა კეიტ ჯონსმა (1+1), რომელსაც ტრავმის გამო ნახევარი წელი არ ეთამაშა და ახლა წარმატებით შეცვალა კლოდ ლემიე ფორსბერგის პირველ სამეულში.

მეორე დღეს კი ფავორიტს პლეი-ოფში გასასვლელად მებრძოლ ოტავასთან არ წაუვიდა საქმე. „სენატორებმა" წლეულს გაამწარეს ლიდერები (50 პროცენტზე მეტ ქულიან გუნდებთან ოტავას +13=4-6 შედეგი აქვს) და არც კოლორადოელებს დააყარეს კარგი დღე. მასპინძლები პირველ პერიოდში აშკარად დომინირებდნენ და გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვეს. „სენატორთა" გამარჯვების სულისჩამდგმელი მათი ლიდერი ალექსეი იაშინი გახლდათ, რომელიც არაერთხელ დაემუქრა რუას კარს და 3-ჯერ მიაწოდა პარტნიორებს ზუსტი პასი. მასთან შეამხანაგებულმა მიურეიმ 2 (1+1) ქულა დააგროვა. კოლორადოელთა წამყვანი პლეიმეიკერის, ფორსბერგის მორიგი 2 პასი კი თავად შეედს თუ გაამხნევებს, რის შედეგადაც იგი 75 (21+54) ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ასისტენტი და ბომბარდირი გახდა.

ვაშინგტონისა და აშშ-ის ნაკრების მწვრთნელს რონ უილსონს კი ულბილობა დაებედა. მას შემდეგ, რაც მისმა ჰოკეისტებმა ნაგანოში სირცხვილი ჭამეს, ვერც „კეპიტალსი" მოსულა გონს. არცთუ ძლიერად მოთამაშე ფილადელფიასთან ზედიზედ მეხუთედ წაგება დედაქალაქელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ანგარიში ნიკოლიშინმა გახსნა და ამის მერე სტუმრებმა დათმეს ინიციატივა — ზედიზედ 3 გოლი გაუშვეს, თანაც ერთ-ერთი მათგანი ლინდროსმა უმცირესობაში გაიტანა, შემდეგ კი გრეტონმა გააორმაგა მისიანთა უპირატესობა. აღსანიშნავია, რომ ფილადელფიელთა ახალშეძენილი მეკარე შონ ბურკი სათადარიგო სკამიდან ადევნებდა მატჩს თვალ-ყურს.

სამაგიეროდ, მასში გაცვლილი გარტ სნოუ ვანკუვერში ჩასვლისთანავე გავიდა ყინულზე, მაგრამ ერთობ უნიათო დებიუტი გამოუვიდა. მეორე პერიოდის შუახანს, როცა ანგარიში 1:2 იყო სტუმართა სასარგებლოდ, მან ორი შეცდომა დაუშვა და ფლერის გარღვევის შემდეგ მცველ ედ ჟორდის შორი მანძილიდან დარტყმული შაიბა ვერ დაიმორჩილა. გამწარებულმა ვანკუვერელებმა მუშტები მოიშველიეს, რაშიც გუნდის „მეომრების" გარდა კაპიტანი მარკ მესიეც გამოირჩა — მან ერთ-ერთი შეტაკებისას კალგარელი ტიტოვი (1+1) დააშავა. მისი პარტნიორი პაველ ბურე (1+1) კი კვლავ საუკეთესო იყო გუნდში და მორიგი, 37-ე გოლი მიითვალა.

წამყვანი მცველების — ზუბოვისა და ჰეჩერის გარეშე დარჩენილმა დალასმა ჩვეული აგრესიულობა ვერ გამოავლინა და რიცხვმრავლობაში თამაშიც ვერ ააწყო (6 შესაძლებლობა გააფუჭა). ამით მონრეალმაც ისარგებლა და ენდი მუგმაც, რომელიც შარშან სწორედ დალასიდან დაითხოვეს. 37 წლის მეკარემ ყოფილი პარტნიორები თავისი ოსტატობით (24 მოგერიება) დაჩრდილა და კარიერაში 370-ე მოგება იზეიმა. გადამწყვეტი შაიბა მონრეალელთა კაპიტანმა დამფუსმა (15) შეაგდო.

მეორე დღეს კი კანადელები სენტ ლუისში განადგურდნენ. „ბლუზმენებმა" გაილაღეს — მათ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს. კვლავ რჩეულთა შორის იყო ბრეტ ჰალი, რომლის ანგარიშზეც 1 გოლი და 2 პასია, მეკარე მაკლენანმა კი კარიერაში პირველი „შათაუტი" გააზეხა. აღნიშვნის ღირსია სენტლუისელთა შედეგიანობის ზრდა: მათ ლიგაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს, თანაც საუცხოოდ იყენებენ რიცხვმრავლობას (ბოლო 7 მატჩში 30-პროცენტიანი შედეგი აქვთ).

დანარჩენ შეხვედრებში ყურადღების ცენტრში ვეტერანი ოსტატები მოექცნენ. რონ ფრენსისი, რომელსაც მალე 35 წელი შეუსრულდება, კვლავ პიტსბურგის საუკეთესო პლეიმეიკერად ითვლება და სწორედ მასზეა დამოკიდებული იარომირ იაგრის შედეგიანობა. ჩიკაგოსთან თავდამსხმელებმა როლები გაცვალეს და ამჯერად ასისტენტის მოვალეობადაკისრებულმა იაგრმა ორჯერ მიაწოდა საგოლე პასი თავის მუდმივ პარტნიორს, თანაც მეორე გოლმა 55-ე წუთზე ქულა მოუტანა მასპინძლებს. ისე, არც ჩიკაგოელები უნდა იყვნენ უკმაყოფილონი, რადგან მათ ორი წამყვანი მოთამაშე — ჩელიოსი და ჟამნოვი აკლდათ, რომელთა არყოფნაშიც ერთობ კარგი დებიუტი ჰქონდა ფორვარდ ჩედ კილგერს (2 პასი).

გრეცკი კი ფლორიდასთან შეხვედრის უეჭველი გმირი გახდა. მობერებულმა ჰოკეისტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რეინჯერსს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი უნდა ემედებოდეს. „პანტერებთან" უაღრესად რთულ ბრძოლაში გამარჯვება უეინის ორმა გოლმა (ამას 1 პასიც მიაყოლა) განაპირობა. ახლა სახელოვანი ბომბარდირის აქტივში, თუ პლეიოფსაც ჩავთვლით, 999 გოლია და დიდ იუბილემდეც შორი აღარ არის.

სამწუხაროდ, ორ ვეტერანს იღბალმა უმტყუნა. ნიუჯერსელმა დუგ გილმორმა მძიმე ტრავმა მიიღო ბოსტონელ ახალწვეულ ლედიარდთან შეტაკებაში. არც მის პარტნიორებს გაუმართლათ, რომელთაც გამარჯვება გაუშვეს ხელიდან. გილმორის დარად, დაშავდა პიტსბურგის მეკარე ბარასო.

ედმონტონელმა ჰამრლიკმა თავის ყოფილ თანაკლუბელებს დასწყვიტა გული და ტამპას გადამწყვეტი გოლი გაუტანა.

და ბოლოს, რამდენიმე მოთამაშის იუბილის შესახებ. ჩიკაგოელმა მცველმა კრის ჩელიოსმა 750-ე ქულა მიითვალა, მისი ამპლუის ჰოკეისტმა, ნიუჯერსელმა სკოტ სტივენსმა კი მე-600 პასი. ფილადელფიელი ლინდროსისა და ვანკუვერელი ბურეს ანგარიშზე შესაბამისად მე-500 და 450-ე ქულაა. 200-გოლიან ზღვარს მიაღწიეს პიტსბურგელმა კევინ ჰეჩერმა და სენტლუისელმა დიუშენმა.

**სამველ ლარიგიანი**


გრეცკი მე-1000 გოლს ელის

## კინემა გადაამლაშა

ვანკუვერის მწვრთნელ მაიკ კინენს, რომელსაც გუნდის პარტნიორებმა დეკემბერში, როგორც იქნა, საკადრო ცვლილებების განხორციელების ნება დართეს, ვერაფრით მოუსვენია. ბოლო სამ დღეში მან კლუბიდან ორი მოთამაშე დაითხოვა: ვეტერან გრანტ ლედიარდის სანაცვლოდ ბოსტონისგან დრაფტის მერვე რაუნდში არჩევის უფლება მიიღო, 4 მარტს კი ახალშეძენილი შონ ბურკი ფილადელფიელ გარტ სნოუში გაცვალა. თუმცა ეს ტრეიდი თავად „მფრინავებმა" მოიწადინეს, რომლებიც ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე დაინტერესდნენ ამ მეკარით.

სიახლეების მოყვარულ ვანკუვერელს ფინიქსმა და ჩიკაგომაც მიბაძეს: „კოიოტებმა" ჩედ კილგერისა და ჯესონ მორის გუნდში დატოვება არ ისურვეს და მათ აშშ-ის ნაკრების ოლიმპიელი მცველი კიტ კარნი (18 გოლი და 5 პასი 322 თამაშში) და ძალისმიერი ფორვარდი ჯიმ კამინსი ამჯობინეს. ამ გაცვლის მთავარ ფიგურად 1995 წლის დრაფტის მეოთხე ნომრად არჩეული კილგერი გვევლინება, რომელმაც ფინიქსში ვერაფრით ააწყო თამაში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარტალიანი, ირაკლი შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიძეილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29